

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისის საულიერო აკადემია

ჭავჭავაძე პვერელი
ოთხეობისა წვალებათათვე

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
SHOTA RUSTAVELI INSTITUTE OF GEORGIAN LITERATURE
TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

SAINT EPIPHANIUS OF CYPRUS
ON EIGHTY HERESIES

The Georgian translation prepared for publication,
research and glossary added by

Soso Makharashvili

Tbilisi Theological Academy and Seminary Publishing House

Tbilisi 2012

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისის საულიერო აკადემია

წმიდა ეპიფანე პვიპრელი
ოთხეოცხა წვალებათათვს

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და
საძიებლები დაურთო

სოსო მახარაშვილმა

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2012

წინამდებარე წიგნში პირველად ქვეყნდება IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო ღვთისმეტყველის, წმ. ეპიფანე კვიპრელის, უმნიშვნელოვანესი ანტიერეტიკული შრომის, „ანაკეფალაიონის შესრულებულია თეოფილე ხუცესმონაზონის (XI ს-ის II ნახევრი) მიერ.

წიგნში გამუშებულია თეოფილე ხუცესმონაზონის ქართული თარგმანის რაობა და შედგენილობა. ბერძნულ დედანთან და სხვა ბერძნულ წყაროებთან შედარების საფუძველზე გარკვეულია „ანაკეფალაიონის“ ტექსტის ისტორიის ზოგიერთი მხარე, რაც აქამდე უცნობი იყო ბიზანტინოლოგიაში. დადგენილია, რომ თეოფილეს თარგმანი მომდინარეობს იმ ბერძნული რედაქციიდან, რომელიც დღეს შემონახულია არ არის.

წიგნში ქართული ტექსტის ლექსიკური და ენობრივ-სტილური ანალიზის საფუძველზე განხილულია თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

წინამდებარე ნაშრომი სამსახურს გაუწევს ეკლესიის ისტორიის მეცნიერებს, ასევე ძველი ქართული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი პროცესების შესწავლით დაინტერესებულ პირებს.

ტექსტს ერთვის საძიებლები.

The present book contains the Georgian translation of the most significant anti-heretic work “Anakephalaios” by the famous 6th century theologian Epiphanius of Cyprus published for the first time. In the translation the work, which was performed by hieromonk Theophilus (second half of the 9th century) is titled “On Eighty Heresies.”

The book analyses the essence and composition of the Georgian translation by hieromonk Theophilus. Through a comparison with the Greek original and other Greek sources the author of the book establishes some historical aspects of the text of “Anakephalaios”, which were previously unknown to Byzantologists. It has been ascertained that the translation was performed by Theophilus from the Greek version which has not been preserved.

Based on the lexical and linguistic-stylistic analysis of the Georgian text the book deals with the peculiar translation methods employed by hieromonk Theophilus.

The present work will be useful for the scholars engaged in the study of church history and everyone who is interested in old Georgian literary and translation processes.

The text is accompanied by glossaries.

რედაქტორი

მაია რაფავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Editor

Maia Raphava
Doctor of Philological Sciences

რევიუზინგტები

მღვდელი ოსებ გელუქაშვილი
ნინო მელიქიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Reviewer

Priest Ioseb Gelukashvili
Nino melikishvili
Doctor of Philological Sciences

წინასიტყვა

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი და მეტნაკლებად შესწავლილი წმ. ეპიფანე კვიპრელის ან მისი სახელით მოღწეული ისეთი ცნობილი ძეგლები, როგორებიცაა: „ათორმეტთა თუაღმატებულის“, „საზომთათუს და საწყალოს“, „ფიზიოლოგის“, „თარგმანებამ დავითის ფსალმუნისამ“ და სხვ. ეს თხზულებები „შეტბერდის კრებულის“ გამოქვეყნების შემდეგ (1979 წ.) ხელმისაწვდომი გახდა ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაც. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით წმ. ეპიფანეს ავტორობით ცნობილ კიდევ ერთ საყურადღებო შრომაზე, რომელსაც ბერძნულად „ანაკეფალაიოსისი“ ჰქვია. იგი თარგმნილია თეოფილე ზუცესმონაზონის მიერ და ქართულად მოკლედ „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ შეიძლება ეწოდოს. ეს თხზულება დღემდე არათუ გამოცემული, არამედ უკანასკნელ დრომდე თითქმის შეუძავლელი იყო.

მირითადად ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ ტექსტის კრიტიკულ დადგენასთან ერთად საჭირო იყო თხზულებასთან დაკავშირებული ყველა მირითადი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხის გადაწყვეტა. უპირველეს ყოვლისა, ამისათვის აუცილებელი იყო ქართული თარგმანის ბერძნული დედნის დადგენა, რის შემდეგაც ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა: ქართული ტექსტის მიმართება ბერძნულ ტექსტთან, თეოფილეს მთარგმნელობითი პრინციპები, თარგმანის ენობრივი და სტილისტური თავისებურებანი, მისი მნიშვნელობა და კვალი ჩვენს ძველ მწერლობაში – ასე თუ ისე დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა. ორიგინალის ძიებამ, თარგმანის შედარებამ ანალოგიური ხასიათის ბერძნულ თხზულებებთან, ე.ი. შესაძლო დედნებთან, ნათელი მოპფინა თავად „ანაკეფალეოსისის“ ტექსტის ისტორიის ზოგიერთ მხარეს, რაც აქმდე უცნობი იყო ბიზანტინოლოგიაში. ეს კი ზრდის თეოფილეს თარგმანის მნიშვნელობას თავად ბერძნული ლიტერატურის ისტორიისათვისაც.

„ოთხმეოცთა წვალებათათუს“ გარკვეულ სირთულეებს ქმნის წმინდა შემცირებითი თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ ის წარმოადგენს თავისთავად არა დამოუკიდებელ ნაწარმოებს, არამედ წმ. ეპიფანეს ვრცელი პოლემიკურ-ისტორიული ხასიათის თხზულების – „პანარიონის“ – შემოკლებას, უფრო ზუსტად კი, მისი ცალკეული ტომების, „ანაკეფალეოსისების“, ნაკრებ ტექსტს. აქედან გასაგებია, რომ ამ უკანასკნელის გარეშე მისი სრული აღქმა და გაგება შეუძლებელია. ამ გარემოებას ვითვალისწინებდით, როდესაც ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმეთ „პანარიონის“ ლიტერატურულ მიმოხილვას, მისი როლისა და მნიშვნელობის ჩვენებას ქრისტიანული მწერლობის ისტორიაში. ამასთან, არც ერთი ცალკე აღებული ნაწარმოების შეფასება არ იქნება სრულყოფილი, თუ ზოგადად მაინც არ იქნა გათვალ-

ისწინებული მისი შემქმნელი მწერლის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჩვენც შევეცადეთ მოქლედ თვალი გადაგვევლო წმ. ეპიფანე კვიპრელის მდიდარი შემოქმედებისათვის, რომლის დროსაც, ცხადია, უპირველესი ყურადღება დავუთმეთ მისი სახელით მოღწეულ ნაკლებად ცნობილ თუ უფრო გახმაურებულ ძველ ქართულ თარგმანებს და ერთგვარად შეგავსეთ და შევაჯამეთ მათი შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა. ამგვარად, თავმოყრილი იქნა ქართულ ენაზე არსებული, წმ. ეპიფანეს ავტორობით ცნობილი ყველა ლიტერატურული ძეგლი, რაც, ვფიქრობთ, მათი შემდგომი გაღრმავებული კვლევის საწინდარი გახდება.

მწერლის და, მით უმეტეს, საეკლესიო ავტორის ლიტერატურული შემოქმედება, რა თქმა უნდა, განუყოფელია მისი პრაქტიკული სასულიერო მოღვაწეობისაგან, მის მიერ განვლილი ცხოვრების გზისაგან და, ბოლოს და ბოლოს, მისი პიროვნული პორტრეტისაგან. ნაშრომში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული წმ. ეპიფანე კვიპრელის ბიოგრაფია, მისი მშვიოთვარე და დაუდალავი, სარწმუნოებრივი ბრძოლებით აღსავსე მოღვაწეობა. ამასთანავე, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი მისი ცხოვრება-მოქალაქეობის ამსახველი ქართული მასალების განხილვას, წარმოჩნასა და ანალიზს მის შესახებ არსებული იმ წყაროებისა, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ძველი მწერლობა.

გამოკვლევას დამატების სახით ერთვის „ოთხმეოცთა წვალებათათჯ“ თხზულების ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი, დადგენილი მისი ყველა ხელნაწერის მიხედვით.

სოსო მახარაშვილი

წინამდებარე ნაშრომი მომზადდა 1990 წელს აწ გარდაცვლილი მეცნიერის, სოსო მახარაშვილის მიერ, ამიტომ მასში არ არის ასახული მომდევნო წლებში გამოქვეყნებული რამდენიმე გამოკვლევა ამ ძეგლში არსებული ზოგიერთი ერესის შესახებ.

რედაქტორი

თავი I

ნ. ეპიფანი პანარიოს ცხოვრება და სამრალო მოღვაწეობა

1 529 წლის 10 ოქტომბერი იქნებოდა. მარბურგის საღვთისმეტყველო საუბრების შემდეგ, უკინ მობრუნებულმა მელანქტონმა ერფურტში, იოპან ლანგის წიგნებს შორის ეპიფანე კვიპრელის მრავალტომიანი ხელნაწერი აღმოაჩინა. მისმა შინაარსმა რეფორმატორი ძალზე გაიტაცა. ეპიფანე ავტორია ძველი ეკლესიის თითქმის სრული ისტორიისა, – გახარებული წერდა ის თვის მეგობარ კამერარიუსს. მართალია, მელანქტონმა ვერ შეძლო საჭირო მეცნიატის გამონახვა და ეპიფანეს თხზულებების გამოცემა, მაგრამ მის აღმოჩენას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ლანგის ხელნაწერს და, საერთოდ, ამ საინტერესო მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას სხვებმაც მიაყრეს ყურადღება...¹.

ამის შემდეგ გაიარა კიდევ რამდენიმე წელმა. იანუს კორნარიუსმა, რომელიც იმხანად მაინის ფრანკფურტში მოღვაწეობდა ქალაქის ექიმად, ლათინურად გადათარგმნა ეპიფანე კვიპრელის უმთავრესი თხზულებები – „პანარიონი“, „ანკუროტოსი“, „ანაკეფალაიოსისი“, „საზომთათვეს და საწყალოთა“, გამოცემა კი ქ. ბაზელში განახორციელდა ი. ოპორინუსმა. ბეჭდვა დასრულდა 1543 წლის სექტემბერში. ლათინური თარგმანის წარმატებამ ოპორინუსი ბერძნული ტექსტის გამოსაცემადაც შეაგულიანა და უკვე მომდევნო, 1544 წელს იმავე ბაზელში ეპიფანეს შრომები ბერძნულ ენაზეც გამოქვეყნდა².

აი, ასე გაიცნო და აღმოაჩინა ხელმეორედ დასავლურმა ქრისტიანულმა სამყარომ წმ. ეპიფანე კვიპრელი – IV საუკუნის გამოჩენილი საეპლესიო მოღვაწე და მწერალი.

საქართველოში კი წმ. ეპიფანე კვიპრელი ერთ-ერთ დიდ საეკლესიო ავტორიტეტად ითვლებოდა და პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს ლიტერატურაში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. XIII საუკუნის ქართველ მწერალს, არსენ ბულმაისიმისძეს მასზე ასეთი ორიგინალური იმპიკოც კი შეუთხხავს:

1 K. Holl, Die Handschriftliche Überlieferung des Epiphanius (Ancoratus und Panarion), TU.36,2; Leipzig, 1910, s. 1-2. შდრ.: P. Fraenkel, Histoire sainte et Hérésie chez saint Éphiphanie de Salamine d'après le tome I du Panarion, Revtéol. Phil, t. XII, Lausanne, 1962, p. 177.

2 K. Holl, დასახ. წიგნი, 2-3.

პავლებრ ქრისტესთად არ-ქრისტესთაგან ქმნილი,
ნიშთა მკროას, კურნებათა წყაროას,
ღმრთის-მეტყველებს და ყოფათდა წინ-მეუწყობს,
მღვდელთ-მთავრობს კპტრეს, სამებისათვას იღუწის
და აღპვლის ცათა დღეს დიდი ეპიფანე³.

ცხოვრების გზა

Гპიფანე კვიპრელი დაიბადა 315 წელს პალესტინაში (იუდეაში), ელევთეროპოლისის მახლობლად. ტრადიციული გადმოცემით, წარმოშობით იყო ებრაელი, დარიბი მიწათმოქმედის შვილი⁴. ადრეულ ყრმობაშივე მოპკიდა მან ხელი საღვთო წერილის შესწავლას. ასევე სწავლის მიზნით იყო განპირობებული მისი ეგვიპტეში გამგზავრება, სადაც სასულიერო განათლებასთან ერთდ ეზიარა ბერმონაზვნური და ასკეტური ცხოვრების იდეალებს.

ეგვიპტეში მას დიდხანს არ დაუყვია. 335 წელს დაბრუნდა სამშობლოში, შედგა ბერად და ელევთეროპოლისთან ახლოს დააპარსა მონასტერი, რომელსაც თითქმის 30 წლის მანძილზე წინამდღვრობდა. აქ მას შეექმნა უსაბო მართლმორწმუნისა და დიდი ერუდიტის რეპუტაცია: იერონიმე დაუფარავი აღტაცებით უწიდებდა „ხუთენოვან მამა ეპიფანე“, რადგან მან იცოდა ბერძნული, სირიული, ებრაული, ეგვიპტური (კოპტური) და იშვიათი რამ აღმოსავლელისათვის – ცოტა ლათინურიც.

367 წელს უკვე ორმოცდაათს გადაცილებული ეპიფანე კვიპროსის ეპისკოპოსებმა თავიათ მიგროპოლიტად, კონსტანტიის (ძველი სალამინის) ეპისკოპოსად აირჩიეს (აქედან მოდის მისი სხვა ზედწოდებები: სალამინელი, კონსტანტიინელი). ამის შემდეგ მისი პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა. 70-იან წლებში მან ისეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ იმპერატორმა ვალენტიმა, რომელიც რისხვად ატყდებოდა მართლმორწმუნე ეპისკოპოსებს, ხელის ხლება ვერ გაუტედა. კუნძული კვიპროსი, კერძოდ კი, ქალაქი სალამინი, მისი განსწავლებული მთავარეპისკოპოსის წყალობით, განთქმული გახდა მთელ აღმოსავლეთში. იგი იქცა თეოლოგიური ინფორმაციის ცენტრად, იმ დირსშესანიშნავ ადგილად, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ წერილობით ცალკეული პირები და ჯგუფები სხ-

3 გალობანი ყველთა წმიდათანი, A 85 (XIII, XVI ს.), 243r, 12 მაიხო.

4 ო. ბარდენჰეფერი თვლის, რომ ეს ცნობა ძველ გაუგებრობაზეა დაფუძნებული. მისი აზრით, ეპიფანე დავთისმოშემ და შეძლებულ ქრისტიანთა ოჯახიდან იყო გამოსული. იხ. მისი Geschichte der altkirchlichen Literatur, III, Darmstadt, 1962, s. 293.

ვადასხვა რელიგიური და სარწმუნოებრივ-დოგმატური საკითხების გადასაწყობად.

წმ. ეპიფანეს ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლო ათწლეული ორიგენეს მიმდევართა წინააღმდეგ მიმართული ცხარე ბრძოლების ნიშნითაა აღმეტდილი.

90-იანი წლების დასაწყისში ის ჩავიდა იერუსალიმში და იქადაგა ორიგენიზმის წინააღმდეგ, თუმცადა მნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ მის სიტყვებს კონკრეტული აღრესატიც ჰყავდა – იქაური ეპისკოპოსი იოვანე, რომელიც ორიგენეს მხურვალე თაყვანისმცემლად ითვლებოდა. მალე სარწმუნოებრივმა პაექრობამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო და თანდათანობით უმაღლეს სასულიერო პირთა პირად მტრობაში გადაიზარდა. ეპიფანეს მომხრეთაგან თავისი აქტიურობით გამოირჩეოდა იერონიმე, ხოლო იოვანე იერუსალიმელს გვერდში ედგა რუფინუსი.

შემდგომში ორიგენისტების მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდა თუთვილე ალექსანდრიელი, რომელმაც V საუკუნის დამდეგს განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის დედაქალაქში დატრიალებულ სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ ამბებში. პირადმა შეუდლმა და უთანხმოებამ ჯერ ნიტრიის ეგვიპტელ ბერებთან, ხოლო შემდეგ – იოვანე ოქროპირთან, იგი აქცია მძულვარე ანტიოქიეცებისტად, ორიგენეს მიმდევართა დაუნდობელ მდევრად. 400 წელს თეოფილეს ხელმძღვანელობით შეკრებილმა საეკლესიო სინოდმა დაგმო ორიგენიზმი ეგვიპტეში. ამასთან, მან მოახერხა კვიპროსის ხანდაზმული მიტროპოლიტის კიდევ ერთხელ ამხედრება ორიგენისტთა წინააღმდეგ.

დაახლოებით 402 წელს წმ. ეპიფანემ კვიპროსში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც შეაჩვენა ორიგენე და მისი ნაწერები. შემდეგ გაემართა კონსტანტინეპოლიში, რათა საბოლოოდ სასიკვდილო ლაპვარი ჩაეცა მწვალებლობისთვის. აქ ის, ნებსით თუ უნებლიერ, დაუპირისპირდა იოვანე ოქროპირს, რომელსაც ბრალს სდებდნენ თრიგენიზმის მიმდევრობაში. თავდაპირველად ეპიფანე აქტიურად გამოვიდა მის წინააღმდეგ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ თეოფილე ალექსანდრიელს იოვანესთან პირადი ანგარიშები ჰქონდა და მის ავგორიტეტს არაკეთილსინდისიერად იყენებდა. ამიტომ აღარ დაუცადა მუხის ცნობილი საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, რომელმაც ოქროპირის ეპისკოპოსობიდან გადადგომა გამოაცხადა, ჩაჯდა სალამინისაკენ მიმავალ ხომალდში და 403 წელს ზღვაზე უწია სიკვდილმა.

ამ მოკლე ბიოგრაფიიდან უკვე კარგად ჩანს, რომ წმ. ეპიფანეს მოდგაწყობა მოუხდა მსოფლიო ისტორიის მეტად როგორც ჰერიოდში, როი დიდი კულტურის – ელინიზმისა და ქრისტიანობის გზასაყარზე. იგი ეპუთვნოდა იმ თაობას, რომელიც ცხოვრობდა რომის იმპერიაში მიმდინარე უდიდესი სარწმუნოებრივ-რელიგიური ცვლილებებისა და ქარტეხილების ეპოქაში,

როცა ძველი წარმართული ტრადიციები და წეს-ჩვეულებები თანდათანობით გზას უთმობდა აღმავლობის გზაზე მდგარ, მაგრამ ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელ და ათასგვარი მწვალებლური მიმდინარეობის შემცველ ქრისტიანულ მოძღვრებას. ამასთანავე, მოხდა ისე, რომ მას, ზოგიერთი სხვა თანამედროვე გამოხენილი საკლესიო მამისაგან გასსხვავებით (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, იოვანე ოქროპირი, ევაგრე პონტოელი და სხვ.), ელინისტური განათლება უშეალოდ არ მიუღია. როგორც აღვინშებული, ის განისწავლა ეგვიპტეში, იქაურ ასკეტებთან და ამიტომ აღზრდა მიიღო სასულიერო-ორთოდოქსული. ამ გარემოებებმა უთუოდ განსაზღვრა მისი, როგორც მწერლისა და საეკლესიო მოღვაწის, მშფოთვარე, აქტიურობით აღსავსე ცხოვრების გზა.

წმ. ეპიფანე სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ნიკეაში აღიარებული ქრისტიანული დოქტრინის ერთგულ დამცველად, ასკეტიზმისა და მონასტრული ყოფის ერთ-ერთ ყველაზე თავგამოდებულ პროპაგანდისტად. თანამედროვენი მას თვლიდნენ მართლმორწმუნეობის ცოცხალ განსახიერებად, ქრისტიანული დვთისმოსაობის ნიმუშად. ის თითქოს წინასწარ გრძნობდა იმ საყველთაო საფრთხეს, რაც მართლმადიდებლურ რწმენას ემუქრებოდა, ამიტომ სიტყვითა და კალმით მუდამ მზად იყო მის მოსაგერიებლად. ასეთ დროს ეპიფანეს საღვთო მოშურნეობას საზღვარი აღარ ჰქონდა: ეს დვთისმოშიში და, ერთი შეხედვით, მორიდებული კაცი, ერთბაშად ხდებოდა დაუოკებელი მებრძოლი, უკომიკომისო პოლემისტი, რომელმაც აღარ იცოდა, რა იყო ტაქტი და ზომიერება.

წმ. ეპიფანეს საეკლესიო მოღვაწეობას და ლიტერატურულ შემოქმედებას არასდროს ჰყოლია ერთნაირი შემფასებელი არც მის დროს და არც შემდგომში. სიჯოუტე და თავგამოდებულება, რომელსაც იგი იხენდა ქრისტიანული დოგმების დაცვისას, ჯერ კიდევ IV საუბაზეში ძლიერ აღიზიანებდა ზოგიერთ მის თანამედროვეს. ათანასე ალექსანდრიელი ერთ წერილში ამგვარი სიტყვებით მიმართავდა მას: „შენ ჩვენთან ერთად იყავი ჭირსა თუ ლინძში; დაე, ასევე ბოლო მოედოს კიცხა-განქიქებას. უფრო მეტად ილოცე, რათა ბოლოს და ბოლოს ეკლესიაში მტბიცე მშვიდობამ დაისადგუროს და საზღვარი დაედოს ყველა მწვალებლობას...“⁵. ხოლო ეპიფანეს თხზულებების აღმომხენი, ჩვენს მიერ უპვე ნახსენები მელანქლიონი, საკმაოდ კრიტიკულ აზრს გამოთქვამდა მის შემოქმედებაზე: „ისტორიული ცნობები, რომელთაც გვაწვდის ეს ავტორი, მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი თეოლოგია ნაკლებად მისაღებია. ის საერთოდ სუსტი ჩანს,

5 ერთგან ეპიფანე „ოავაზიანად“ ადარებს ორიგინეს, ამ ბრძენ „უტიფარს“, „ჭაობის გომბეშოს“, საიდანაც ის ავრცელებს თავის „მეღურად ყიფის“ და გვეპტიუება ამ „წებოვანი დორბლისა და შხამიანი ცხოველის“ მოსაძირკვად (Panarion, Her. 64,72 – K. Holl, Eriphanius (Ancoratus und Panarion), II GCS, Leipzig, 1922. s. 522-523).

6 P. Fraenkel, Histoire sainte et hérésie... p. 117, შდრ.: Migne, PG 26, col. 1257.

თვითონ წყაროები კი დაუდევრადაა ჩაწერილი⁷.

კვიპროსის მთავარებისკოპოსის ლიტერატურული მემკვიდრეობის ეს შეფახება თანდათანობით გაიზიარა ბიზანტინოლოგთა ერთმა ნაწილმა. მათ არც ჩვენი საუკუნის მეცნიერები ჩამორჩნენ. მაგალითად, ისინი მიუთითებენ, რომ ეპიფანეს ერუდიცია იყო უფრო ფართო, ვიდრე ლრმა და საფუძვლიანი, ხოლო მის ნაწერებში ჩამოყალიბებული ქრისტიანული დოქტრინა იყო მშრალი და ზედაპირული. ამასთანავე, აკრიტიკებენ მართლმადიდებლობის დასაცავად და ერეტიკოსების საწინააღმდეგოდ მიმართულ მის დაუნდობელ ბრძოლებს და ა.შ. მაგრამ განსაკუთრებით საყვედურობენ იმას, რომ მან, დიდი კაპადოკიელი მამებისაგან განსხვავებით (ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი), არ მიიღო ბერძნული ფილოსოფია და არ ჩააყენა იგი თეოლოგის სამსახურში. მართლაც, ორიგენისტებთან კამათში ეპიფანე განსაკუთრებით მათ პლატონიზმს დაუპირისპირდა, ხოლო არიოზისა და მისი მიმდევრების განქიქებისას დაგმო და გაკიცხა არისტოტელეს დიალექტიკა; მეტიც: მან „ელინიზმი“, ე.ი. მთელი წარმართული ბერძნული ცივილიზაცია გამოაცხად ერთ-ერთ უმთავრეს ერებად, ყოველგვარი მწვალებლურის საწყისად და დედაძმარდგად, მაშინ, როცა მისი დროის სხვა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეები თავიანთ შრომებში უხვად იუქნებდნენ ელინური კულტურისა და მეცნიერების მიღწევებს.

წმ. ეპიფანე კვიპრელის ლიტერატურული ლგაწლის ამგვარი კრიტიკა ჩვენ უსაფუძვლოდ გვეჩვენება. წარსული დროის ესა თუ ის პირი უნდა შეფასდეს არა ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა დაგვეხახა (ე.ი. არა იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს და უპასუხებს მისი შემოქმედება ჩვენს დღევანძელ მოთხოვნებს), არამედ, უპირველეს ყოვლისა, რეალურ ისტორიულ ჭრილში, იმ ობიექტური გარემოსა და პოლიტიკურ-კულტურული ვითარების გათვალისწინებით, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვით ცხოვრებამ (სწავლა-აღზრდა, გარემომცველი ადამიანების წრე, ისტორიული რეალობა) განაპირობა, რომ ეპიფანეს მოღვაწეობის თავისი, საკუთარი გზა აერჩია და, ასევე, სხვათაგან გამორჩეული ლიტერატურული მრწამსი ჰქონდა. ვფიქრობთ, ამით აზროვნების ისტორიას არაფერი დაუკარგავს. ბოლოს და ბოლოს, კულტურის პროგრესს ხომ განსხვავებულ აზრთა და დაპირისპირებულ იდეათა ჭიდილი განაპირობებს!⁸

7 იქნე, გვ. 117, შდრ.: K. Holl, Die handschriftliche Überlieferung... s. 1.

8 განსაკუთრებით კრიტიკს ქარცეცხლში ატარებს ჩვენს ავტორს დ. ამანდი წიგნში: Fatalisme et liberté dans l' antiquité graecque, Louvain-Paris, 1945, p. 440-460.

9 ეპიფანე კვიპრელის ბიოგრაფიის შესახებ იხ. D. Bardenhewer, Geschichte..., III, s. 293-195. B Altaner, A. Stüber, Patrologia, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, Freiburg..., 1978, s. 315-316. P. Fraenkel, Histoire sainte et Hérésie... P. 175-179. D. Amand, Fatalisme..., p. 440-

ქველ ქართულ მწერლობაში დაცულია საკმაოდ უხვი წყაროები ეპიფანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ჯერ კიდევ ადრე-ფეოდალიზმის ხანაში, X საუკუნემდე, უთარგმნიათ ჩვენში „ცხოვრება ეპიფანე კპპრელისაა“¹¹. ამასთანავე, ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავთ მისი ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტები, ლეგენდარული ცხობები და გადმოცემები. მის სახელზე შექმნილია სახოგბო ჰიმნები. ეს მასალა გაბნეულია ქართულ ჰიმნოგრაფიულ და სვინაქსარულ საკითხებისავთ შინაარსის კრებულებში, რომელთა შემაღლებული თხზულებები ძირითადად თარგმნილია ბერძნულიდან.

„ცხოვრება ეპიფანე კპპრელისაა“ ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: *Sin 6* (სრულად) და *Ier 3* (ნაკლულად, მხოლოდ 5 ფურცელი უჭირავს). სინური ხელნაწერი და, მაშასადამე, ჩვენი ძეგლიც, გადაუწერია ცნობილ მწერალს, იოვანე-ზოსიმეს 982 წელს. თხზულება თარგმნილია ბერძნული ენიდან, რასაც უცილობელ პყოფს მასში დადასტურებული ბერძნიზმები. სამწეხაროდ, უცნობია მისი მთარგმნელი. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ეს ანონიმი მოღვაწე, იგი არის ჩინებული მწერალი, დიდებული მოქართულე, უძველესი ქართული მთარგმნელობითი სკოლის ლირსეული წარმომადგენელი. შემთხვევითი არაა, რომ ეპიფანეს „ცხოვრების“ გამომცემელმა, ი. იმნაიშვილმა, ეს თხზულება შეიტანა თავის „ძველი ქართული ენის საკითხეავ წიგნში“¹⁰. მანვე მოგვაწოდა ცნობები ამ ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული და ენობრივი მნიშვნელობის შესახებ¹¹.

ეპიფანეს „ცხოვრება“ აღწერა ორმა მისმა მოწაფემ: იოვანე ხუცესმა და პოლიბიოს ეპისკოპოსმა. თხზულების მიხედვით (გვ. 98-99)¹², ეს იოვანე ყოფილა „ნათესავით სარკინოზი“, რომელიც ეპიფანეს მოუქცევია ქრისტიანობაზე (შესაძლოა, ეგვიპტეში). დღიდან დამოწაფებისა იგი გვერდიდან აღარ მოშორებით თავის მოძღვარს და ყველგან თან ახლდა დაუსრულებელ მოგზაურობებში. ამასთან, ეპიფანესაგან მაღულად იწერდა ყოველივე იმას, „რომელსა-იგი ღმერთი მის მიერ აღასრულებდა საგრველებათა მათ“ და რაც თავად ეხილა. სიკვდილის წინ მან დაი-

443 (ამავე შრომებში დასახელებულია ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეპიფანეს ცხოვრებაზე).

10 „ცხოვრება ეპიფანე კპპრელისაა“, საკითხევი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოხცა ი. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10. თბ., 1966, 92-146.

11 იქვე, 218-235.

12 ეპიფანეს „ცხოვრების“ გვერდებს ვიმოწებთ ი. იმნაიშვილის გამოცემის მიხედვით.

ბარა თავისი სულიერი ძმა, პოლიბიოსი, გადასცა „ქარტავ“, რომელშიც მას ეპიფანეს ცხოვრება ჰქონდა აღწერილი და სთხოვა, პოლომდე მიეყვანა მის მიერ დაწყებული ეს საპატიო საქმე (გვ. 120-121)¹³. პოლიბიოსმა შეუსრულა დანაბარები მეგობარს. მას გაასრულა თხზულება და, ეტყობა, საერთო რედაქციაც გაუკეთა, რადგან, მიუხედავად ორი ავტორისა, „ცხოვრების“ ამ პირველ და მეორე ნაწილს შორის სხვაობა მაინცადამაინც არ იგრძნობა. მთელ ნაწარმოებს ერთიანი მხატვრულ-იდეური კონცეფცია მსჯვალავს.

წმ. ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ ქართული თარგმანი თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვება მინის „პატროლოგიაში“ გამოქვეყნებულ ბერძულ ტექსტს (ეგ კია, რომ ეპისკოპოს საბინეს ეპისტოლე პოლიბიოსი-სადმი ეპიფანეს დაკრძალვის თაობაზე მასში მხოლოდ ლათინურადაა წარმოდგენილი)¹⁴. აქ ეს თხზულება გადმობეჭდილია და. პეტავიუსის გამოცემიდან, რომელიც 1622 წელს განხორციელდა პარიზში (ეს იყ საერთოდ ეპიფანეს შრომების მეორე, ახალი გამოცემა)¹⁵. პეტავიუს-მავე მოგვცა ეპიფანეს „ცხოვრების“ ისტორიული ლირებულების შეფასება. მისი აზრით, ის „მეტწილად უფრო ახლოა ზღაპართან, ვიდრე ისტორიასთან“¹⁶.

„ცხოვრებად ეპიფანე კპპრელისად“ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია და, ბენებრივია, ზუსტი საისტორიო ქრონიკის ან დოკუმენტის ფუნქციას ვერ შეასრულებს. მაგრამ ამ უანრის ნაწარმოებთათვის დამახასიათებელი უტყური ისტორიული შეფერილობა მასაც ახლავს. ამიტომ ცნობილი ფაქტების გათვალისწინებითა და ფრთხილი განხჯა-ანალიზის საფუძველზე მასშიც შეიძლება ისტორიული რეალობის აღდგენა. მით უმეტეს, რომ „ცხოვრება“ თვითმხილველ ავტორთა მიერად შეთხული.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თხზულების ბოლო ნაწილი, რომელშიც აღწერილია ანტიორიგენისტული ბრძოლები და ეპიფანეს სიცოცხლის უკანასკნელი წლები. მასში მოთხოვობილია შემდეგი (გვ. 135-140):

ალექსანდრიის მთავრის, ჰერაკლეს, სამი ქე მამის სიგვდილის შემდეგ „წარვიდა უდაბნოდ“ და შეუდგა ბერმონაზვნური ცხოვრების აღსრულებას. თეოფილე ალექსანდრიელმა უკანვე დაბრუნა ისინი ქალაქში, ამისთან, უფროსი ძმა ეპისკოპოსად აგურთხა ეგვიპტის სხვა ქალაქში, ხოლო მომდევნო თრი ალექსანდრიაში დატოვა – დიაკვნად და იკონომოსად

13 საკითხავი წიგნი..., II, 221.

14 P G 41, col. 24-116.

15 ეპიფანე კვიპრელის ამ და სხვა მომდევნო გამოცემების შესახებ დაწვრილებით იხ.: K. Holl, Die handschriftliche Überlieferung des Epiphanius (Ancoratus und Panarion), s. 5-13.

16 O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, s. 294.

განაწესა ეკლესიაში. მალე ორივე ძმა განუდგა თეოფილეს და მიხან
 მალულად კვლავ ძველ ადგილსამყოფელს მიაშერეს. განრისხებულმა
 ალექსანდრის ეპისკოპოსმა შეაჩვენა ისინი. ძმებმა იოვანე ოქროპირს
 მიმართეს კონსტანტინეპოლიში სამართლიანობის აღსაღვენად. მიუხედა-
 ვად იოვანეს ორგზის თხოვნისა, თეოფილემ უარი განაცხადა ეგვიპტელი
 ბერების შემორიგებაზე. მაშინ იოვანე აღარ მოერიდა ალექსანდრის
 ეპისკოპოსს და თავად მოხსნა სასჯელი „კრელ-უოფილ“ ძმებს, რითაც
 ის ძალიან მოიმდურა. ამასობაში დიდი უთანხმოება ჩამოვარდა ბიზან-
 ტის დედოფალ ევდოქსიასა და იოვანე ოქროპირს შორის. კონფლიქტის
 საბაბი გახდა თეოგნოსტოსის ქვრივი, რომელსაც, ჯერ იყო და მეფემ
 უსამართლოდ ქმარი გადაუსახლა, ხოლო შემდეგ დედოფალმა ესეც არ
 აკმარა და ოჯახის უკანასკნელი სარჩო-საბადებლის – ვენახის ჩამორთ-
 მევაც დაუპირა. იოვანე გამოიესარჩლა უბედურ ქვრივს, რამაც ევდოქსია
 ძლიერ განარისხა. დედოფალმა იოვანე ოქროპირის „საყდრიდან“ გაძევე-
 ბა განიზრახა. ამ ამბებით ფრთაშესმულმა თეოფილე ალექსანდრიელმა
 გადაწყვიტა, ანგარიში გაესწორებინა კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი-
 სათვის. მან დააჯერა ეპიფანე კვიპრელი, რომ, თითქოს, იოვანე ორიგენეს
 მოძღვრებას იზიარებდა და ისიც მის წინააღმდეგ განაწყო. კონსტან-
 ტინეპოლში ჩასული ეპიფანე ერთბაშად ვერ გაერკავა იმ არეულობაში,
 რაც მაშინ ქალაქში სუფევდა. მან უნებურად ხელყო კონსტანტინეპოლის
 პატრიარქის უფლებები, როდესაც ქალაქთან ახლომდებარე ერთ მონას-
 ტერში იძულებული გახდა მღვდლის გურთხევა ძაღლსრულებინა, რითაც
 ძალზე ატკინა გული იოვანეს. ეპიფანესთან საუბარში გამჟღავნდა ეპ-
 დოქსიას ნამდვილი ზრახვები – იოვანე ოქროპირის წინააღმდეგ წამოწ-
 ყებული სარწმუნოებრივი ბრძოლის კამპანია მხოლოდ მოჩვენებითი იყო,
 რომელშიც იფარებოდა მისი პირადი მტრობა და დიდი სიძულვილი კონ-
 სტანტინეპოლის ეკლესიის მწყემსმთავრისადმი. ამის შემდეგ კვიპროსის
 ხანდაზმულ მიტროპოლიტს, აღმათ, უკვე აღარ სურდა სამეფო კარის
 მიერ მოწყობილ ამ ბნელ ინტრიგებში გარევა, მაგრამ დედოფალი და
 მისი მომხრენი არ ცხრებოდნენ. სმა გავრცელდა, თითქოს ეპიფანემ ურ-
 ჩია ევდოქსიას ოქროპირის ეკლესიიდან გაძევება. ამ სმამ იოვანემდევც
 მიაღწია. მან ასეთი შინაარსის წერილი მისწერა კვიპრელ ეპისკოპოსს:
 „ეპიფანე ბრძენო, აზრახეა ჩემი განძება? რამეთუ არღარა დაშვებუ
 შენ საყდარსა შეწას“. ეპიფანემაც ასევე მწარედ უპასუხა წერილობით:
 „მოღუძეო იოვანე, ცემად თავს-იდევ და სხლო, არამედ აღგილსა მას,
 სადა-იგი განძებულ ხარ შენ, ვერ მიაწინე მუნ“. მალე ეპიფანემ დატოვა
 კონსტანტინეპოლი და გაემგზავრა კვიპროსისაკნ. მაგრამ კონსტან-
 ტიამდე მან ვერ ჩადალა. მართლაც, გზაზე უწიდ იოვანე ოქროპირის
 წინასწარმეტყველებამ და, როგორც აღვნიშნეთ, გემზე გარდაიცვალა
 (ცობილია, რომ ასევე იოვანესაც აუხდა ეპიფანე კვიპრელის წინას-

წარმეტყველება).

ეს ამბები ასეთივე თანმიმდევრობით, ოღონდ უფრო ვრცლად და დებალურად მოთხოვთბილია გიორგი ალექსანდრიელის იოვანე ოქროპირის „ცხოვრებაში“¹⁷. მეტიც: ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა ამ ორი თხზულების ცალკეული ადგილები და მონაცემთები. ასე მაგალითთად, დედოფალ ევდოქსიასა და ეპიფანე კვიპრელის დიალოგი, იოვანე ოქროპირისა და ეპიფანეს მიმოწერა¹⁸. ამგვარი შინაარსობრივ-ტექსტობრივი დამთხვევა კი მიუთითებს არა მარტო იმაზე, რომ პოლიბიოს ეპისკოპოსი და გიორგი ალექსანდრიელი საერთო, გავრცელებული წყაროებით სარგებლობები¹⁹, არამედ – იმაზეც, რომ ჩვენს ძეგლში დაცული ცნობები ეპიფანეს ცხოვრების ბოლო წლებზე ახლოსაა ჰემიარიტებასთან, რაც მკითხველისათვის ისედაც ნათელი უნდა იყოს ზემოთ წარმოდგენილი ბიოგრაფიის შემდეგ.

ისტორიული სიმართლის დასადგენად, ალბათ, ისიც არაა უინტერესო, რომ სხენებულმა მწერლებმა ერთნაირად შეაფასეს ეპიფანეს როლი ოქროპირის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში: კეთილისმსურველი კვიპრელი ეპისკოპოსი უნებური თანამონაწილე შეიქნა დედოფალ ევდოქსიასა და თეოფილე ალექსანდრიელის ინტრიგისა, ამიტომ მას ბრალი არ მიუძღვის იოვანეს წინაშე. ჩვენი ავტორების თქმით, „ესე არა თუ ამისთვის ესევითაროთა ამათ კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსამცა სიღრმესა სიბოროტეისასა აქუნდამცა მას შთახლვად“²⁰.

ზოგიერთ ისტორიულ ფაქტს „ცხოვრებაში“ აშკარა მხატვრული ტრანსფორმაცია განუცდია. ამ მხრივ უთუოდ საინტერესოა თხზულების ის ეპიზოდი, რომელიც ეპიფანე კვიპრელისა და იოვანე იერუსალიმელის ურთიერთობის წარმოაჩენს. ზემოთ უკვე ვთქვთ, რომ ეპიფანემ ანტიორიგენისტული პოლემიკა იერუსალიმის ეპისკოპოსთან პაექრობით დაიწყო.

17 „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძეგლი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუწოდ რ. გვარამიამ, თბ., 1986, 80-96. Douze récits byzantins sur saint Jean Chrysostome, publiés par Fr. Halkin, Bruxelles, 1977, p. 177-202.

18 ქართული ტექსტები აქ ისე ზესტად მიჰყვება ერთმანეთს, იმდენად სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს ცალკეული წინააღმდებები და ფრაზები, რომ ერთ-ერთ მთარგმნელს, უცრო კი ეპიფანეს „ცხოვრების“ ავტორს, უნდა ესარგებლა მეორე თარგმნილი შრამით.

19 ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ წყაროების ძიება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეპიფანესა და ევდოქსიას დიალოგი, უფრო მოკლე ვარიანტების სახით, წარმოდგენილია თეოდორე ტრამითელის იოვანე ოქროპირის „ცხოვრებას“ და ოქროპირის დაკარგვით „ცხოვრებას“ ერთ ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტში (Douze récits..., p. 29-30; 298). ამავე თხზულებებში გადმოცემულია იოვანესა და ეპიფანეს მიმოწერა, რომელიც ოდნავ განსხვავებულ სახით დამოწერულია აგრძელებულ სოკრატეს „საეკლესიო ისტორიაში“ (Socratis, Historia Ecclesiastica, lib. VI, cap. XIV – P.G. 67, col. 708).

20 „ცხოვრება ეპიფანე კპრელისაა“, 138, 23-25. „ცხოვრება იოვანე ოქროპირისაა“, 96, 31-34.

მაგრამ მათი ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც ეპიფანემ იერონიმეს ძმა, პალინიანე, ელევთეროპოლისთან ახლომდებარე ბეთლემის მონასტერში მდგდლად აკურთხა. ეს მონასტერი იოგანეს ეპარქიაში შედიოდა და, ბუნებრივია, მომხდარი ფაქტი მან თავის უშეალო უფლებებში ჩარევად აღიქვა²¹. ამ კონფლიქტმა თავისებური მხატვრული ასახვა ჰპოვა ჩვენს ძეგლში. აქ მოთხრობილია, თუ როგორ ჩავიდა ეპიფანე (პოლიბიოსთან ერთად) „ვეცხლისმოყუარე“ იოგანე ეპისკოპოსთან იერუსალიმში, როგორ გამოსტყედ სიმდიდრე და დაუნაწილა დარიბებს. როცა იოგანემ დიდი აყალ-მაყალი ატეხა და მტკიცედ მოითხოვა თავისი ქონების უკან დაბრუნება, სასწაულმოქმედმა ეპიფანემ „ჰპერა პირსა იოგანესსა და მეუსეულდად მასვე უამსა დაბრმა იგი“. შემდეგ სულგრძელმა კვიპრელმა ეპისკოპოსმა კვლავ დაუბრუნა იოგანეს მარჯვენა თვალში სინათლე, ხოლო როცა ის შეევერა მარცხენა თვალის ახელასაც, უთხრა: „არა ჩემი არს ესე, შვილო, რამეთუ ღმერთმანცა დაგიყუნა და ღმერთმანცა აღგიხილნა, ვითარცა უნდა მას, და ყო, რადთ უკუ განვისწავლნეთ ჩუენ“. ამის შემდეგ იოგანე, მართლაც, „განისწავლა“ და „იქმნა იგი წმიდა ყოველსა შინა“ (გვ. 123-125).

ეს მაღალმხატვრული პასაჟი შემდგომში ცალკე საკითხავად გამოუყვიათ და შეუტანიათ სვინაქსარულ კრებულებში. ამგვარი სახით ის შემონახულია ორ ქართულ ხელნაწერშიც: A 112-სა და Q 608-ში. პირველი მათგანი არის XVIII საუკუნის I ნახევარში რესულიდან თარგმნილი ცნობილი პროლოგ-ხვინაქსარი, ანუ „წიგნი სასურველი“²², რომელშიც ეს საკითხავი გვხვდება ახეთი სათაურით: „...სიტყუად იოანე იცრუსალიმელ ებისკოპოზისათვეს, ვითარ უკუც ეპიფანე პელოვნებითა აღიღო ვეცხლი და განუყო გლახაკთა ქუცლის საქმით“ (192 r). მეორე ხელნაწერი კრებული სომხური სვინაქსარიდან უთარგმნია და შეუდგენია ტერ-ზაქარა სურამელს, როგორც მისი ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, 1822 წელს²³. სამწუხაროდ, ამ მოღვაწეს არცთუ სრულყოფილად სცოდნია ქართული, რასაც მოწმობს თუნდაც აღნიშნული საკითხავის სათაური და დასაწყისი: „მოთხრობა იოგანე ელუსარემისა (!) პატრიარქისა – ხოლო ესმა წმიდა ეპიფანე პატრიარქსა კიპროს (!) ქალაქისასა, რომელ იოგანე ელუსარემის პატრიარქისა (!), თუ ძნიად (!) ვერცხლის მოყვარულ არისო და მრავალის ქონების პატრონიო...“ (57 r).

ეპიფანე კვიპრელის სარწმუნოებრივი თუ ანტიურეტიკული ბრძოლები

21 O. Bardenhewer, დასახ. წიგნი, 294.

22 დაწვრილებით ის. ტ. რეგაბე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960, 155-183. აგრეთვე: ტ. კებელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, 550. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიანო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, თბ., 1976, 54-86.

23 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა იხალი (Q) კოლექციისა, II, თბ., 1958, 65-69.

მხატვრულადაა არეკლილი ნაწარმოების სხვა ეპიზოდებშიც. ასეთებია: ეპიფანეს პოლემიკური პაქტობანი და სიტყვისგებანი სპარსთა „უპირველეს მოგვთან (გვ. 102), ეპიფანე ედესელ ფილოსოფოსთან (გვ. 107; 108-110), ეპრაელთა შჯულისმოძვარ აულასთან (გვ. 110-111), ლეონტი ქალაქის მკვიდრ იერაკისთან (გვ. 111-112), ფილოსოფოს ევდემონთან (გვ. 112-113). ერთგან მოთხრობილია ისიც, თუ როგორ „დაუყო პირი“ ეპიფანემ ვალენტიანელთა ეპისკოპოს აეტიოსს და როგორ განდევნა კვიპროსიდან (მეფე თევდოსის თანადგომით და ბრძანებით) სხვადასხვა ჯურის მწვალებლები: ოფიტეველნი, სახელიანელნი, ნიკოლაიტელნი, სიონიანელნი, ბასილიდიანელნი, ქარპოკრატიანელნი (გვ. 134-135).

ვფიქრობთ, წმ. ეპიფანეს ეგვიპტეში პირველი გამგ ხავრებაა ხატოვნად ასახული „ცხოვრების“ ერთ პასაჟში, სადაც მოთხრობილია მისი მონასტრიდან გაპარვა, ორმოც სარკინოზთან შეხვედრა, ერთ-ერთი მათგანისათვის დაბრმავებული თვალის მორჩენა, მათ მიერ მისი ღმერთად აღიარება და თავიანთან წაყვანა (გვ. 98-99).

ისტორიული ფაქტების მხატვრული გარდასახვის ამგვარ მაგალითებს სხვასაც ბევრს აღმოაჩენს ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი. მაგრამ, ვგონებთ, მოყვანილი ნიმუშები საგმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ეპიფანეს „ცხოვრებას“ არ აკლია ისტორიზმის ის დოზა, რაც საერთოდ ახასიათებს ჰაგიოგრაფიული ქანრის თხზულებებს.

არც IV საუკუნის ყოფითი სურათებია უცხო ჩვენი ძეგლისათვის²⁴. მიუხედავდ იმისა, რომ მისი დახატვა არაა იოგანესა და პოლიბიოსის (ისევე როგორც არც ერთი სხვა ჰაგიოგრაფის) მიზანი და ის, ასე ვთქვათ, თხზულების მეორე პლანს შეადგენს, მასში მაინც მძლავრად იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა – ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის, თავად ქრისტიანობის შიგნით სასულიერო პირებს შორის და ა.შ.

სანიმუშოდ განვიხილოთ „ცხოვრების“ კიდევ რამდენიმე ეპიზოდი.

კონსტანტიაში ცხოვრობდა ერთი წარჩინებული კაცი, ევგნომოსი. მას ვალად დახედო ამავე ქალაქის მკვიდრისგან, რომელსაც დრაგონი ერქვა, ასი დრაპეზანი, რისთვისაც საპყრობილები მოხვდა. ევგნომოსი წარმოშობით იყო რომაელი, ამიტომ მისი ვალის გადამხდელი ქალაქში არაგინ იყო. ახლადარჩეულმა სალამინის ეპისკოპოსმა ქველმოქმედება გამოიჩინა: წარმართ დრაგონს, რომელიც იყო „მდიდარ ფრიად და ველურ იყო სახითა“, საეკლესიო ფულიდან ასი დრაპეზანი გადაუხადა და ევგნომოსი საპყრობილებან გამოიხსნა. ამით ისარგებლა ერთმა უკეთურმა დიაკვანმა, ქარინოსმა, რომელსაც ეპიფანეს გამევება და საეპისკოპოსოს ხელში ჩაგდება უნდოდა. მან აამხედრა მღვდლები ეპიფანეს წინააღმდეგ, ბრალად დახდო რა მას საეკლესიო ქონების განიავება. ევგნომოსმა

24 შდრ. საკითხავი წიგნი... 221-222.

ყველაფერი გაყიდა, რაც კი რომში ებადა და ფული ეპიფანეს ჩაუტანა (ამის შემდეგ სიკვდილამდე აღარც მოშორებია მას). ამ უკანასკნელმა კი ფულის ერთი ნაწილი გაჭირვებულებს გაუყო, ხოლო დანარჩენი ასი დრაპეტინი ქარინოსს გადასცა. მოშუღლარი დიაკვანი არც ამის შემდეგ დამცხრადა, ვიდრე ეპიფანეს წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა – „ამას იტყვს ყორანი ისი, რათა არღარა იყო შენ დიაკონ“ – სარეცელს არ მიაჯაჭვა და სული არ ამოხადა (გვ. 118-119).

სხვა ეპიზოდში პაგიოგრაფი გადმოგვცემს: ოდესდაც დიდი შიმშილობა იყო კვიპროსში. მხოლოდ ფაოსტინიანოსს, რომელიც იყო „პაცი წარმართი და მდიდარი ფრიად, ჭირით მზრახი“ (გვ. 126), ჰქონდა სახლი ქერითა და ხორბლით სავსე. მაგრამ ის ძვირად ყიდდა ჭირნახულს და, ბუნებრივია, ყველას არ შეეძლო მისი შეძენა. „და იყო იწროებად დიდი ქალაქსა მას შინა“. ნათელმხილველ ეპიფანეს დმრთის ხმამ აუწყა, რომ ერთ ტაძარში, რომელსაც ერქვა დიოსისი, ის იპოვიდა დამარხულ დიდბალ ოქროს, რაც საშუალებას მისცემდა ეყიდა ფაოსტინიანოსგან ქერი და ხორბალი და მიუცა გაჭირვებული ხალხისთვის... მაგრამ მოხდა ისე, რომ მან ფულის მოყვარულ ფაოსტინიანოსისგან თანდათანობით მოელი მისი სანოვაგე შეისყიდა. ახლა უკვე ამ უკანასკნელის ოჯახი ჩაგარდა გაჭირვებაში. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ ფაოსტინიანოსის ხორბლით სავსე ნავები, რომლებიც კალამბრიიდან კვიპროსს მიემართებოდნენ, კონსტანტიის მახლობლად, ზღვაში დაინთქნენ. ეს ამბავი ფაოსტინიანოსმა ეპიფანეს მოგვიანება და მჩხიბაობას მიაწერა. მიუხედავად ამისა, სალამინის ეპისკოპოსმა ლვოის ანაბარად არ მიატოვა გაჭირვებაში ჩაგარდნილი ოჯახი და ფაოსტინიანოსის ზნეკეთილ მეუღლეს, რომელმაც ქმრისგან მალულად სთხოვა დახმარება, სამყოფი საზრდო უწილებდა (გვ. 129-130). ცხოვრების ბოლომდე არ მოუშლია ფაოსტინიანოსს მტრობა და შუღლი ეპიფანესთან. ეს მისი წაქეზებით იყო, რომ „მდუმარე“ დიაკონმა რუფინოსმა, ეპისკოპოსბის სურვილით შეპტრობილმა, კვიპროსის მიტროპოლიტის სიცოცხლის ხელყოფა განიზრახა. მხოლოდ წინასწარცნობის უნარმა იხსნა ეპიფანე უცილობელი სიკვდილისაგან (გვ. 131).

ცხადია, ამ ეპიზოდებში, ისევე როგორც სხვა ანალოგიურ სიტუაციებში, წვენი ავტორების მიზანი სრულიადაც არ არის აზვენონ დაპირისპირება ეპიფანესა და წარმართ დიდებულებს – დრაკონსა და ფაოსტინიანოსს – შორის, ან თუნდაც ეპიფანესა და მისსავე დიაკვნებს – ქარინოსსა და რუფინოსს – შორის. ეს მხოლოდ ლიტერატურული მასალაბა, გარეგნული ფონია, რომელშიც იკვეთება წმიდანის ზნეობრივი სახის რამდენიმე ძირითადი შტრიხი: დიდხელოვნება, მიმტევებლობა, განსაკუთრებით კი ლარიბებისადმი მოწყალეობა. თუმცა, როგორც ცხოვრება გვასწავლის (ბიბლიისდა შესაბამისად), დატაკების შეწყალებამ და შემწყნარებლობამ არ უნდა დაჩრდილოს სამართლიანობის გრძნობა. ეპიფანემ გადააყენა თავისივე დადგენილი საეპლესიო საქმეთა „ბჭე“ (მოსამართლე), საკმაოდ

განსწავლული დიაკვანი საბინოსი, ამ მოვალეობის შესრულებისაგან სწორედ იმისთვის, რომ მან ერთი სადავო საქმის განსჯისას დარიბსა და მდიდარ კაცს შორის დარიბისადმი მიგერძოება გამოამჟღავნა და ამით, ბენებრივია, დაარღვია საღმრთო წერილისეული მცხება: „ნუ შეიწყალებთ გლახაკსა საშჯელსა შინა და ნუცა გაქუთ თუალთღებად ძლიერთა“ (ლევ. 19,15). ამის შემდეგ გვიპროსის მიტრობოლიტი ოვად განაგებდა საეკლესიო სამართლს ეპარქიაში (გვ. 131).

ამ ბოლო პასაჟში²⁵ წმიდანის ზნეობრივი სახის კიდევ ერთი ნიშანი წარმოჩნდება – ის სამართლიანობის მსახური და დამცველია. ამ ნიშნების ჩამოვლა კიდევ შეიძლება გაგრძელდეს: ეპიფანეს ახასიათებს აგრეთვე უზადო მართლმორწმუნება, სწავლის სიყვარული, უპოვრება, სიმდაბლე... მაგრამ წმიდანის იდეალის შესაქმნელად პიროვნების მარტოდენ მაღალზეობრივი, გნებავთ მაღალმორალური, პორტრეტი არ გმარა. მას უცილობლად უნდა დაემატოს ეპიფანეს ნათელმხილველობისა და წინასწარცხობის დმრთივმომადლებული ნიჭი, რაც უკვე ჩანს კიდევ ჩვენს მიერ დამოწმებულ ეპიზოდებში და, აგრეთვე, სასწაულების ჩადენის უნარი, რათა წმიდანის იდეალური სახე საბოლოოდ დასრულდეს.

წმ. ეპიფანე კვიპრელმა სიცოცხლეშივე მოიპოვა წმიდანის რეპუტაცია. უკელვან, სადაც კი ის გამოხნდებოდა, გარშემორტყმული იყო თაყვანის მცემლებით და ადამიანები მრავალი საათის განმავლობაში ისმენდნენ მის ქადაგებას²⁶. წმიდა მამები ხშირად მიმართავდნენ მას, განემარტა ქრისტიანობის ესა თუ ის დოგმატური²⁷ და პოლემიტური საკითხი, მასთან ამოწმებდნენ ლიტურგიკული წესების შესრულების სისწორეს ეკლესიაში²⁸. მასვე მიაწერდნენ მრავალ სასწაულს. სასწაულმოქმედის ეს სახელი კიდევ უფრო იზრდება მისი სიგვალის შემდეგ, რაშიც უთუოდ დიდი წვლილი მიუძღვით ეპიფანეს „ცხოვრების“ ავტორებს – იოვანესა და პოლიბიოსს. მართლაც, თხზულებაში უხვიდად წარმოდგენილი სხვადასხვა ხილვა-სასწაულები და ლეგენდარული ამბები: ეპიფანე კურნავს აფადმყოფს, არჩენს საპყარო, აღადგენს დაცემულ-გარდაცვლილთ, დავრდომილთაგან განდევნის ეშმაკისეულ სულსა და დემონურ ძალებს; მის

25 ეს პასაჟი და ეპიფანესა და ფაოსტინიანობის ურთიერთობის ამსახველი ეპიზოდი ცალკე საკითხევებადაა შესული ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ A 112 ხელნაწერში შემდგენ სათაურებით: „ოქტომბერი ცხოვრებისა ეპიფანესა, ვითარმები სწორი სახელით ჯერ-არს სამშჯავროზედა და არა თუალლებად, არა მდიდართა და გლახაკო ზედა ნამდებაობა“ (97 v); „ნიტფუა ცხორებისგან წმიდისა ეპიფანესი საზრდელთა საყიდელისათვეს“ (272 r).

26 D. Amand, Fatalisme et liberté dans l'antiquité grecque, p. 441-442.

27 იხ. „კითხვაა მმისა ვისმე დიდისა ეპიფანეს მიმართ – რაისათვეს ნეტარებანი ვიდრემე ცხრანი არიან?...“ – S 269 (XVII ს.) 187r; Q 338 (1831 წ.), 25r, Q 284 (1862 წ.), 27r.

28 იხ. „...მამისა ეპიფანესთვეს“ – Sin. 35 (პატ.-ასტმტური კრეტული, XI ს.), 281r.

სიტყვას ნადირნიც კი ადამიანებივით შეისმენენ, მისი ხილვისას უმაღლ კვდება მტაცებელი ლომი, მას შეუძლია ღვინის წყლად ქცევა ტიგში და უდაბურ ადგილას წყაროს აღმოცენება, მის ლოცვას ძალუძს წვიმის მოვანაც, ავდრიანი ღრუბლების გადაურაც და ა.შ.

ზოგჯერ ასეთი სასწაულების სიჭარებები პაგიოგრაფიული ნაწარმოების ნაკლად მიაჩნიათ. მაგრამ ამ უანრის თხზულების ლიტერატურული ლირებულება უნდა შეფასდეს არა მასში წარმოდგენილი სასწაულებისა და ლეგენდების მეტ-ნაკლებობით, არამედ იმით, თუ რამდენად ორგანულადად ჩართული ისინი ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში და რამდენად არ არღვევს მის საერთო კომპოზიციურ მთლიანობას. ამ მხრივ ეპიფანეს „ცხოვრება“, „რომელსაც ძალზე დინამიკური სიუჟეტი აქვს, საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

12 მაისს ქრისტიანულმა ეკლესიამ დააწესა ეპიფანეს ხსენების დღე. ამ დღის ადსანიშნავად დაუწერიათ ეპიფანეს სფინაქსარული ცხოვრება, რომელიც ქართულად შემონახულია გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ „დიდ სფინაქსარში“²⁹. ეს საკითხავი იოვანესა და პოლიბიოსის თხზულებას ემყარება, ამიტომ რაიმე ახალს ეპიფანეს ცხოვრებაზე მასში ვერ აღმოვაჩენთ. ამავე დღისთვის შეუთხავთ ეპიფანეს სახელზე სახოტბო ჰიმნები, რომლებიც დაცულია ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში, განსაკუთრებით მრავლად კი – სინურ ხელნაწერებში. ესენია: Sin. I (იადგარი, X ს. I ნახევარი), Sin. 14 (იადგარი, X ს.), Sin. 64 (იადგარი, X ს. II ნახევარი), Sin. 94 (გამოკრებილი თვენი, XIII-XIV სს.), Sin. 92 (თვენი, XIII-XIV სს.)³⁰, ასევე H 1710 (გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი თვენი, XI ს.)³¹, Ath. 76 (გამოკრებილი თვენი, XI ს.), Q 661 (თვენი, XVI ს.)³² და სხვ. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ ცნობებს მისი ბიოგრაფიის შესახებ არც ეს ლიტურგიკულ-პოეტური მასალა იძლევა. აშენავა, რომ ჰიმნოგრაფებს³³ გამოუყენებიათ ზოგიერთი ეპიზოდი ეპიფანეს პაგიოგრაფიული „ცხოვრებიდან“. მაგალითად, საგალობლების ერთ ადგილას პოეტი ასე მიმართავს თავისი ხოტბის გმირს:

„მკურნალ გექმნა სულთა და ჭორცთა შენთა კაცი იგი ღმრთისათ, წმიდაო, და კაპრაულსა შენსა თანა მოაკუდინა ტკივილიცა შენი, და ფერჭა

29 Ath. 30 (1071 წ.), 12 მაისი; A 97 (XI ს.), 188v-189r; H 2211 (XI ს.), 246r-247r..

30 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. I, თბ., 1978, 13-38; 39-53; 187-208; ნაკვ. II, თბ., 1979, 298-303; 262-288.

31 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ... H კოლექცია, IV, თბ., 1950, 140-143.

32 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (A) კოლექციისა, II, 119-134.

33 საგულისხმოა, რომ A 235 ხელნაწერში (თვენი, ანტონ I რედ., 1789 წ.) „ანონი წმიდისა ეპიფანესი“ ითანე მონაზონს მიეწერება (195r).

შენსა თანა განკურნა ცნობად შენი, დირსო!“³⁴

წმ. ეპიფანეს ბიოგრაფიის ეს დეტალები, რასაკვირველია, ამოღებულია მისი „ცხოვრების“ ეპიზოდიდან, რომელშიც მოთხრობილია შემდეგი:

„...და წინამთ შესლვამდე დაბად ვითარ მიღიონით ერთით შეემთხვდ მას კაცი ვინმე ქრისტიანც, სახელით კლეობიოს, და პრქუა მას: ჰყიდია კარაულსა მაგას, შვილ? ხოლო ეპიფანე მიუგო და პრქუა მას: არა, მამაო. ხოლო კლეობიოს პრქუა მას: უკუკოუ ჰყიდი, მიიღე სასკიდელი მაგისი და მომეც მე ეგვ. და ვითარ ამას ეტყოდა ოდენ კლეობიოს ეპიფანეს, მაშინ მექსეულად კარაული იგი ზნიანი აღბორგდა და გარდამოაგდო ეპიფანე და დააგუეთა ქუეყანასა ზედა და იგი განვიდა გარეშე ალაგსა მას. ხოლო ეპიფანეს იძულებითა მით კარაულისათა ევნო ბარალსა თკსსა და იდვა იგი ქუეყანასა ზედა და ტიროდა მწარედ და არა ძალედვა მას ძალებომად.

მაშინ კლეობიოს მივიდა ეპიფანესა და უპყრა მას ბარკალი იგი, რომელ ვნებულ იყო და დასწერა მას სამჯერ ჯუარი. და მექსეულად ალდგა იგი, და არარად იყო მის თანა ყოვლად ვნებად იგი. ხოლო კლეობიოს პრქუა კარაულსა მას: ყოვლითავე ზნითა სავსეო, რამეთუ რავდენ გინდა შენ მოხიგუდილი შენისა უფლისად? სახელითა იესუ ქრისტეს ჯუარცმულისათა ხუდარა წარხკდე შენ ამის ადგილისაგან! და სიტყუასა ამას ოდენ კლეობინცსსა მექსეულად დაუცა კარაული იგი ქუეყანასა ზედა და მოკუდა.

მაშინ ჰითხვიდა ეპიფანე კლეობინეს და პრქუა მას: ვინ არს, მამაო, იესუ ჯუარცუმული, რამეთუ ესევითარი ესე იქმნების მის მიერ სახელითა მისითა? მიუგო კლეობიოს და პრქუა მას: ესე იგი არს იესუ, ძმე ღმრთისათ, რომელი ჰურიათა ჯუარს-ძცუეს. ხოლო ეპიფანეს შეეშინა და უთხრა მას: რამეთუ ჰურიათ არს იგი“ („ცხოვრება“, 93-94).

დავიმოწმებთ სხვა ამგვარ ნიმუშებს:

„რაჟამს გესმა წმად სულიერი, მოიძულე ჭორცთა ზრუნვად და შეიყუარე შენ გზად მონაზონთად, და დად შენი ზიარი სისხლთა შენთად გეზიარა ნებასა შენსა სულიერებრსა და ორნივე სათნო-ეყვენით ღმერთსა“³⁵.

(შდრ.: „ცხოვრება“, გვ. 95-97).

„შეგეწყალნეს მოუძლურებულნი სიცხესა წყურილითა და პირველად სასწაულად მიემსგავსე ქრისტესა, ვითარცა ხარ მსახური მისი სარწმუნო, გარდააქციე ღპნოვ იგი წყლად, დირსო ეპიფანე“³⁶.

(შდრ.: „ცხოვრება“, გვ. 97-98).

„მოგიცვეს შენ, წმიდაო, აგარეანთა, ვითარცა ეშმაკთა გუნდმან, ხოლო

34 Sin. I, 163r; Sin. 14, 208v, Sin. 64, 175v. შდრ.: H 1710, 60r; Sin. 94, 124v.

35 Sin. 1, 163r; Sin. 14, 208v; Sin. 64, 175v. შდრ.: H 1710, 60v; Sin. 94, 125r.

36 Sin. 1, 163v; Sin. 14, 209r; Sin. 64, 176r. შდრ.: H 1710, 61v.

შენ ემსგავსე უფალსა შენსა და შემცოდებელსა შენსა; ერთ თუალსა მიპმადლენ თრნი თუალნი მხედველად, დირსო ეპიფანე.

შემოქმედი შენი მკაფიო იყო შენ თანა, დირსო მამაო, და გყო შენ სამკაფიო სულისა წმიდავსა და ღმერთ, ვითარცა მოსე ფარაონსა, აგრეთვე შენ არაბიელთა კრებულსა, ნეტარო³⁷.

(შდრ.: „ცხორება“, გვ. 98-99).

„სული იგი, რომელ განსდევნე, წმიდაო, აღაშფოთა მეფის იგი ბაბილონელთაი და იქმნა მიმთხოველ საქმეთა შენთა, დირსო ეპიფანე, რამეთუ ღმერთმან ყვის დიდებად მმადლობელთა მისთაღ“³⁸.

(შდრ.: „ცხორება“, გვ. 99-101).

„შეგივრდა შენ წინაშე ფერჭთა შენთა მეფის ქადაგებელთაო, ვითარცა უწყის ბოროტმან, ზარი სიწმიდისაღ და ყოველნი დამდაბლდიან მის წინაშე, რომელსა შინა დაიმკაფიოს დიდებულმან ღმერთმან მამათა ჩუენთამან“³⁹.

(შდრ.: „ცხორება“, გვ. 101-102).

ეპიფანე კვიპრელისადმი მიძღვნილ ჰიმნებში, წმიდანის ტრადიციულ ხოტბა-შესხმასთან ერთად, ისმის აგრეთვე მისი შეუპოვარი ანტიერეტი-კული ბრძოლების გამოხახილი და, საერთოდ, განდიდებულია ეპიფანეს ლიტერატურული ღვაწლი მწვალებლობის დაძლევის და ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცების საქმეში:

„სწავლითა შენითა შეამგე ეკლესიაღ და შემდგომად სიკუდილისა ცხოველ ხარ უფლისა მიერ, ეპიფანე. ამისთვისცა გიგალობთ შენ.

ბრწყინვენ სიტყუანი შენნი სოფელსა შინა, მსახურო ქრისტესო, დირსო ეპიფანე, უფროის მზისთუალისა ბრწყინვალედ საღმრთონი შენნი სწავლანი“⁴⁰.

„შენ სიბრძნისა სიტყუანი ამხილე მწვალებელთა ზაგუგასა და მართლ-სარწმუნოებისა ნათლითა განიპოხენ, ნეტარო; და იტყოდე: „აგურთხევდით ყოველნი საქმენი, უფალსა უგალობდით!“⁴¹.

„ექმენ ქადაგ შჯულსა მას მადლისასა, ღმრთივდიდებულო, და განანათლე სოფელი ნათლითა საღმრთომთა მით მოძღურებითა შენთამთა, ეპიფანე; და მწვალებელთა იგი სიცაბილი დააქციე და განაქიქე, და საღმრთოდ სიკეთე მართლისა სარწმუნოებისაღ საანჯმნო-ჰქმენ და ქრისტეს

37 Sin. 1, 163v; Sin. 14, 209v; Sin. 64, 176r. შდრ.: H 1710, 62r; Sin. 94, 126v-127r; Q 661, 206v.

38 Sin. 163v; Sin. 14, 209v; Sin. 64, 176r. შდრ.: H 1710, 62r; Q 661, 206v.

39 Sin. 1, 164 r; Sin. 14, 209v; Sin. 64, 176r. შდრ.: H 1710, 62v; Sin. 94, 127r-v.

40 Sin. 1, 163r; Sin. 14, 208r; Sin. 64, 175v, შდრ.: H 1710, 57v; Sin. 92, 257r.

41 Sin. 1, 164r; Sin. 14, 209v; Sin. 64, 176r. შდრ.: H 1710, 63r; Q 661, 206v.

ეპლესიასა შჯულისმდებელ ექმენ, პრძენო“⁴².

„გიხაროდენ, დიდო მნათობო, რომელმან ნათლითა მოძღვრებითა შენ-თავთა სოფელი განანათლე, და დასწუენ წვალებისა ღუარძლნი, და უმ-ეცრებისა ღელვათა შინა მყოფნი და დანოქმად მიახლებულნი სულნი აცხოვნენ...“

გიხაროდენ, წყალო ცხოველო, აღგსებულო მდინარეთაგან სულისათა, გპრგპნო ეპლესიათაო, მდდელომოძლუართა თუალო, მონაზონთა სუეტო და საფუძველო, წინამბრძოლო და შემწეო სარწმუნოებისაო უძლეველო, ხოლო მწვალებელთა მომსრველო, ნესტო კმატბილო და მერცხალო ზეცისაო, გონებაო მდჟძარეო, პირო დმრთივბრწყინვალეო, ნეტარო ეპი-ფანე, მადლოთა საღმრთოთა ჯურღმულო ღრმაო, ღმერთსა ევედრე“⁴³.

წმ. ეპიფანე კვიპრელზე არსებული ქართული წყაროების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ახალ, უცნობ მასალებს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ისინი არ შეიცავს. ამასთანავე, ეს წყაროები ცხადყოფს იმ უთუო ინტერესს, რასაც ჩვენი ძველი მწერლები იჩენდნენ ამ გამოჩენილი საეკლესიო პირისა და მწიგნობრისადმი. ამასვე ადასტურებს ეპიფანეს თხზულებათა ძველქართული თარგმანები, რომლებიც საკმაოდ ფარ-თოდაა წარმოდგენილი ჩვენს ლიტერატურაში.

42 H 1710, 58r; Q 661, 205r.

43 H 1710, 58v. Ath. 76; 22.

წმ. ეპიფანეს ლიტერატურული მემკვიდრეობა და მის

თხზულებათა ჩართული თარგმანები

პიფანე კვიპრელის მრავალმხრივ სასულიერო-პრაქტიკულ საქმიანობასთან მჭიდროდ იყო დაგავშირებული მისი სამწერლო მოღვაწეობა. მოძღვრების დაცვის ინტერესებმა, რომლისთვისაც იღვწოდა ეპიფანე მთელი ცხოვრების მანძილზე, გამოხატულება პპოვა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც.

ადრეული შეა საუკუნეების საეკლესიო ცხოვრება ხშირად აყენებდა დღის წესრიგში დოგმატური, პოლემიკური და ლიტერგიკული საკითხების სასწრაფო გადაწყვეტის აუცილებლობას, რაც, ბუნებრივია, მძლავრ შემოქმედებით იმპულსს აძლევდა ლიტერატურული და მწიგნობრული საქმიანობის განვითარებას. სასულიერო მწერლობის ამგვარი პრაქტიკული დანიშნულება, რაც ერთი წუთითაც არ ამცირებს მის წმინდა მხატვრულ-ესთეტიკურ ღირსებებს, დრომ მოიტანა და დროისავე კანონზომიერებებით იყო ნაკარნახევი. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ეპიფანეს ყველა ძირითადი ნაწარმოები სწორედ მის თაყვანისმცემელთა კითხვებისა და თხოვნების პასუხად შეიქმნა. ალბათ, ამიტომაც შეიგრძნობა ამ თხზულებებში ასე ძალუმად ეპოქის ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების მაჯისცემა. დღეს სადაცო არ არის ეპიფანეს შრომების დიდი ისტორიული და შემცნებითი მნიშვნელობა. მოკლედ მიმოვისილოთ მისი თხზულებები⁴⁴.

„ანგკროტოსი“ (Ἀγκυρωτός) ანუ „ღუზით დაბმული“. პამფილიის ეკლესიიდან, კარგა ხანია, სოხოვდნენ ეპიფანე კვიპრელს, რათა განემარტა და წარმოეჩინა ნამდვილი არსი ღმერთის სამებისა, კერძოდ კი, სული წმიდისა. ამ სურვილს ეპიფანე გამოეხმაურა 374 წელს „ანგკროტოსის“ შექმნით. თხზულებას, ვითარცა დუზას, უნდა შეეჩერებინა არიანული და სემიარიანული (ნახევრადარიანული) არეულობანი. გარდა სამების მოძღვრებისა, შრომაში გარკვეული ადგილი ეთმობოდა განკაცებასა და მკვდრეოთ აღდგომაზე მსჯელობას. ამ დოგმატური საკითხების განხილვას ახლდა ანტიერეტიკული ექსკურსები, მწვავე პოლემიკური პათოსი, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა ჯურის მწვალებელთა წინააღმდეგ. თხზულებას ბოლოში დართული ჰქონდა ორი სარწმუნოებრივი აღსარება. პირველი, რომელიც უცნობი წარმოშობისაა, შემოღებული იქნა როგორც ნათლობის აღსარება კონსტანტიის ეკლესიაში, ჯერ კიდევ ეპიფანეს ეპისკოპოსად არჩევამდე. უკვე 381 წელს კონსტანტინეპოლის კრე-

44 PG. 43. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, s. 295-302. B. Altaner, A. Stuiber, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, s. 316-318.

ბამ ეს აღსარება (მცირეოდენი შესწორებებით) გამოაცხადა ეკლესიის რწმენის ერთიან სიმბოლოდ. ხოლო მოგვიახებით იგი გადაიქცა მთელი აღმოსავლეთის საყოველთაო ნათლობის სიმბოლოდ. მეორე აღსარება დამუშავდა ეპიფანებ „ღუზით დაბმულზე“ მუშაობის პროცესში.

„ანგკროტოსი“ ქართულ ენაზე არ ყოფილა თარგმნილი. მისი მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტი (Διαμερισμὸς τῆς γῆς) გადმოუდიდ ექვთიმე ათონელს და ჩაურთავს მაქსიმე აღმსარებლის „ნეტარისა თაღას-ეს მიმართ“ თხზულების მისეულ თარგმანში⁴⁵. ამასთანავე, როგორც პამელიძემ გაარკვია, ეპიფანე პატრელის შრომა ექვთიმეს უთარგმნია არა წმინდა სახით, არამედ „შიგადაშიგ შეუტანია ცნობები როგორც იპოლიტეს ქრონიკიდან, ისე სხვა ანალოგიური ნუსხებიდან, რომელთა გარკვევა დღესდღეობით შეუძლებელია“⁴⁶. არაა გამორიცხული, რომ ექვთიმე ათონელს ესარგებლა ეპიფანეს „ანგკროტოსის“ დასახელებული ფრაგმენტის „უავე კომპილირებული ბერძნული ტექსტით.

„საზომთათვს და საწყაულთა“ (Περὶ μέτρον καὶ σταθμῶν) დაწერილია კონსტანტინეპოლში 392 წელს, ერთი სპარსი მღვდლის თხოვნით. ეს თხზულება გაცილებით სცილდება სათაურში მოქცეული ცნების ჩარჩოებს და წარმოადგენს ბიბლიის ნამდვილ ენციკლოპედიას. მასში განხილულია ძველი აღთქმის კანონიკური წიგნები და თარგმანები, ბიბლიის წიგნებში დადასტურებული ზომისა და წონის ერთეულები და ბოლოს, პალესტინის გეოგრაფია. შრომა უფრო ცალკეული მონაბაზებისა და პროექტების ნაგრების შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე დასრულებული ნაწარმოებისას. ჩვენამდე მოღწეულია მისი სრული სირიული თარგმანი, რომელიც პ. დე ლაგარდმა გამოსცა. ბერძნულ ენაზე არსებობს მხოლოდ თხზულების პირველი ნაწილი და მეორე ნაწილის პატარა ექსცერტი.

ჩვენს მწერლობაში შემორჩენილია „საზომთა და საწყაულთას“ მხოლოდ ფრაგმენტები და ისიც კომპილირებული სახით. ერთი ასეთი ფრაგმენტის ქართული ტექსტი, რომელსაც სათაური არ მოეპოვება, გამოქვეყნებულია „შაგბერდის კრებულში“, სადაც ის წარმოადგენილია სამ ნაწილად: ა) ეპიფანე კპრელი, „საზომთათვს და საწყაულთა“; ბ) დიომიდე, ფრაგმენტი დიონისიოს თრაკიელის გრამატიკის სქოლიონებიდან⁴⁷;

45 პ. პამელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები მცენ ქართულ მწერლითაში, ერთულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, 168-182. შედრ.: გ. ჟორდანია, მეხურელთა და არამ ხელუს ვინაობის შესახებ („ხალხთა წარმოშობის წიგნის“ ქართული ვერსიის შესწავლისათვის), თბ., 1956, 7-15.

46 იქვე, 177.

47 ტექსტის ეს ნაწილი „სახწავლო წიგნის“ სათაურით პირველად გამოსცა მ. ჯანაშვილმა. იხ. მიხი: „აღვადგინე, ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებული სახელმძღვანელო, ტფ., 1891, 118-134.“

გ) იპოლიტე რომაელი, „ქრონიკონი“⁴⁸.

პირველად ნ. მარმა მიაქცია ყურადღება, რომ „შატბერდის კრებულში“ უსათაუროდ დაცული თხზულება წარმოადგენდა ეპიფანეს „საზომთა და საწყალთას“ XXII, XXIII, XXIV, IV, V და ნაწილობრივ VI თავებისაგან შემდგარ განსაკუთრებულ ქართულ ვერსიას; ამასთანავე, მიუთითა მის კომპილაციურ შედგენილობაზე და აღნიშნა: მხელი სათქმელია, საიდან მომდინარეობს ქართული თარგმანი: სომხურიდან თუ ბერძნული ენიდან. თუ ის გადმოღებულია უშეუალოდ ბერძნულიდან, მაშინ მთარგმნელს ელემენტარულად მაინც უნდა სცოდნოდა სირიული ან ებრაული ენაო⁴⁹.

ს. ყაუხხიშვილმა ქართული ვერსიას იმ მონაცემთს, რომელიც ეხება ბერძნულ ანბანს, მოუძებნა შესაბამისი ბერძნული წყარო – დიომიდეს დიონგვიოს თრაკიულის გრამატიკის სქოლითები და გამოსცა ქართულ-ბერძნული პარალელური ტექსტები. ასევე გამოყო ეპიფანეს თხზულები-დან ქართული ტექსტის მესამე ნაწილი – ქრონლოგიური ნუსხა⁵⁰.

ეპიფანეს ქართულ ვერსიას დაუცავს ცნობები ებრაული ანბანის, ძველი აღთქმის წიგნთა თუ ფსალმურთა დაყოფის შესახებ... მ. შანიძემ ამ ცნობების დაახლოებით იდენტურ ტექსტს მიაკვლია სხვა ქართულ ხელნაწერებში – A 38-სა და A 691-ში. ამასთან, A 38 („მცხეთის დავითი“, XI ს.) ნუსხის ტექსტში გამოვლინდა შესამჩნევი სირიაიზმები⁵¹, ხოლო A 691-ში აღმოჩნდა „საზომთა და საწყალთას“ ისეთი ფრაგმენტები, რომლებიც „შატბერდის კრებულში“ არ მოიპოვება. ეს აფიქრებინებს მკვლევარს, რომ ძველად არსებობდა სომხური ან სირიული წყაროდან მომდინარე აწ დაკარგული სრული ქართული თარგმანი ეპიფანეს აღნიშული შრომისა⁵².

და ბოლოს, ი. აბულაძემ გაარკვია, რომ „შატბერდის კრებულში“ შეტანილი უსათაურო თხზულების ბოლო ნაწილი წარმოადგენს იპოლიტე რომაელის „ქრონიკონის“ ქართულ ვერსიას, რომელიც შექმნილი უნდა იყოს არა უადრეს 717 წლისა. მისი აზრით, ეს ქრონლოგიური სია თრგანული ნაწილია მთლიანი თხზულებისა და უფრო თარგმნილი

48 შატბერდის კრებული X საუბანისა, გამოსაცემად მოამზადეს პ. გიგინეოშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, 191-202.

49 ნ. Mapp: М. Джанашвили, Литература IX-X веков, Учебная книга, Византийский Временник, т. IX, вып. 3-4, Санкт-Петербург, 1902, 464-466. მდრ. კ. კველიძე, მხელი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 460-461.

50 ს. ყაუხხიშვილი, შატბერდის კრებულის სახწავლო წიგნი, ტფილისის უნივერსიტეტის მრამბე, III, თბ., 1923, 178-185.

51 მ. შანიძე, ებრაული ანბანის გადმოცემის შემთხვევები ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბ., 1957, 168-171.

52 მ. შანიძე, ფსალმურთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, 87-95; 106-107.

უნდა იყოს ბერძნული ენიდან, ვიდრე ქართველი ავტორის მიერ შედგენილი ნაწარმოები⁵³. თავის გამოკვლევას მეცნიერმა დაურთო იპოლიტეს „ქრონიკონის“ ქართული ტექსტი⁵⁴.

როგორც ვხედავთ, ყველა ხსენებული მკვლევარი ამა თუ იმ კუთხით შეეხო ეპიფანეს „საზომთა და საწყალთას“ იმ ფრაგმენტს, რომელიც „შატბერდის კრებულშია“ გამოქვეყნებული⁵⁵, მაგრამ ამ თხზულების ქართული ვერსიის მთლიანობაში შესწავლა ჩვენსა თუ საზღვარგარეთის სიძელეეთსაცვებში დაცული მისი თითოეული ფრაგმენტის გათვალისწინებით არავის უცდია. ეს რთული სამუშაო შეასრულა მიშელ ვან ესპროგმა, რომელმაც გამოკვლევასთან ერთად გამოაქვეყნა „საზომთა და საწყალთას“ ქართული ტექსტის ფრანგული თარგმანი⁵⁶. მან ქართული ვერსიის ყოველ მონაკვეთს დაუქმნა შესაბამისი თავები პ. ლე ლაგარდის ეპიფანეს შრომის სირიულ გამოცემაში და ხელნაწერთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ტრადიციის საფუძველზე გამოყო ორი ფრაგმენტი: მოკლე, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული და ვრცელი, რომელიც დაცულია A 691 (XII-XIII სს.) ხელნაწერში. შინაარსის მიხედვით, ქართული თარგმანი ხუთ ძირითად ნაწილად გაყო: 1. ძველი აღთქმის თარგმანები; 2. დიაგრამიკული ნიშნები; 3. საწყალებები; 4. საზომი; 5. მოსეს ხუთწიგნეული. დამატებით მე-6 თავად გამოყო ცნობა ბერძნული ანბანის შესახებ, რომლის წყაროს დიომიდეს კომენტარები წარმოადგენს. მკვლევარმა დაწვრილებით განიხილა თითოეული ეს თავი და შეადარა ისინი ბერძნულ, სირიულ და სომხურ ანალოგიურ ტექსტებს. გაირკვა, რომ ქართული ვერსიის ერთი ნაწილი (1-3 თ.) მომდინარეობს უცნობი სირიული ტექსტიდან, მეორე ნაწილი კი (4-6 თ.) – ბერძნულიდან. თარგმანი შეასრულებულია VII საუკუნის დასაწყისში. განსაკუთრებით საგულისხმოა ესპროგის მოსაზრება, რომ „საზომთა და საწყალთას“ ქართული ვერსია, ბერძნული და სირიული რედაქციებისგან განსხვავებით, წარმოადგენს ეპიფანეს ცალკე, დამოუკიდებელ შრომას, რომელსაც სულ სხვა მიზანდასახულება და იდეური ჩანაფიქრი აქვს, ამიტომ ამ უძველეს თარგმანს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის ლიტერატურული მექანიზმების უფრო სრულყოფილად შესწავლის საქმეში⁵⁷.

„ათორმეტთა თუბლთათკს“ (περὶ τῶν ιβί λίθων) შექმნილია 394 წელზე

53 ი. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია, შრომები, III, თბ., 1982, 107-117.

54 იქვე, 118-127.

55 იხ., აგრეთვე, მ. შანიძისა და ე. გიუნაშვილის გამოკვლევა „შატბერდის კრებულის“ შესავალში, 38-40.

56 Les versions géorgiennes d' Épiphane de Chypre, traité des poids et des mesures, traduit par Michel van Esbroeck, Corpus scriptorum christianorum orientalium, vol. 461, Lovanii, 1984.

57 იქვე, 1-26.

ცოტათი ადრე, დიოდორე ტპრელი ეპისკოპოსის თხოვნით. თხზულება ალეგორიულად განმარტავს თორმეტ ძვირფას ქვას, რომელიც ძველი აღთქმის მდგრელმთავრის მგერდზე იყო მიმობნეული და აღნუსხავს ჯერ კიდევ ანტიური წიგნებიდან მომდინარე ქვათა სამკურნალო თვისებებს. შემორჩენილია მისი შედარებით ვრცელი ძველი ლათინური და სომხური თარგმანები. შემონახულია აგრეთვე ბერძნული, კოპტური და ეთიოპური ფრაგმენტები.

ქართულად დაცულია „თუალთას“ ყველაზე ვრცელი და სრულყოფილი რედაქცია, რომლის პრიტიცული ტექსტი დაიბეჭდა ხენებულ „შატბერდის კრებულში“⁵⁸. თავდაპირველად კი მისი ნაწილი პარალელური რესული თარგმანით გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა⁵⁹. მან ქართული თარგმანის სათაურსა და ძვირფასი ქვების სახელწოდებებში ბერძნული ენის გავლენის გვალი დაინახა და ამიტომ თხზულება ბერძნულიდან თარგმნილად გამოაცხადა⁶⁰.

ჯანაშვილის ნაშრომზე დაწერილ რეცენზიაში პირველად ნ. მარმა მიაქცია ყურადღება, რომ „თუალთას“ ქართულ ვერსიაში ყველაზე უპეტ უნდა ყოფილიყო შემონახული ამ თხზულების თავდაპირველი ბერძნული ორიგინალის სახე. მან დასაშვებად მიიჩნია თარგმანის ბერძნულიდან წარმომავლობის შესაძლებლობა, თუმცა ჩათვალი, რომ ამ კითხვაზე საბოლოო პასუხს გასცემდა მისი უფრო დრმა მეცნიერული შესწავლა, რის აუცილებლობასაც ქმნიდა როგორც საკუთრივ ქართული ლიტერატურის, ისე ამ ბიზანტიური ძეგლის შესწავლის ინტერესები⁶¹.

„ათორმეტთა თუალთათუ“ ქართული ტექსტის მეორე, უპვე სრული გამოცემა ინგლისური თარგმანით, ვრცელი გამოკვლევით, საძიებლებითა და ლექსიკონითურთ განახორციელდა რ. ბლეიკმა. ყველა მონაცემის (ბერძნიზმები, არმენიზმები...) დაწვრილებით შესწავლის საფუძველზე, იგი მივიდა იმ დასკვნამე, რომ ეპიფანეს ამ თხზულების ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს არა ბერძნულიდან ან სირიულიდან, არამედ სომხური ენიდან⁶². ჩვენ მაინც დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ქართველ მთარგმნელს „თუალთას“ სომხურ ტექსტთან ერთად ესარგებლოს მისი ბერძნული დევნიტური დედინთაც.

58 შატბერდის კრებული, 127-175.

59 М. Джанашвили, Драгоценные камни, их названия и свойства, Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXIV, Тф., 1898, 1-72.

60 იქვე, 5; 8-9.

61 Н. Mapp: М. Джанашвили, Драгоценные камни, их названия и свойства, Византийский Временник, т. IX, вып. 3-4, СПБ., 1902, 466-469.

62 Epiphanius de Gemmis, by Robert P. Blake, pn. d; and Henri De Vis, Studies and Documents, II, London, 1934, P. LX იხ., აგრეთვე, „შატბერდის კრებულის“ შესავალი, 37-38, ქმბელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 460.

ეპისტოლები. ლათინურ ენაზე დაცულია ეპიფანე კვიპრელის ორი წერილი, რომლებიც ორიგენისტული ბრძოლების პერიოდს განეცუთვნება. ერთი მათგანი (PG 43, 379-392) დათარიღებულია 394 წლით და მიმართულია იოვანე იერუსალიმელისადმი. ეს ეხება ზემოთ უკვე ნახსენები პაულინიანებს მდგდლად კურთხევის საქმეს (იხ. გვ. 16) და ორიგენეს შეცდომებს; ლათინურად თარგმნილია იერონიმეს მიერ. მეორე, პატარა წერილი (PG 43, 391-392), მიძღვნილია თავად იერონიმესადმი (მისდამი გაგზავნილი ეპიფანეს მეორე, გვიანდელი ეპისტოლე და გარებულია). ის დაწერილია 400 წლის ბოლოს, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია ორიგენიზმზე გამარჯვებას ზეიმობდა.

ბერძნულად შემორჩენილია ეპიფანეს ეპისტოლე არაბი ქრისტიანებისადმი (პანარიონი, ერ. 78) და ფრაგმენტი წერილისა აღდგომის უძმის შესახებ. ზოგიერთი ნაწყვეტი მისი ეპისტოლებიდან მოღწეულია აგრეთვე სირიულ ენაზე⁶³.

მხოლოდ სახელწოდებითაა ცნობილი რომის პაპ სირიციუსისადმი და პალესტინელი ბერებისათვის მიწერილი ეპიფანეს წერილები, რომლებიც მიმართულია იერუსალიმის ეპისკოპოსის, იოვანეს, წინააღმდეგ. იერონიმე მოიხსენიებს ახევე მის „მოკლე ეპისტოლე“, 371 წელს კვიპროსზე გარდაცვლილი ბერის, ილარიონის, სიქველეთა შესახებ.

ქართულ ენაზე არსებობს ბასილი კესარიელის „ეპისტოლე ეპიფანეს ეპისკოპოსა“. იგი წარმოადგენს ეპიფანეს წერილის პასუხს და ძირითადად ეხება სასულიერო წრეების უთანხმოებებს ანგიოქიის ეპლესიაში; დაცულია S 381 ხელნაწერში (1864 წ. გვ. 164-166), რომლის შემადგენელი ბასილის ეპისტოლეები თარგმნილია რუსულიდან 1799 წელს მოზღვეულში, გაითხ ასტრახანის არქიეპისკოპოსის (რექტორის) მიერ⁶⁴.

და ბოლოს, უნდა ვახსენოთ ეპიფანე კვიპრელის კიდევ ერთი ეპისტოლე, რომლის ადრესატიცაა იმპერატორი თეოდოსი I. ეს წერილი დაწერილია წმიდა ხატების წინააღმდეგ⁶⁵. ამავე თემას ეძღვნება მწერლის „ტრაქია-ტი“ და „ანდერძი“ თავისი მრევლისათვის. ეპიფანე ხატებს თვლის ეშმაგისულ გამონაგონად და კერპთაყვანისმცემლობის გამოვლენის ფაქტად. ამიტომ „ანდერძში“ ანათემით ემუქრება იმათ, ვინც განკაცებულ დმერთლობას, მიწიერი ფერებით გამოხატულს, დვთაებრივ ხატად ჭერებს.

ეპიფანე კვიპრელს მიეწერება კიდევ მრავალი სხვა თხზულება. ზოგიერთი მათგანის შექმნაში მას, მართლაც, მიუძღვის გარკვეული წვლილი,

63 Clavis patrum graecorum, vol. II, ab Atanasio ad Chrusostomum, Cura et studio M. Gerard, Corpus Christianorum, Brepols-Turnhout, col. 1974, 3757-3760.

64 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, I, თბ., 1959, 446. პ. გეგმლიძე, ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 390.

65 ო. ბარდენპეგერი, ვილჰელმ შრომბზე დაყრდნობით, VIII ს-ში გამოჩენილ ამ წერილს ხატებრძოლთა შეთხზულ-გამოგონილად მიიჩნევს. იხ. მიხ: Geschichte... III, 301.

ხოლო რამდენიმე ასეთი ძეგლი, როგორც დღეს მეცნიერებაში გარკვეულია, ეპუთვნის სხვა ავტორებს. ჩვენ ადარ შევუდგებით მათ ჩამოთვლას⁶⁶. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ თხზულებებს, რომლებიც ქართულ ენაზე არსებობს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ შეა საუკუნეების პიპულარული ძეგლი „ფიზიოლოგი“, რომელსაც ქართულად „მგეცოთგს სახისა სიტყვად“ წარდება⁶⁷. იგი მოგვითხოვთ ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და მინერალთა თავისებურებებსა თუ თვისებებზე, უპირისპირებს მათ ადამიანის ხასიათის ნიშნებს, მისთვის ჩვეულ სათნოებებსა და მანკი-ერებებს⁶⁸. ქრისტიანული ბუნების სიმბოლიკის ეს საინტერესო წიგნი კოლექტიური შრომის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს და შექმნილი უნდა იყოს II-IV საუკუნეებში. ნუსხათა უმეტესობა, მრავალრიცხოვანი გადამუშავებებითა და თარგმანებით, მის ავტორად ეპიფანე კვიპრელს ასახელებს. ქართული თარგმანი „ფიზიოლოგი“ ბასილი კესარიელს მიაწერს. მაგრამ როგორც პ. კეკელიძე აღნიშნავს, ხელნაწერთა ტრადიციას თუ მივიღებთ მხედველობაში, ის ეპიფანეს თხზულებად იგულისხმება. შატბერდის კრებულში, რომელშიც ბასილის არც ერთი ნაწარმოები არაა, „სახისმეტყელი“ მოთავსებულია ეპიფანეს თხზულებათა შორის (ასევეა S 384, A 6 და A 65 ხელნაწერებში)⁶⁹. „ფიზიოლოგი“ ქართული ვერსია, მისი პირველი გამომცემლისა და ვრცელი გამოკვლევის ავტორის, ნ. მარის აზრით, ხომხურიდან არის თარგმნილი VIII საუკუნის გახულს ტაო-კლარჯეტში⁷⁰.

„შატბერდის კრებულში“ ეპიფანე კვიპრელს მიეკუთვნება კიდევ ერთი ეგზეგეტიკური ნაშრომი – „თარგმანებად დავითის ფსალმუნებისად“ (გვ. 364-424). მასში განმარტებულია არა ყველა 150, არამედ მხოლოდ 15 ფსალმუნი – 1, 2, 3, 4, 5, 6, 9, 44, 45, 46, 49, 50, 67. აქედან „აღმოთქუენის“ ჯგუფის, ანუ მეშვიდე განონის ფსალმუნები მთლიანად (სულ 7 ფსალმუნი: 44-50) ხომხური ენიდან გადმოულია დაჩის (IX ს-ის დასასრული – X ს-ის დახსაწყისი), როგორც ეს ჩანს თარგმანების ტექსტზე წამდლგარებ-

66 იხ. Clavis patrum graecorum, vol. II, 3765-3807.

67 შატბერდის კრებული, 175. ი. მინაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაკ. I, თბ., 1970, 235.

68 Культура Византии, IV – первая половина VII в, М., 1984, 421.

69 პ. კეკელიძე, დველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 461.

70 физиолог, Армяно-грузинский извод. Грузинский и армянский тексты исследовал, издал и перевёл Н. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга VI, Санкт-Петербург, 1904, ст. XXIV-XXXIX; XLVII. იხ. აგრეთვე, „შატბერდის კრებულის“ შესავალი, 38. ი. აბულაძე, ქართული და ხომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944, 029-033; პ. იგოროვა, რესტავრაციის ეპოქის სალიტერატურო ძემგვიდრეობა, რესტავრაციის კრებული, თბ., 1938, 64-65 (აյ „ფიზიოლოგი“ ქართული თარგმანი VI-VII საუკუნეებით არის დათარიღებული).

ული მისი ეპისტოლურადან სტეფანე მტბევარისადმი. დანარჩენ ფსალმუნთა კომენტარებიც, ი. აბულაძის მოსაზრებით, ამავე მთარგმნელს მავრების გაუთვის⁷¹. ხსენიშვილ წერილში დაჩი წერს:

„მრავლით ქამითგან გულსმოდგინებ ვეძიებდ თარგმანებასა ფსალ-მუნთასა, წიგნსა მას, რომელი დაწერა წმიდამან მამამან (ჩუქმან) ეპი-ფანე პპტრელ ებისკოპოსმან, და არა ვპოვე ქართულად. ბერძნოთა ენითა ვპოვე და ვერ შეუძლე ცნობად, ვითარცა წყაროსა მიუწოდომელსა და ფასსა დაფარულსა. მერმე ვპოვე სომხურითა ენითა წერ[ილი] სრული-ად მითვე ბერძულითა განგებითა და მითვე რიცხვთა... ხოლო მე არა ვპოვე პირველ თარგმანებული და ამისთვის მცირედი ესა გემ(ოდ)სხილ-ვად გამოვთარგმნე...“⁷². აქ საგულისხმოა ის გარემოება, რომ IX-X საუ-კუნძულებში ბერძნულ, სომხურ და ქართულ ლიტერატურაში უკვე მკვიდრი ტრადიცია არსებულა, რომ ფსალმუნთა განმარტების ავტორი არის ეპი-ფანე კვიპრელი. დღეს გარკვეულია, რომ „თარგმანებაი დავითის ფსალ-მუნძისაც“ მართვნის თეოდორიტი კრიფტს⁷³.

„ეპიფანე კპტრელისად უფლისადასთჲს“ – ასე ჰქვია ერთ ძალზე მცირე ეგ ზეგეტიკური ხასიათის ტრაქტატს, რომელშიც გადმოცემულია ქრისტეს ცხოვრების ძირითადი თარიღები. იგი მოთვალებულია 5 287 ხელნაწერში (გვ. 119), რომელიც გადაწერილია XVIII საუბანის I ნახევარში რომანოს სამთავრებლის მიერ⁷⁴.

წმ. გვიფანე კვიპრელის სახელით მოღწეულია ლეგანდარული მოთხრობები წინასწარმეტყველების, ქრისტეს მოციქულებისა და მოწავეების შესხებ. ორი ახეთი თხზულება ძველ ქართველ მწერლობაშიცაა შემორჩენილი:

„საქმენი წმიდათა წინაძღვარმეტყუელთანი, გნად იყვნეს ანუ სადა მოსწყდეს ანუ სადა დაეფლნეს“ – დაცულია მხოლოდ A 691 ხელნაწერში (გვ. 92-112). ეს შრომა ბერძნულადაც არსებობს და გამოქვეყნებულია ორ რედაქციად მინის „პატროლოგიაში“ (t. 43, col. 415-428). ქართული ტექსტი წინაძღვარმეტყველთა რიგის მიხედვით ახლოს დგას პირველ რედაქციასთან, თუმცა მისგანაც მნიშვნელოვან ტექსტობრივ სხვაობებს იძლევა. თარგმანი შესრულებულია X საუკუნემდე⁷⁵, ხოლო თავად ლეგენდარული გადმოცემები წინაძღვარმეტყველებზე მომდინარეობს ებრაული წყაროებიდან, რომლებიც III-IV საუკუნეებში ქრისტიანულ ყაიდაზეა გა-

71 ა. აბულაძე, ქართველი და სომხელი ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სა-ებში, 142-143; 460. „შატბერიას კრიტიკოს“ შეხავლა, 44.

72 შატერლის პრეცული, 365. ი. აბელაძე, ქართველი და სომხერი ლიტ. ურთიერთობა X-XI სს. 197.

73 B. Outier, La version arménienne du Commentaire des psaumes de Théodore, *Revue des études arméniennes*, nouvelle série, t. XII, Paris, 1977, p. 169-1711.

74 ქართულ ხელნაბწერთა ძღვენილობბა... ს კოლექციისა, I, 311-316.

75 ქ: გეგმილიძე, ქველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 498.

დასხვაფერებული სხვადასხვა ავტორის ხელით.

„წმიდათა ათორმეტთა მოციქულთათკს, რომელი იყვნეს ანუ სად ქადაგეს და ანუ ვითარ სად აღესრულენ, და წმიდანი ნაწილი მათი სად არიან მდებარენი“ – შემონახულია სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონის B რედაქციის შემცველ ორ გვიანდელ, XVIII საუკუნის ნუხხაში – S 454-სა (გვ. 668-672) და H 1116-ში (273v-274v)⁷⁶. საინტერესოა, რომ ეპიფანეს სახელით მოღწეულ ამ შრომას ორივე ხელნაწერში წინ უძღვის ქრისტეს 72 და 70 მოციქულთა და მოწაფეთა ინდექსი, ოღონდ უავტოროდ. ქრისტეს 70 მოწაფის შესახებ დაწერილი ინდექსის, ე.წ. სკნოპსისის, ავტორია დოროთეოზ ტვირელი, რასაც ადასტურებს გიორგი მთაწმიდელის „დიდი სკაქსარი“ (Ath. 30, 399r-401v), აგრეთვე ზემოაღნიშნული A 691 ხელნაწერი (გვ. 248), რომელშიც მოთავსებულია ამ თხზულების ტექსტის დასაწყისი. ცნობილია, რომ ამავე მწერალს ეკუთვნის სკნოპსისი ქრისტეს 12 მოციქულის შესახებაც⁷⁷. მაგრამ ეპიფანეს სახელით ქართულად მოღწეული ამავე სახელწოდების ჩვენი ძეგლი განსხვავდება დოროთეოზის ტექსტისაგან (PG 92, 1072-1073). საერთოდ კი, ინდექსები ქრისტეს მოციქულთა და მოწაფეთა შესახებ როგორც ქართულ ლიტერატურაში, ისე ბიზანტიურში, ეპიფანე კვიპრელსა⁷⁸ და დოროთეოზ ტვირელთან ერთად მიეწერება იპოლიტე რომიაცლს (ამავე მწერლებს მიეკუთვნება ლეგენდარული ცნობები წინასწარმეტყველებზე). ცხადია, არაა გამორიცხული ეპიფანეს რაიმე მონაწილეობა მისი სახელით მოღწეული ამგვარი ხასიათის შრომების შექმნაში, მაგრამ იმ სახით, როგორითაც ამ ინდექსებმა მოაღწია ჩვენამდე, მათი შექმნა VIII საუკუნეზე უწინ არ ივარაუდება.

უძველეს ქართულ ხელნაწერებში, უპირატესად კი მრავალთავებში, დაცულია რამდენიმე პომილია, რომლებშიც ავტორად ეპიფანეა დასახელებული:

„საღმრთოთა ჭორცთა უფლისა ჩუენისა იესკ ქრისტესთა დაფლვისათკს და ჯოჯოხეთს შთასლვისათკს უფლისა, შემდგომად განმაცხოველებელისა ვნებისა მისისა, რომელი-ესე იყითხკს დიდსა შაბათსა“⁷⁹. ეს პომილია, რომლის სათაური კარგად გამოხატავს მის შინაარსს, უთურდ ქრისტიანული მჭევრმეტყველების შედევრთა რიცხვს განეცუთვნება. მისი

76 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... ს კოლექციისა, I, 583-584 (ს 454 – ხელნაწერის გადამწერია ნიკოლოზ ჩანიგასშვილი). ხელნაწერთა აღწერილობა... H კოლექცია, III, თბ., 1943, 104.

77 პ. პიპლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 497-498.

78 Clavis patrum graecorum, vol. II, 3780-3781. ეპიფანესვე მიეწერება ეკთესის პირველწოდებულ პატრიარქთა და მიტროპოლიტთა, რომლის ტექსტი ჩართულია ბასილი სოფიელის „ნოტიციაში“ (იხ.: ს. ფუქხიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნავ. II, თბ., 1952, 139-140; 181-182).

79 A 162 (XI ს.), 188 v-193v, Jer. 30 (XII-XIII ს.), 154v-164v. Ath. 39 (XI ს.) 7r-13v...

ერთ-ერთი წყაროა ნიკოლდიმოსის აპოკრიფული სახარება, სხვათაშორის, ის ნაწილიც („ქრისტეს ჩასვლა ჯოჯოხეთში“), რომელიც ქართულ ვერსიას არ მოეპოვება⁸⁰. ალბათ, მაღალმხატვრულობით თუ აიხსნება, რომ საკითხ-ავის ბერძნული ორიგინალი (PG 43, 440-464) ძალზე გავრცელებულია. მარტო პარიზში მისი შემცველი 46 ხელნაწერი არსებობს. შემთხვევითი არც ისაა, რომ დასახელებული პომილი თარგმნილია აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების თითქმის ყველა ენაზე – სირიულზე, სომხურზე, კოპტურზე, არაბულზე და ძველ სლავურზე. სირიულ ვერსიაში ის ანასტასი სინელს მიეწერება, ხოლო სომხურში – კირილე ალექსანდრიელს⁸¹. ქართული თარგმანი, რომელიც უდავოდ დიდოსტატური შემოქმედების ნაყოფია, 40-ზე მეტ ხელნაწერში მაინც გვხვდება. „დაფლვისათვეს უფლისა ჩუქნისა იესუ ქრისტესა და იოსებისათვეს მართლისა“ – ასე ეწოდება ამ საკითხავს ათონურ მრავალთავში (Ath. II, 101 v) – შეისწავლა პ. კმპელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა, თ. ჩუბინიძემ. მისი მოსაზრებით, პომილიის ქართული ტექსტი მომდინარეობს უშალოდ ბერძნული დედნიდან⁸².

ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიის განვითარებას გარკვეული კვალი დაახნია პომილიამ, რომელსაც „აღვხებისათვეს და აღდგომისათვეს უფლისა“ ეწოდება. ცნობილია, რომ ეს ქადაგება წარმოადგენს „აბოს წამების“ ერთ-ერთ წყაროს, კრძოლ კი, მასში „სიმბოლური ეპითეტებით ჩამოთვლილია ქრისტეს სახელები ისეთივე მიზანდასახულობითა და თითქმის ისეთივე განმარტებებით (თუმცა განსხვავებული რიგით), როგორც ეს იოანე საბანისძესთანაა⁸³. ქართული თარგმანი, რომელიც დაცულია ერთადერთ ხელნაწერში, უდაბნოს მრავალთავში – A 1109 (IX ს. 150v-151v), პომილიის ავტორად ეპიფანეს აცხადებს, ისევე, როგორც მისი შემცველი სომხური ნუსხების უმეტესობა. ი. აბულაძის აზრით, ქართული და სომხური ტექსტები ერთმანეთზე დამოკიდებულებას არ ამჟღავნებენ და მომდინარეობენ ერთი საერთო წყაროდან. მანვე გამოაქვეყნა „აბოს წამებისა“ და „აღვხებისათვეს“ პომილიის პარალელური აღვილები შესაბამის სომხურ ტექსტთან ერთად და ძეგლის თარგმნის შესრულების დროის უგვიანეს მიჯნად დადო 790 წელი⁸⁴. ბერძნულ ხელნაწერ ნუსხე-

80 იხ. ნიკოლდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მომზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქერციკიძემ, თბ., 1985.

81 Les plus anciens homéliaires géorgiens, Étude Descriptive et Historique, par Michel Van Esbroeck, Université catholique de Louvain, Institut Orientaliste Louvain-La-Neuve, 1975, p. 69.

82 თ. ჩუბინიძემ პომილიის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და გამოკვლევა გაგრძელებით ხელნაწერში.

83 ი. აბულაძე, ერთ-ერთი უცნობი წყარო იოანე საბანისძის აბო ტფილელის მარტინობისა, შრომები, III, 130.

84 იქვე, 131-139.

ებში ზოგჯერ იგი მიეკუთვნება ითვანე თქროპირს, ხოლო ზოგჯერ – ამფილოქე იკონიელს (მეცნიერები უფრო ამ უკანასკნელს ვარაუდობებს მის ავტორად). ჰომილიის ყველა ვერსიის მეორე ნაწილი, სადაც ჩამოთვლილია და კომენტირებული ქრისტეს სიმბოლური ეპითეტები, საკმაოდ აღრეულია. ერთადერთი სრული სერია ქრისტეს ამ სახელებისა ჩართულია „აბოს წამებაში“ და ლიტერატურის ისტორიას მხოლოდ მისი მეშვეობითია შემორჩა⁸⁵.

საკითხავი „წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისათვს, რამეთუ ამისგან ჭორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესე ქრისტე, ძვე ღმრთისად“ დაცულია ისეთ უძველეს თარიღიან ხელნაწერში, როგორიცაა სინური მრავალთავი⁸⁶. იგი შეიცავს დოგმატურ-პოლემიკურ მსჯელობებს სამება ერთარსებაზე. ეს საკითხები ეპიფანე კვიპრელს განხილული აქვს „ანგროტოსსა“ და „პანარიონში“. ჰომილიის ზოგიერთ ადგილს პარალელიც კი შეიძლება დაეძებნოს მის თხზულებებში. მაგ.: „ნუ ვინმე დაგაჯეროს ანუ თუ გარწმუნოს ვინმე შვილმან მწვალებელთამან, რომელი იტყვან, ვითარმე დ ჭორცი არა შეისხნა უფალმან კაცთაგანო, არამედ ზეცით ჰქონდესო“⁸⁷. ესაა ვალენტიანელებისაგან მომდინარე ცნობილი დებულება, რომელიც გვხვდება ეპიფანეს „პანარიონსა“ და „ანაკეფალეოსისში“: „ხოლო ქრისტესა ზეცით აქუნდესო ჭორცი და ვითარცა სოლინარისა მიერ განვლო მარიამისგანო“ (31,8-9)⁸⁸. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის მტკიცება, რომ თხზულება ეპიფანესაგან მომდინარეობს. ერთი რამის თქმა კი დაბეჭითებით შეიძლება: იგი დიოფიზიტურ კაბლობაზეა გამართული და გვიანდელი გადამუშავების ნაყოფს წარმოადგენს. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მასში თრიგენესა და არიოზთან ერთად მოხსენიებული არიან ნესტორი და ევტიქი⁸⁹. ამასვე ადასტურებს საკმაოდ უცნაური ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდის ჰომილია ავტორის შესახებ: „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტყვიანე კპპრელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი კონსტანტინეს ლედაქაბლაქსა იწამდა სარწმუნოებისათვს“ (შემდეგ მოდის საკუთრივ ჰომილიის სათაური). ა. შანიძის აზრით, „თავდაპირველად სათაური ასეთი უნდა ყოფილიყო: თქუმული წმიდისა

85 M. Van Eshroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens*, p. 153.

86 სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოიკვლევით, თხუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, ობ., 1959, 46-54. იხ. ძგრეთვე „მრავალთავი“, ი. აბულაძე, შრომები, III, 50; იერ. 2 (XI ს.), 110r-115r; A95 (პარხლის მრავალთავი, XI ს.), 5r-7r; H24 (1881 წ.), 31v-36v.

87 სინური მრავალთავი 864 წლისა, 48.

88 ციტატებს „ანაკეფალეოსის“ ქართული თარგმანიდან აქც და შემდგომშიც ყველან ვუთოვებთ ჩვენს მეორ დაგენილი ტრიტული ტექსტის მიხედვით. იხ.: დამატება, ეპიფანე კვიპრელი, „ოთხმეოცთა წვდელებითათვს“ (ტექსტი). პირველი ციფრი აღნიშნავს ერესის რიცხვს, ხოლო მეორე – სტრაქტის ნომერს.

89 M. Van Eshroeck, *Les plus anciens homéliaires géorgiens*, p. 69.

და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტპფანე მთავარეპისკოპოსისა კონსტანტია ქალაქისა, სარწმუნოებისათვეს წმ. მარადის ქალწულისა მარიამისა⁹⁰. მაგრამ „სარწმუნოებისაკაც“ ისე გაუგიათ, თითქოს წინა სიტყვებს ეპუთვნოდეს, რამაც გამოიწვია, ალბათ, „რო“ და „იწამა“ სიტყვების ჩართვა, „კონსტანტია ქალაქი“ კი კონსტანტინეს დედაქალაქთან (კონსტანტინეპოლის) აურევიათ. ამას გარდა, „თვე“ დაერთო მარიამს და ახლი სათაური გაკეთდა: „წმ. მარადის ქალწულისა მარიამისათვე⁹¹. მართლაც, ამ თხზულების შემცველ ორ ქართულ ხელნაწერში, კერძოდ, A 19-სა (X ს.) და Jer. 2-ში „კონსტანტინეს დედაქალაქის“ ნაცვლად წერია „კოსტანტია (კოსტანტია) დედაქალაქი“. რაც შეეხება „რომელი“ და „იწამა“ სიტყვებს – ეტყობა, ისინი დედიდან უნდა მომდინარეობდეს. სამწებაროდ, ქართული ტექსტის ორიგინალთან შედარების საშუალებას მოკლებული ვართ, რადგან ჩვენი ძეგლი ბერძნულ ენაზე (ისევე როგორც სომხურზე) არ არის შემორჩენილი⁹². ჰომილიის შედარებით ძველი რედაქცია (არასრულად) დაცულია უკვე სენებულ ათონის კრებულში⁹³. აქ მისი სათაური ასეთია: „თქმული წმიდისა ეპიფანე კპტრულ მთავარებისკოპოსისა, განკაცებისათვეს უფლისა ჩუენისა წმიდისაგან მარადის ქალწულისა მარიამისა“. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ათონურ ტექსტში მწვალებელთა შორის ნესტორი საერთოდ არ გვხვდება. ეს ფაქტი, სათაურთან ერთად, ამ ვერსიის სიძველის დამადასტურებლად მიგვაჩნია⁹⁴.

„მუცლადღებისათვეს ანნაისა, რაუმას ეხარა შობად წმიდისა ღმრთისმშობელისად“. ისევე როგორც წინა საკითხები, შემორჩენილია მხოლოდ ქართულ ენაზე⁹⁵. იგი ამგვარად იწყება: „რავ არს საიდუმლოვ ესე ახალი და დიდებული, ღმრთისა ქუენად გარდამოსლვად და დაძუელებულისა მის ბუნებისა ბრწყინვალედ განახლებად ზიარებითა ბუნებასა მას არსება და თკმტვლობელსა?“ რიტორიკული სიმბაფრით დასმული ეს კითხვა, რომელიც შემდეგშიც მეორდება, განსაზღვრავს ამ სადღესას-წაულო ჰომილიის მთელ შინაარსება და თხრობის ძაფს: გაპრიელ მთავარანგელოზი იოაკიმსა და ანნას ამცნობს, რომ დაებადებათ დგთისმშობელი. საიდუმლო ხარება მოასწავებდა მაცხოვრის ქვეყნად მოსვლას და ადამის ნათესავის განახლებას. ზოგიერთ ადგილას აქაც გაიყლევებს ეპიფანესთვის ჩვეული პოლემიკური ტონი: „რამეთუ არა თუ კიდესადმე

90 სინური მრავალთავი 864 წლისა, 308.

91 M. Van Esbroeck, დასახ. შრომა, 69.

92 Ath. 11 (X ს.) 23v-25v.

93 შდრ.: M. Van Esbroeck, დასახ. შრომა, 69 (აქ ჰომილიის ყველაზე ძველი ვერსიის შემცველ ხელნაწერად დასახელებულია Jer. 2).

94 A 162 (XI ს.), 15v-18v, Jer. 30 (XII-XIII სს.), 30r-38r; ქუთ. 5 (XVI ს.), 123r-130r...

განშორებულ იყვნეს მამისაგან ძე და სული წმიდათ, ვითარცა ღმრთისმო-ძულებულმან არიოზ გულისკმა-ყო ამაოდ და უგუნურად, არამედ სიტყვ-სა ამის თქუმად, ვითარმედ: „მოვედით“ – გამოაჩინებს სამგუამოვნებასა შეურევნელსა⁹⁵. სხვა რაიმე სელჩასაჭიდი ჩვენი ავტორის სასარგებლოდ, თუ არ ჩავთვლით, რომ პომილია მის „თქმულება, ტექსტში არ გვაქვს. ერთი კი აშენად: თხზულებას გვიანდელი გადამუშავების კვალი ამჩნევია. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მასში ისმის ანგინესტორიანული პოლემიკის გამოძახილი. მწერალი მწვალებელთა შესახებ აღნიშნავს: „რომელნი არა აღიარებენ წმიდასა ქალწულსა დედად და უთესლოდ მშობელად ძისა ღმრთისა, და შემდგომად შობისა კუალად ეგრეთვე წმიდად ქალწულად“⁹⁶. ცხადია, ეს სიტყვები არ შეიძლება ეკუთვნოდეს ეპიფანე კვიპრელს, რომელიც IV საუკუნეში მოღვაწეობდა (ნესტორი კი კონსტანტინეპოლის პატრიარქი გახდა 428 წელს). პ. კიბელიძე პომილის მთარგმნელად თეოფილე ხუცესმონაზონს მიიჩნევს⁹⁷. ზოგიერთი ძველი ხელნაწერი თარგმანის ავტორად ექვთიმე ათონელს ასახელებს⁹⁸. ეტყობა, ეს უკანასკნელი ცნობა უფრო ახლოა ჰელია ჰელმარიტებასთან⁹⁹.

როგორც ვხედავთ, ეპიფანე კვიპრელის თხზულებათ ქართულ თარგ-მანებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც საკუთრივ ქართული, ისე ბი-ზანტიური მწერლობის ისტორიისათვის, კერძოდ კი, ამ მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის უფრო ფართოდ წარმოქნა-შესწავლისათვის.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ არაუკრი გვითქვამს ეპიფანეს უმ-თავრეს შრომაზე – „პანარიონსა“ და მის „ანაგენიულეონსისზე“. ჩვენი თემატიკის ამოცანებიდან გამომდინარე, ამ თხზულებებზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

95 Ier. 30, 31r-v. იბ., აგრეთვე, 37r-v.

96 Ier. 30, 37v.

97 პ. კიბელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, 47; იბ., აგრეთვე, გვ. 153.

98 Ier. 30, 216r (იბ. ზანდუკი), S 1276 (იბ. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწ. ინხტ. მოამბე, I, თბ., 1959, 121).

99 6. გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის, საქ. სსრ. მეცნ. აკადემია, პ. კიბელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი, XI, თბ., 1985, 8.

„პანარიონი“ – თხზულება ოთხმოცი წვალების ჯინაღდებ

და მისი ადგილი ძრისტიანული მფერლოგის ისტორიაში

„**პ**ანარიონი“ ყველაზე სოლიდური და სრულყოფილი ნაშრომია ძველი ეკლესიის მწვალებლურ მიმდინარეობათა შესახებ. ეს ქანც იც, იხვევ როგორც მრავალი სხვა, ეპიფანე კვი პრელის თაყვანისმ-ცემელთა შეკითხვების საფუძველზე შექმნილი.

კოლეგიარიის ორმა არქიმანდრიტმა, აკაკიმ და პავლემ, 375 თუ 376 წელს წერილობით სთხოვეს ეპიფანეს, უფრო ზუსტად განემარტა მათ-თვის „ანგკროტოსში“ აღწერილი 80 წვალება. მაგრამ ამ თხზულებაზე ის უბეჭდ აღარ მუშაობდა. 374 (ან 375) წელს მან დაიწყო ერესებზე ახალი, დიდი ისტორიის წერა და დაამთავრა 377 წელს. ამავე დროს, ეს ვრცელი ნაშრომი იყო არქიმანდრიტთა ეპისტოლის ერთგვარი პასუხიც. საგუთარი განცხადებისავე თანახმად, ავტორს, ვითარცა ჰეშმარიტ ექიმს, სურდა გველისაგან დაკტენილთავის, ე.ი. ერეტიკული სწავლებისაგან გაბეზრებული ადამიანებისათვის, განსაკურნავი და თავდასაცავი საშუალება მიეწოდებინა და ამიტომაც უწოდდა თხზულებას „პანარიონი“ ანუ „კიდობანი“ (სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ძეგლი ხშირად მოიხსენიება „წამლების კიდობნის“, „წამლების ყუთის“ სახელწოდებით)¹⁰⁰.

მთელი თხზულება სამ წიგნად და შვიდ ტომადად გაყოფილი. თავის მხრივ, პირველი წიგნი მოიცავს სამ, ხოლო მეორე და მესამე წიგნი ორორ ტომს. ეს დაყოფა საგმაოდ პირობით, სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან „პანარიონის“ მთელ შედგენილობას და მასში თავების გამოყოფას საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ერესთა რიცხვი – ის 80 წვალება, რომელიც აღწერილია და განქიქებული ეპიფანეს მიერ. ამასთანავე, ნაშრომი აგებულია ასეთ პრინციპზე: თითოეულ ტომს წინ უძლვის მისივე მოკლე შინაარსი, ან, უკეთ, მასში შემაგალი ერესების სამიებელ-ცნობარი, მათი მოკლე დახასიათება („ანაკეფალაიოსისი“), ხოლო ტომებში უკეთ ხდება წვალებათა ვრცელი განხილვა-განჩხერება. ამგვარი ტექნიკური აპარატი, ბუნებრივია, ხელს უწყობს „წამლების კიდობნის“ შინაარსის ათვისებას, აიოლებს ამ უზარმაზარი კრებულის მოხმარებას. ძეგლი მთავრდება კათოლიკე სამოციქულო და აპოსტოლური ეკლესიის რწმენის განზოგადებული სიმბოლოთ.

ეტყობა, „პანარიონის“ სტრუქტურაც გახდა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ამ თხზულებამ „ანაკეფალეოსისის“ (რეკაპიტულაციის) სათაურით შემოკლე-

100 PG 41, col. 157; 177. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, s. 297-298. B. Altaner. A. Stüber, Patrologie, Leben, Schriften und Lehre der Kirchenväter, s. 316.

ბული სახითაც მოაღწია ჩვენამდე¹⁰¹. იგი წარმოადგენს „წამლების კიდობნის“ ზუსტი ტექსტის შემცველ ნაწყვეტს და აერთიანებს მისი ცალკეული ტომების „ანაკეფალეოსისებს“, რომელთაც დასაწყისში, პირველი წიგნის პირველ ტომში და ბოლოში დაერთვის ამავე თხზულებიდან ამოკებილი ცალკეული ნაწილები¹⁰². ეს ნაწარმოებიც საუკუნეების მანძილზე ეპიფანე პვიპრელს მიეწერებოდა. მაგრამ როგორც კ. პოლმა გაარგვია, „ანაკეფალაიოსის“ ეპიფანეს ხელიდან არ უნდა იყოს გამოსული და რომელიდაც ჩვენთვის უცნობ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს¹⁰³.

ყველა მკვლევარი, მიუხედავად ეპიფანეს თეოლოგიისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებისა, ერთსულოვანია „პანარიონის“ ისტორიული დირსებების შეფასებაში: იგი წარმოადგენს უძვირფასეს წერილობით დოკუმენტს წინაქრისტიანული და ადრექრისტიანული სანის სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლათა და მიმართულებათა შესასწავლად, რომ ადარაფერი ვთქათ ჩვენი ავტორის თანამედროვე (ან თითქმის თანამედროვე) ქრისტიან მწვალებლებზე (არიოზი, აერიოსი, აეტიოს ანტიოქიელი, ევნომიოსი, აპოლინარიოს ლათილიკელი), რომელთა შესახებაც იგი გვაწვდის პირველხარისხთვან ცნობებს, რადგან საშუალება ჰქონდა „საკუთარი ყურით“ ესმინა და „საკუთარი თვალით“ ენახა ისინი. მისი შრომა შეიცავს ასევე უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას სამარიტულ და ოუდეურ სექტებზე, გნოსტიკურ ლიტერატურასა და მის წარმომადგენლებზე და ა.შ. რაც მთავარია, გარდა ზეპირი გადმოცემებისა, ერეტიკოსთა მოძღვრების განხილვისას ეპიფანე ძალზე ხშირად იმოწმებს მათსავე ნაწერებს, რომლებიც, თუ არა „წამლების კიდობანი“, ჩვენთვის უცნობი დარჩებოდა, რადგან ოფიციალური საეკლესიო წრეებისათვის ისინი მიუღებელი იყო.

ეპიფანე პვიპრელი „პანარიონზე“ მუშაობისას, ცხადია, ითვალისწინებს თავის წინამორბედ მწერალთა გამოცდილებას. ამ მიმართულებით და, საერთოდ, ძეგლის ლიტერატურული წყაროების შესწავლის თვალსაზრისით დიდი მუშაობა გასწიდ გერმანელმა მეცნიერმა რ. ა. ლიპსიუსმა. მან ეპიფანეს შრომა შეადარა ირინეუს ლითნელის (II ს.), ფსევდოტერტულიანეს, ფილასტრიუს ბრესკიელის (IV ს.), ფსევდოთორიგენეს და ოეოდორიტე კვირელის (IV-V სს.) ანალოგიური სასიათოს ძეგლებს. უპირველეს ყოვლისა კი, მოახდინა ამ მწერალთა მიერ წარმოდგენილი მწვალებელთა სიების შეპირისპირება-ანალიზი¹⁰⁴. კვლევის შედეგად გაირკვა

101 PG 42, col. 833-886.

102 PG 42, col. 833-840; 848-849; 876-886.

103 K. Holl, Die handschriftliche Überlieferung des Epiphanius (Ancoratus und Panarion), s. 95-98. შიდრ.: M. Richard, Les “Chapitres à Épiphane sur les hérésies” de Georges hiéromoïne (VII^e siècle), Ἐπετηρίς Ἐταιρ βυζ. Σπουδ, ἔτος κέ, Ἀθῆναι, 1955, p. 339.

104 R. Lipsius, Zur quellenkritik des Epiphanius, Wien, 1865, s. 4-32.

დამოკიდებულება და ურთიერმიმართება დასახელებულ ავტორებს შორის, გამოვლინდა მათ მიერ გამოყენებული საერთო წყაროები, რაც მთავარია, აღდგა იპოლიტე რომალის (II-III ს.) და გარგული „სინტაგმა“ – თხზულება, რომელიც 32 წვალების წინააღმდეგ იყო მიმართული¹⁰⁵. აღმოჩნდა, რომ იპოლიტეს ეს ნაწარმოები იყო „წამლების კიდობნის“ (13-57 ერესისათვის) ერთ-ერთი ძირითადი წყარო, მაშინ, როცა მისივე ეწ. „ფილოსოფუმენა“ – 10 წიგნისაგან შემდგარი ფუნდამენტალური შრომა, რომელიც შეიცავდა უკელა ერესის უარყოფას, უცნობი დარჩა ეპიფანესათვის. „პანარიონის“ მეორე ძირითადი წყარო იყო ირინეუსის ანტიგნოსტიკური თხზულება, რომელიც, ჩვეულებრივ, „წვალებათა წინააღმდეგ“ (Adversus haereses) სახელწოდებით მოიხსენიება¹⁰⁶.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ლიპსიუსი ზოგიერთ შემთხვევაში ზედმეტი უნდობლობით მოეკიდა ეპიფანეს ცნობებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა „წამლების კიდობნის“ მონაცემები არ თანხვდებოდა მისი მთავარი წყაროების მასალებს ან საერთოდ არ იყო მათში წარმოდგენილი, თუმცა მკლევარმა კარგად უწყოდა, რომ ჩვენი ავტორი სხვა წერილობითი დოკუმენტებითაც სარგებლობდა. მაგალითად, მან წინაქრისტიანული (იუდეური და სამარიტული) წვალებების განხილვისას, ოსენტელთა და ნასსარე-ელთა (ერ. 18 და 19) სექტები ეპიფანეს წარმოსახვის ნაყოფად სცნო, ხოლო ცნობები გოროთენელებზე (ერ. 12), ჰემერობაპტისტებზე (დღითო-დღე ნათელდებულებზე – ერ. 17), ესენტელებზე (ერ. 10), სებულელებზე (ერ. 11), სამარიტელებზე (ერ. 9) და მწიგნობრებზე (ერ. 15) არადამაჯერებლად მიიჩნია, რაკიდა მწერალს მათ შესახებ ზუსტი წყაროები ხელო არ ჰქონდათ¹⁰⁷.

ეპიფანე კვიპრელმა შეიძლება აურიოს ზოგიერთი მონაცემი ამა თუ იმ ერესის შესახებ, შეიძლება შეცდომებიც დაუშვას და ეს არცაა გასაგვირი – მას ხომ უმოკლესი დროის განმავლობაში უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავება მოუხდა, მაგრამ ის, რომ მან თავად გამოიგონოს მწვალებლური სექტები, – ამგვარი ეჭვები, ვთიქონოთ, უსაფუძვლო უნდა იყოს. ეს შესანიშნავად აჩვენა ა. ჰილგენფელდმა¹⁰⁸, რომელმაც ამავე დროს „პანარიონის“ სამარიტული და იუდეური (ნაწარმობრივ აგრეთვე ებრაულ-ქრისტიანული) ერესებისათვის გამოყენებულ კიდევ ერთ შესაძლო წერილობით წყაროზე მიუთითა – სექსტუს იულიუს აფრიკელის (II-III სს.) ფრაგმენტულად შემთხვენილ თხზულებაზე, რომელსაც „ნაქარგ-

105 R. A. Lipsius, დასახ. წიგნი, გვ. 33-70. შდრ.: მიხილი, Die Quellen der ältesten Ketzergeschichte neu untersucht, Leipzig, 1875, s. 91-179.

106 R. A. Lipsius, Zur quellenkritik... s. 71.

107 იქვე, 71-72.

108 A. Hilgenfeld, Judenthum und Judenchristenthum, Leipzig, 1886, s. 61-99.

ნი“ (Κεστი) ეწოდება¹⁰⁹.

წმ. ეპიფანეს წვალებათა სიის შედარება მის წინამორბედ თუ თანამედროვე ერესიოლოგთა ნაწარმოებებთან კიდევ ერთ საგულისხმო მომენტს წარმოაჩენს. ეს ეხება მისი შრომის სტრუქტურულ თავისებურებას. საქმე აქ მარტო ის ოთია, ომ მან სამარიტულ და ოუდეურ სექტებთან ერთად წინაქრისტიანულ ერესებში შეიტანა ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლები (ისინი იპოლიტებაც ჰქონდა განხილული ეპიფანესთვის უცნობ „ფილოსოფუმენას“ I წიგნში); მთავარი ისაა, ომ ჩვენი ავტორი მწვალებლობის ისტორიას იწყებს ბიბლიური ადამიდან, კაცობრიობის მიწვერი ისტორიის დასაწყისიდან და თავდაპირველ ოთხ ძირითად ერესად წარმოგვიდგენს: „ბარბაროსობას“, „სკვითობას“, „ელინიზმს“ და „იუდაიზმს“ (ი.e. არისტიდე ათენელის „აპოლოგია“). ეს კი მიუთითებს, ომ „პანარიონის“ მთელ აღნაგობას საფუძვლად უდევს მყარი ფილოსოფიურობის კონცეფცია, ომლის ამოსავალი, ცხადია, არის „საღმრთო წერილი“.

ცნობილი ჭეშმარიტებაა: კაცობრიობის ბიბლიური ისტორია ზნეობრივი ასპექტით არსებითად არის ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. ქრისტიანობის მიხედვით, ადამის, ე.ი. ჩვენი საერთო წინაპრის, შექმნაში იმთავითვე ჩადებულია ორი სხვადასხვა საწყისი – ღვთაებრივ-ზეციური და მიწიურ-მატერიალური, ომებითა შორის მუდმივი წინააღმდეგობა არსებობს. თავად ადამიანზეა დამოკიდებული, ორგორ განვითარდება, საით წავა და რა გზას აირჩევს. ეს არჩევანი და, შესაბამისად, სიკეთისა და ბოროტების ცნებებიც, საბოლოო ჯამში, ღმერთობა მის მიმართებაში ვლინდება; ის, ვინც აღიარებს შემოქმედს, ასრულებს უზენაესის ნებას და იცავს ღვთაებრივ აღთქმას (ცხადია, ღმერთისავე დახმარებით და წყალობით), სიკეთეს ემსახურება და პირიქით, ვინც უარყოფს შემოქმედს, არ ემორჩილება და არ ასრულებს ღმერთის ნება-სურვილს, ის ბოროტების სამსახურში დგება. ამის მიხედვით მთელი ბიბლიური კაცობრიობა გაყოფილია ორ ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკად, ერთი თეოლოგის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, – „დედაგაცის მოდგმად“ (სიკეთის, სათხოების ხაზი) და „გველის მოდგმად“ (ბოროტების, ეშმაგის ხაზი), ომელთა შორის წარმოებული მარადიული ბრძოლა შეადგენს მსოფლიო ისტორიის დრამის უმთავრეს ნიშანსვერებს¹¹⁰. ეს პროცესი ადამის დაცემიდან იწყება და აბელი და კაენი ამ ორი სხვადასხვა ხაზის ტიპიური წარმომადგენლები არიან¹¹¹. მაშასადამე, უპვე პირველცოდვიდან მოყოლებული, რწმე-

109 იქვე, 79-82; 88.

110 А. Покровский, Библейское учение о первобытной религии, Свято-троицкая сергие-ва лавра, 1901, 206-208; 241-242.

111 იქვე, 295-296; 339.

ნასთან ერთად ადამიანთა ერთ ნაწილში ჩნდება ურწმუნოება, ღვთისმოში შობასთან ერთად – უკეთურება, კანონიერებასთან ერთად – უკანონობა, სიკეთესთან ერთად – ბოროტება. ერთი სიტყვით, ჰეშმარიტ სარწმუნოებასთან ერთად თავს იჩენს ერესიც.

აი, ის ზოგადქრისტიანული საფუძველი, ის ამოსავალი თეოლოგიური პრინციპი, რომელსაც ემყარება „პანარიონი“. შემთხვევითი არაა, რომ ეპიფანე ხშირად ადარებს მწვალებლებს „ბოროტ მხეცებს“, „საშინელ ქვეწარმავლებს“, „შესამიან გველებს“, რითაც არცთუ თრაზეროვნად მიგვანიშნებს მათ კავშირზე ბიბლიურ გველოთან. საერთოდ კი, თხზულებაში მოცემულია ცდა, მსგავსად „ქრისტიანოფისა“¹¹², წვალებათა მთელი ისტორია გააზრებული იქნეს ძველი და ახალი აღთქმის წიგნების მიხედვით, მათში გადმოცემული უმთავრესი, დირსსახსოვარი მოვლენების, დრამატული ამბების, დრმა კოლიზიების მეშვეობით.

რომელი წვალებანი არსებობდა კაცობრიობის ისტორიის გარიურაუზე? ამის შესახებ პირდაპირი მითითება ძველ აღთქმაში არ არსებობს. სამაგიეროდ, მასზე მინიშნებას ეპიფანე პოულობს ახალ აღთქმაში, კერძოდ, პავლეს ეპისტოლებში. ის არაერთგზის იმოწმებს „პანარიონში“ (იმეორებს „ანაკეფალეოსისშიც“) მოციქულის სიტყვებს: „არა არს ბარბაროზ, არა არს სკპულ, არა არს ელინ, არა არს ოუდალ, არამედ ახალი დაბადებული“ (კოლ. 3, 11, გალ. 6, 15). უმჯობელია, ამის მიხედვით ქმნის იგი ქრისტიანობამდელ 4 ძირითადი ერებისა თუ რელიგიური მდგომარეობის მოვლელს „ბარბაროსობის“, „სკპიონისა“, „ელინისმისა“ და „ოუდაიზმის“ სახით.

„ბარბაროსობა“ სათავეს იღებს მიწიერი ადამიანი და მთავრდება ნოეთი და წარლვნის დაწყებით. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს აზროთ სხვადასხვაობა და ხალხთა შორის განსხვავება, არაა ცნობილი ერესები, თვით კერპოლაყვანისმცემლობაც კი; ადამიანებს არ ჰყავთ ხელადები, არ გააჩნიათ ერთიანი კანონები, ყოველი მათგანი საკუთარი ნებისა და გონების კარნახით ეწევა ცხოვრებას¹¹³.

„სკპიონისა“ იწყება ნოედან და გრძელდება ბაბილონისა და გოდლის შენების ჩათვლით კიდევ მცირეოდენ ხანს – სემის შთამომავლების, ფალეკისა და რააბის, ცხოვრების წლებამდე. წარლვნის შემდეგ ნოეს შთამომავლობა (მეხუთე თაობა) არარაგის მთიანი ქვეყნიდან თანდათანობით გაიშლება სამხრეთ-დასავლეთით, მცირე აზიის მიმართულებით და მიაღწევს სენარიის ვაკეს, სადაც გადაწყდება ქალაქისა და კოშკის აგება.

112 „ქრისტიანოფის“ შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963, 81-83.

113 PG 41, col. 165; 180-181.

ყველა იმათ, ვინც ევროპის მესაზღვრე ქვეყნიდან გადაუხვევს აზისაკენ, დროის სახელწოდებისძა მიხედვით, ეწოდებათ სკვითები. ეს პერიოდი ხასიათდება ბუნებრივი კანონების დამკვიდრებით. სწორედ მისი დარღვევა იწვევს უკუთურებისა და ურწმუნოების გაჩენას. ოუმცდა ჯერჯერობით არ არსებობს ერესი, არც სხვადასხვა შეხედულება და ადამიანებიც ერთ ენაზე მეტყველებენ (იგულისხმება გოდლის შშეხებლობამდე)¹¹⁴.

მესამე ცოომილება, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, კაცობრიობის ისტორიაში არის „ელინიზმი“ („წარმართობა“). იგი თავისი განვითარების რამდენიმე ეტაპს გაივლის. რაბის ძის, სერუქის დროიდან ჩნდება კერპომსახურების პირველი ჩანასახები – ხდება ცრუმორწმუნოების, მავნე წეს-ჩვეულებების აღმოცენება, მიმდინარეობს კერპების შექმნისა და დამკვიდრების პროცესი, რისთვისაც ადამიანის გონება კმაყოფილდება საღებავებითა და ფერწერული გამოსახულებებით. პარალელურად გზა ეხსნება ტირანიასა და ასტროლოგიას. სერუქის შვილიშვილის, თარას დროს, როდესაც იქმნება თიხის ქანდაკება, კერპომსახურება უპვე მტკიცედ იკიდებს ფეხს და ფართოდ ვრცელდება ძველი აღმოსავლეთის ხალხში – ეგვიპტიულებში, ბაბილონელებში, ფრიგიულებსა და ფინიკიულებში. მითიური კიკრობის დროს კერპომუვანისმცემლობა მოედება საბერძნეთსაც, კერძოდ, კადმოსი და ინაქოსი ეგვიპტიდან შეიტანენ მაგიასა და ღვთისმსახურების წესებს ელინებში. დროთა განმავლობაში შეიქმნება საკუთრივ ბერძნული რელიგიური პანთეონიც. უფრო მოგვიანებით იმ მისტერიათაგან, რომელებიც დასაბამს იდებს ორფეოსისა და სხვებისაგან, ყალიბდება ეპიკურეს, სტოკელი ზენონის, პითაგორასა და პლატონის წვალებანი¹¹⁵.

ეპიფანეს აზრით, ადამიადან აბრაამამდე ერესის არსებობა გამოწვეული იყო ბუნებრივი კანონების დალატით, რაც ბადებდა ურჯულოებას, ბოროტებასა და ურწმუნოებას. და პირიქით, ამ კანონების შესრულება ამკვიდრებდა ღვთისმოსაობას, ჰეშმარიტი სამების რწმენას, რომელსაც ჰქონდა ქრისტიანობის სახე, რასაც მტკიცედ იცავდნენ ღმერთის მიერ რჩეული პირები: ადამი, აბელი, სეიოთი, ენოსი, ნოე, ებერი და სხვები¹¹⁶.

რაც შეხება პატრიარქ აბრაამს, იგი ღვთაებრივი აღთქმის დაცვისა და ერთგულების ნიშად მიიღებს წინადაცვეთას და, ამგვარად, დასაბამს აძლევს „იუდაიზმის“ ისტორიას. ასევე განსაკუთრებულია ებრაელთა ეროვნულ-რელიგიურ კონსილიდაციასა და ფორმირებაში მათი ზოგიერთი გენესალოგიური შტოს თუ ცალკეული მამამთავრის ღვაწლი. ეს-ენი არიან: აბრაამის შვილიშვილი იაკობი, რომელსაც ღმერთმა საპატიო სახელი „ისრაელი“ მიანიჭა (აქედან მომდინარეობს ებრაელთა მეორე

114 PG 41, col. 165; 181-184.

115 PG 41, col. 168; 185-193; 197-200.

116 PG 41, col. 168; 181.

სახელწოდება – ისრაელი), იაკობის შვილის, ლევის შთამომავლობა (ლევიტელები), უპირველეს ყოვლისა კი, მოსე, რომელიც იყო იუდაელთა ბელადი, წინასწარმეტყველი და რჯულმდებელი, ახევე მისი ძმა აპრონი – ებრაელთა პირველი მღვდელმთავარი, იაკობის მეოთხე შვილის, იუდას მოდგმა (იუდეველები), რომელსაც ეკუთხოდნენ ისრაელის ძლევა-მოსილი მეფე დავითი და მისი შვილი სოლომონი და სხვ. აბრაამი და მისი რჩეული ნაშიერები ლვთისმოსავნი იყვნენ, ე.ი. ადამის მსგავსად, მათ ჰქონდათ ერთარსება სამების ოწმენა. „იუდაიზმი“ ჯერ კიდევ არ იყო ერესად სახელდებული. მისთვის დამახასიათებელი წინადაცვეთა და მოსეს კანონმდებლობა დროებით ხასიათს ატარებდა, წინასწარმოსწავებითი იყო, რადგან ძველი აღთქმის წინასწარმეტყველური წიგნები ასწავლიდა ებრაელებს არა მარტო დაუცვათ თავიანთი მოძღვრება და რჯული, არამედ აუწყებდა ქრისტეს გამოცხადებასაც. და რაკიდა ებრაელებმა არ ცნეს მაცხოვარი და არ მიიღეს ახალი აღთქმა, ამიტომ „იუდაიზმიც“ მწვალებლობად იქცა¹¹⁷ და ბოლოს შვიდ სექტად იქნა წარმოდგენილი.

ამ ოთხ დედა-ერესს ეპიფანე ზოგჯერ უმატებს მეხუთესაც – „სამარიტელობას“, რომელიც ელინიზმისა და იუდაიზმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. ებრაელთა ტყვეობის დროს სამარიაში (შეუ პალესტინაში) ჩამოასახლეს ასირიელები, მაგრამ მათ თავს ესხმოდნენ და პირდაპირ მუსრს ავლებდნენ ლომები და სხვა გარეული მხეცები. ასურეთის მეფის ბრძანებით აქ გამოგზავნეს მღვდელი ეზრა, რათა გადარჩენილი მოსახლეობისათვის ესწავლებინა ისრაელთა რჯული. გადმოსახლებულებმა მიიღეს მოსეს კანონი, თუმცა მთლიანად ვერ შეძლეს წარმართული დათავებებისა და წეს-ჩვეულებებისაგან განთავისუფლება. ამიტომ „სამარიტიზმი“ დარჩა სინკრეტული ხასიათის რელიგიად, ეკლესტიკურ იუდაიზმად. სიტყვა „სამარიტელი“ (გუშაგნი, მცველი) კი ეტიმოლოგიურად არა მარტო ამ ხალხის გეოგრაფიულ ადგილსამყოფელზე მიუთითებდა, არამედ მათ ისტორიულ მისიაზეც – წმინდად დაუცვათ, დაუფარათ მოხეს მოძღვრება და კანონები¹¹⁸.

ამ ოთხი თუ ხუთი ძირითადი ერესის ავტორისეულ დახასიათებაში არსებოს გარკვეული წინააღმდეგობები, რაც იმთავითვე შენიშვნეს მეცნიერებმა. „ბარბაროსობა“ და „სკვითობა“, განსხვავებით დანარჩენებისაგან, არ წარმოშობს სხვა წვალებებს. აქედან გამომდინარე, რამდენად მართებულია „ელინიზმება“ და „იუდაიზმთან“ მათი ერთ სიბრტყეზე დაჭრება და ერესად გამოცხადება? საერთოდ კი, როგორც ზემოთაც დავინახეთ,

117 PG 41, col. 168; 193-197; 208-216. შდრ.: P. Fraenkel, Histoire sainte et hérésie chez saint Épiphane de Salamine, p. 180.

118 PG 41, col. 169; 220-225. იხ., აგრეთვე, P. Fraenkel, Histoire sainte et hérésie... p. 181-182.

არა თუ პირველ ორ, არამედ მომდევნო თრ წვალებაზე მსჯელობისასაც ეპიფანე გარკვევით აღნიშნავს, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ერესი, ე.ი. არ არსებობდა ნათლად გამოკვეთილი მცდარი მოძღვრება, რომელსაც ერთი განსაზღვრული ჯგუფი იზიარებდა. მაშ, როგორ უნდა გავიგოთ და რა უნდა მოვიზროთ „ბარბაროსაბის“, „სკვითობის“, „ელინიზმის“ და „იუდაიზმის“ ცნებების ქვეშ? ბიბლიურ-ისტორიული პერიოდები და მათი ეპონიმები, რელიგიური მდგომარეობანი თუ წვალებანი?

როგორც ე. მუჟსულასმა გაარკვია, მთელი სირთულე „პანარიონში“ ტერმინ „ერესის“ განსაკუთრებულ სპეციფიკურობაშია საძიებელი. ეპიფანე ამ ტერმინს ორი მნიშვნელობით იყენებს: ნეიტრალურ-ობიექტური ასპექტით, რაც შეესატყვისება სტრუქტურული (განდგომა, განხეთქილება) მნიშვნელობას და აღნიშნავს აგრეთვე გარკვეულ კატეგორიას, განსაკუთრებულ ჯიშტს, რომელიც მთლიანისაგან გათიშველია და უმეტესად საგუთარი მოძღვრება აქვს, და მეორე – ცრუ მოძღვრების სპეციალური ასპექტით, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს გარკვეულ ჯგუფებთან ან სკოლასთან და, განსაკუთრებით, ჰეშმარიტი მოძღვრებისა და ნამდვილი ცხოვრებისაგან მოწყვეტის აზრით იხმარება.

თუ „ერესის“ ორივე ამ მნიშვნელობას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ შემოაღნიშნული წინააღმდეგობები მოიხსნება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

„ბარბაროსაბის“, „სკვითობის“, „ელინიზმისა“ და „იუდაიზმის“ ბიბლიურ-ისტორიულ პერიოდებად მიჩნევა ბოლომდე მართებული არ არის, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ „იუდაიზმის“ გამოხენისას „ელინიზმი“ კი არ ქრება, არამედ მის გვერდით განაგრძოს პარალელურ არსებობას. მათ უფრო მეტად რელიგიური მდგომარეობების ხასიათი აქვთ, ვიდრე წვალებების, რადგან არც ერთს პირველი თოხი დედა-ერესიდან საბუთარი ცრუ მოძღვრება არ შეუქმნია. მართალია, „ელინიზმისა“ და „იუდაიზმის“ წილიდან წარმოიშვა სხვადასხვა განსაკუთრებული ჯგუფები საბუთარი მცდარი შეხედულებებით, ე.ი. წვალებები, მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა. და თუ ეპიფანე პირველ ოთხ რელიგიურ მდგომარეობას ზოგჯერ მაინც ერესს უწოდებს, ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ის ნეიტრალურ-ობიექტური მნიშვნელობა, რა აზრითაც ხანდახან იგი ამ ტერმინს ხმარობს (ე.ი. ცრუ მოძღვრების ფარული მნიშვნელობის გარეშე). ამასთან, მისთვის, ისევე როგორც სხვა წმიდა მამებისათვის, ერესია ყოველგვარი მოწყვეტა ქრისტიანობისაგან და არა მარტო როგორც ჰეშმარიტი მოძღვრებისაგან, არამედ ნამდვილი ცხოვრებისაგან (ეს უპასკნელი მიიღება მხედველობაში პირველ თოხ რელიგიურ მდგომარეობაზე, როგორც თოხ დედა-ერესზე, მსჯელობისას). და ბოლოს, ჩვენი ავტორი ყველაფერ ამას იმიტომ აკვთებს, რომ ერესთა რიცხვი – 80

შეინარჩუნოს¹¹⁹.

მაგრამ რატომ ცდილობს ეპიფანე ერესთა რაოდენობის მაინცდამიანც 80-მდე მიუვანას? ანდა საიდან აიღო მან ეს მისტიკური რიცხვი?

ცნობილია, რომ ეპიფანე კვიპრელი ამ რიცხვს იღებს „ქებათა ქების“ ერთი პასაუიდან, სადაც ნათქვამია: „სამეოც არიან დედოფალნი და ოთხეოც – ხარჭნი, და ქალწულნი, რომელთა არა არს რიცხვ. ერთ არს ტრედი ჩემი, სრული ჩემი, ერთ არს დედისა თვესისა, რჩეულ არს მშობლისა თვესისა. იხილეს იგი ასულთა და პნატრეს მას. დედოფალთა და ხარჭთა აქეს იგი, ასულთა და დედოფალთა იხილეს სძალი და პნატრეს მას“ (6, 7-8).

ხარჭები სიმბოლურად წარმოადგენენ ერესებს, მაშინ, როდესაც მტრედი – ეპლესია არის ერთადერთი „საბალი“, დაკავშირებული თავის ერთადერთ მეუღლესთან – ქრისტესთან. ერესების შედარება ხარჭებთან ადვილად ავლენს მათი უამრავი შეცოდების უკანონო ხასიათს, რამდენადაც ერთი – განცალკევებული და უნაკლო ეპლესია – წარმოსახულია ქრისტეს მეუღლედ. ამასთანავე, როგორც ეპიფანე არაერთგზის განმარტავს, 60 დედოფალი განასახიერებს ადამიანთა 60 შომომავლობას, ხოლო ქალწულები – სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემებსა და სკოლებს, რომლებიც ქვეყნიერებათხე არსებობენ ურიცხვი რაოდენობით¹²⁰.

მაგრამ როგორც ჩვენს მიერ უკვე დამოწმებული მკვლევარი, პ. ფრენკელი „პანარიონიდან“ მოხმობილი შესაბამისი მაგალითებით ამტკიცებს, დედოფლების, ხარჭების და ქალწულების სიმბოლური რიგი ეპიფანეს მიერ არ არის მკვეთრად გამოჯნელი, ისინი ზოგჯერ აღრეულია ერთმანეთში – ავტორს თითქოს ავიწყდება მის მიერვე შემთავაზებული განსხვავება ამ ცნებათა შორის: შესაბამისად, დაშვებულია 80-ზე მეტი ერესის არსებობაც, რაც, საბოლოო ჯამში, ცუდად ხსნის აღნიშნულ რიცხვს. უფრო მეტიც; წვალებანი, წმინდა და უწყინარ მტრედთან ანუ მკლესიასთან შედარებით, ამავე დროს განასახიერებენ მძვინვარე და საშიშ მხეცებს, მეტადრე კი, შხამიან გველებს, უფრო ზუსტად კი, ერესები, რომელთა რიცხვი 80-ს შეადგენს, წარმოადგენენ ბოროტი მხეცებისა და გველების საიდუმლო სიმბოლოებს, რაც არანაირად არ გამომდინარეობს „ქებათა ქების“ ზემოთ წარმოადგენილი ნაწყვეტიდან. საერთოდ კი, ერესი – გველის და ერესი – შხამის თემა, როგორც აღვნიშნეთ, ადამის დაცემის მოთხოვნის, აგრეთვე ზოგიერთი ფსალმუნიდან აღებული მოტივებით უნდა იყოს ნასაზრდოები¹²¹.

119 E. Moutsoula, Der Begriff "Häresie" bei Epiphanius von Salamis, Studia Patristika, vol. VII, edited by F.L. Cross, Berlin, 1966, s. 362-371.

120 P. Fraenkel, Histoire sainte et hérésie... p. 184-185.

121 P. Fraenkel, დასახ. წერილი, 185-187.

ასება თუ ისე,რა ხელოვნურადაც უნდა მოგვეჩვენოს ეპიფანეს თეოლოგიური კონცეფცია, მისი სქემის არსი ნათელია: სამყაროსა და ადამიანის შექმნიდან დაწყებული, არსებობს ქრისტიანული რწმენა და ეკლესია. პირველცოდვის შემდეგ, ჰეშმარიტ რწმენასთან ერთად წნდება ურწმუნება, ეკლესის გვერდით თავს იჩენს წვალება და, აქედან მოყოლებული, ისინი მუდმივ წინააღმდეგობაში არიან და პარალელურად ვითარდებიან. საზოგადოდ კი, მთელი კაცობრიობის განვითარების მანძილზე მტრედს, ანუ ეკლესის უპირისპირდება 80 მეტალი, ანუ ერესი, რომელიც ამავე დროს არის მაგნებული ცხოველებისა და შეამიანი გველების 80 ნაირსახეობის ფარული სიმბოლო. ქრისტეს ხორციელი გამოცხადება, ე.თ. ქრისტიანობის პრაქტიკული რეალიზაცია, „სძლევს.... აქრობს... ფანტაზე...“ ერესს, თუმცა მთლიანად ვერ სპობს და ვერ ამოძირებავს მას, რადგან ეს უკანასკნელი მის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. მაგრამ ქრისტეს მოძღვრება, რომელიც ამგვარად წვალებათა ისტორიის ცენტრში დგას, ხსნის გზას სახავს (სოტეროლოგიური იდეა) ერესის გველური შეამით დაგესლილი და დაცემული ადამიანების განსაკურნებლად, გადასაჩენად და ადსადგენად¹²².

„პანარიონმა“ ნაკლები გავლენა იქონია შემდგომი დროის ლიტერატურულ პროცესებზე, რაც ძირითადად თხზულების დიდი მოცულობისა და, აქედან გამომდინარე, პრაქტიკული მოუხერხებლობით უნდა აიხსნას. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მას ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იყენებს ჩვენს მიერ ზემოთ უპავ ნახენები მწერალი ფილახტრიუს ბრესკიელი თავის „სხვადასხვა წვალებათა“ (Diversarum haereseon) წიგნში¹²³. VII საუკუნის ბერძენი ავტორი გიორგი ხუცესი სარგებლობს აგრეთვე ეპიფანეს „წამლების კიდობნით“, თუმცა უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებს „ანაკეფალეოსისის“ ტექსტისადმი¹²⁴. ეს შემთხვევითი არც არის. ამ უკანასკნელმა, „პანარიონისაგან“ განსხვავებით, მართლაც, ღრმა კვალი დაამნია ქრისტიანული ლიტერატურის განვითარებას, რაც მოწმობს, რომ მისმა შემქმნელმა უფრო კარგად აუდო ალლო საზოგადოებრიობის გემოვნებას. საკმარისია ითქვას, რომ უკვე 428 წელს „ანაკეფალეოსის“ ოურნებს ნეტარი ავტურინე თავის თხზულებაში „წვალებათათუს“ (De haeresibus)¹²⁵. მისი ცალკეული თავები გვხვდება „პასქალურ ქრონიკში“

122 შდრ.: P. Fraenkel. Histoire sainte et hérésie... p. 188-191. E. Moutsoulias, der begriff "Häresie"... s. 368-371.

123 B. Altaner, A. Stuiber, Patrologie... s. 369.

124 F. Diekamp, Der Mönch und Presbyter Georgios, ein unbekannter Schriftsteller des 7. Jahrhunderts, B.Z. _9, Mn., 1900, s. 14-51. M. Richard, Les "Chapitres à Épiphane sur les hérésies" de Georges hiéromoine (VII^e siècle), p. 331-362. H.G. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich, München, 1959, s. 447.

125 O. Bardenhewer, Geschichte... s. 299. B. Altaner, A. Stuiber, Patrologie... s. 316.

(*Chronicon paschale*), რომელიც VII საუკუნის კომპილირებული ქრონიკის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს¹²⁶. საგულისხმოა, რომ „ანაკეფალაიოსის“ შემოკლებული სახით მთლიანადაა შესული ბიზანტიური ლიტერატურის ორ უმნიშვნელოვანეს ძეგლში – იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაში“ (VIII ს.) და დოგმატიკურ კრებულში „მამათა მოძღვრება“ (*Doctrina Patrum*, VII-VIII სს.), რომელთა შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

არსებობს „პანარიონის“ არაბული თარგმანი¹²⁷. მოღწეულია, აგრეთვე, „ანაკეფალეოსისის“ სომხური ვერსია¹²⁸.

„პანარიონი“, ისევე როგორც „ანკპროტოსი“, საქართველოს ისტორიის მკვლევართა ინტერესს აღძრავს იმით, რომ მასში დაცულია ცნობები ქართველური ტომების შესახებ. მათი შესაბამისი ბერძნული ტექსტი პარალელური ქართული თარგმანით გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა¹²⁹. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ ჩვენს ძველ მწერლობას შემოუნახავს „ანაკეფალეოსისის“ ქართული რედაქცია¹³⁰, რომლის უფრო ღრმად გასაგებად და ფართოდ შესამეცნებლად საჭიროდ ვცანით „წამლების კიდობნის“ წინამდებარე ვრცელი მიმოხილვა.

126 PG 92, col. 112; 172-173; 201-204.

127 G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, I, Citta del Vaticano, 1944, s. 356.

128 O. Bardenhewer, Geschichte... s. 299.

129 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიეთი, I, თბ., 1961, 39-41 (აქვე დაბეჭდილია ეპიფანეს „ოულთაის“ ერთი ნაწევეტის – „ოვალი იასპისი იბერთა ქვეყანაში“ – ბერძნულ-ლათინური ტექსტი შესაბამისი ძველი ქართული თარგმანით, 42-44).

130 ბ. ძეგლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 246. შედ.: მიხილე, ებრულები, V, 46. G. Peradze, Die altchristliche Literatur in der georgischen Überlieferung, Orients Christianus III, B. 5, Leipzig, 1930, s. 85, n. I.

თავი II

„ოთხეოცთა წვალებათათკს“ თხზულების

ქართული თარგმანი

„**ქ**აკეთალეოსისის“ ქართული თარგმანი, ანდა, ოთხორც ჩვენ
მას ვუწოდებთ, „ოთხმეოცთა წვალებათათკს“ თხზულება დაცუ-
ლია „დოდმატიკონის“ სამ ნუხხაში: A 205-ში (XIII ს.), H 601-სა (1746
წ.) და A 64-ში (1751 წ.). მისი ტექსტი სამივე ამ ხელნაწერში¹ რამე
არსებით სხვაობებს არ იძლევა, რაც გარკვეულწილად ადასტურებს იმ
აზრს, რომ A 205, H 601, A 64 კრებულები ერთი და იმავე დედნიდან უნდა
მომდინარეობდნენ².

„პანარიონის“ წვალებათა ცნობარს, ე.ი. საკუთრივ მის „ანაკეფალეოსის“
ქართულ ხელნაწერებში მოსდევს მთარგმნელის მცირე ანდერძი, რომელ-
საც, თავის მხრივ, ერთვის ორი ფრაგმენტი მასალიანელთა ერქანს
შესახებ. პირველი ფრაგმენტის³ სათაურია: „ესეცა თავისი მისვე წიგნ-
ისაგან მასსალიანელთა, უშჯულოებითთა შჯულთა ვითარებისა წარმო-
მაჩინებელინი“. მეორის⁴ სახელწოდება კი ამგვარად იკითხება: „მერმეცა
მისვე მასსალიანელთა წვალებისათკს, რომელი უფროოსნა მონასტერთა
შინა საპოვნელ არს თხრობისაგან თეუდორიტესისა“. ორივე სათაურში
დამოწმებული „მისივე“, რომელიც ბერძნულ ტექსტში არ მოიპოვება,
მიუთითებს, რომ ეს ფრაგმენტებიც იმავე დედნიდან მომდინარეობს, საიდ-
ანაც ეპიფანეს შრომა. გარდა ამისა, მეორე ფრაგმენტის ტექსტი ყველაზე
ძველ ხელნაწერში (A 205) გვირდის ნახევარზე მთავრდება, მომდევნო
გვერდიდან კი უკვე ახალი ნაწარმოები იწყება. ამიტომ ეჭვი არაა, რომ
ოთხმოცი წვალების ეს ცნობარი თავისი თრი ფრაგმენტითურთ თავი-
დანვე ერთი საერთო დედნიდან ითარგმნა და გადამწერის მიერაც ერთ
მთლიან თხზულებადან გააზრებული.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „ოთხმეოცთა წვალებათათკს“ თავი-
სივე დანართით მომდინარეობს უშუალოდ ბერძნული ენიდან. ჯერ ერთი,
მისი მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი – გამოჩენილი „თარგ-
მანი“ „ბერძნულიდან ქართულსა ზედა“, ე.წ. ელინოფილური ქართული

1 A 205, 145r-150v; H 601, 149-164, A 64, 95r-102v.

2 ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978, 147-148.

3 A 205, 151r-152r; H 601, 164-167; A 64, 103r-104v.

4 A205, 152r-152v; H 601, 168-169; A 64, 104v-105r.

5 შდრ.: Migne, PG 94, col. 729; 736. B. Kotter, Die Schriften des Johannes von Damaskos, IV,
Pat. Texte und Studien, B. 22, Berlin. New York, 1981, s. 42; 46.

მთარგმნელობითი სკოლის დირსეული წარმომადგენელი; მეთრე, და რაც უმთავრესია, თვით ქართულ ტექსტში არსებული ბერძნისმები (ლექსიგა, სინგაქსური კონსტრუქციები) უკვე გამორიცხავს თარგმანის წარმომობის შუალედურ გზას – ბერძნულის გარდა მის სხვა რომელიმე ენიდან წარმომავლობის შესაძლებლობას. ამრიგად, ამ პოლემიკური შრომის ქართული თარგმანის დედანი ბერძნულ წყაროებში უნდა მოვიძიოთ. ამისათვის კი მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ „ანაკეფალეოსისის“ ტექსტის შემდგომ ისტორიას.

„ოთხეოცთა წვალებათათკს“ თხზულების

გერძნული დედისათვის

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხმოცი წვალების საძიებელ-ცნობარის ტექსტი, გარდა „პანარიონისა“ და „ანაკეფალეოსისა“, წარმოდგენილია იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაში“ და დოგმატიკურ კრებულ „მამათა მოძღვრებაში“. ამიტომ რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ამ ძეგლებზე და მათ ურთიერთმიმართებაზე.

ჩვენში საკმაოდ კარგადაა ცნობილი „წყარო ცოდნისას“ პირველი და მესამე ნაწილი – „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“, რომლებიც ძველად რამდენიმეჯერმე ითარგმნა ქართულ ენაზე⁶. ყველა მკვლევარი, ვინც ამათუ იმ კუთხით უკანასკნელ ხანებამდე შეხებია ამ თხზულების ქართულ თარგმანებს, ერთხმად აღნიშნავდა, რომ მისი მეორე, პოლემიკური ნაწილი, ქართულად არ მოგვპოვება. ეს მეორე ნაწილი არის „წვალებათათკს“ (περὶ αἵρεσεων), ანდა, როგორც მას უკანასკნელი ბერძნული გრიტიკული გამოცემის მიხედვით ეწოდება – „წიგნი წვალებათათკს“ (Liber de haeresibus)⁷. იგი შედგება ძირითადად 100 თავისაგან და, შესაბამისად, მასში დახასიათებულია 100-მდე ერესი⁸. მისი უმთავრესი ნაწილი – პირველი ოთხმოცი თავი, წარმოადგენს „ანაკეფალეოსის“ შემცირებული, შეკვეცილი სახით, ე.ი. დაყვანილს „პანარიონის“ წვალებათა აღწერილობამდე. მას ერთვის ფრაგმენტი მასალიანელთა ერესის შესახებ, რომელიც

6 იხ. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოცვლება და ლექსიკიზაცია დაურთო შ. რაფაელამ, თბ., 1976. რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966.

7 B. Kotter, დასახ. წიგნი, I.

8 იქვე, 2-7; 19-67. შდრ.: PG 94, col. 678-780.

გიორგი ხუცესის თხზულებაშიც გვხვდება⁹ და კიდევ ერთი ფრაგმენტი მასალიანელებზე, რომელიც თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორიიდან“ არის აღებული¹⁰. ამას ემატება დანარჩენი 20 თავი და, ამგვარად, ეპიფანეს 80 წვალება 100-მდე ადის.

თითქმის ახეთივე შედგენილობითაა შესული ერესთა ცნობარი „მამათა მოძღვრების“ ოცდამეთოთხმეტე თავში. სამწუხაროდ, მისი ტექსტი ამ თავის შემცველი კრებულის ერთადერთ შემორჩენილ ხელნაწერში დევეტტური სახითაა მოღწეული ჩვენამდე¹¹.

არსებობს აგრეთვე „წვალებათათუს“ შრომის გვიანდელი გადამუშავება, მისი გავრცელებილი ფორმა – *Hæreses auctae*¹², რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ამგვარი სახის პოლემიკური ტრაქტატის პოპულარობას შეასუსტების ლიტერატურაში.

თუ ვინაა ეპიფანეს „ანაკეფალეოსისის“ ას წვალებამდე გავრცელის ავტორი და რა დამოკიდებულებაა „წყარო ცოდნისას“ და „მამათა მოძღვრების“ ერესებს შორის, ამის შესახებ ერთიანი აზრი მეცნიერებაში არ არსებობს. ფ. დიკამპი ფიქრობდა, რომ „მამათა მოძღვრების“ შემდგენელმა ეპიფანეს სახელით ცნობილი მწვალებელთა სია, რომელიც ამ დროისათვის უკვე 100 ერესს აერთიანებდა, მზამზარეულად ჩართო თავის კრებულში 34-ე თავად, ხოლო ძეგლან იოანე დამასკელმა შეიტანა „წყარო ცოდნისაში“¹³. ბ. კოტერი, მართალია, მთლიანად ვერ უარყოფს ამგვარი მოსაზრების შესაძლებლობას, მაგრამ უფრო იქითვენ იხრება, რომ „წვალებათათუს“ იოანე დამასკელის ნაწარმოებია. მისი ვარაუდით, იგი ჯერ კიდევ ადრე გამოირიცხა „წყაროდან“, თუმცა „მამათა მოძღვრებაში“ და სხვა კრებულებში შეტანილი იქნა; მოგვიანებით გადამწერებმა იხევ შემოიტანეს მასში ეს ტრაქტატი ამავე „მამათა მოძღვრებიდან“, კანონიკური და ერესოლოგიური კრებულებიდან¹⁴.

„პანარიონის“ წვალებათა მოკლე აღწერილობის („ანაკეფალეოსისის“) შექმნისა და მისი ტექსტის შემდგრომი შევსება-ცვლილების ისტორია სქემატურად ამგვარად შეიძლება გამოისახოს¹⁵:

9 შდრ.: F. Diekamp, Der Mönch und Presbyter Georgios, ein unbekannter Schriftsteller des 7. Jahrhunderts, s. 20-23; 42-44.

10 შდრ.: PG 82, col. 1141-1145.

11 Doctrina Patrum de incarnatione Verbi, zumersten mahle vollständig Herausgegeben und Untersucht von F. Diekamp, Münster, 1907, s. LXIX-LXXII; 266-270.

12 B. Kotter, დასახ. შრომა, 7-10.


13 F. Diekamp, დასახ. ნაშრომი, LXXII; LXXXI-LXXXII.

14 B. Kotter, Die Überlieferung der Pege gnoseos des hl. Iohannes von Damaskos, Studia patristica et byzantina, 5, Ettal, 1959, s. 211-213. მიხივე, Die schriften... s. 3-4.

15 გამოყენებული გვაქსს შემდეგი დატერმინი: A – ანაკეფალეოსისი, P – პანარიონი, E – ერესი, F – ფრაგმენტი, M – მასალიანელთა წვალება.

„მამათა მოძღვრება“ (VII-VIII სხ.)

34-ე თავი



თეორიულად, სქემაზე წარმოდგენილი პიზანტიური ლიტერატურის ნებისმიერი ეს ძეგლი შეიძლება იყოს ჩვენი „ოთხმეოცთა წვალებათათუ“ თხზულების სავარაუდო დედანი. მაგრამ უკვე მარტივი შედარებისას ნათელი ხდება, რომ ქართული თარგმანის წარმომავლობა პირველი ორი ნაწარმოებიდან (პანარიონიდან“ და „ანაკეფალეოსისიდან“) ლოგიკურად გაუმართდებელია. საეჭვოა, რომ თეოფილეს თავად შემოკლებინა ეს შრომები ქართულად, როცა ამგვარი შემოკლებული ტექსტი ბერძნულ ხელნაწერებშიც არსებობდა. რაც მთავარია, ქართული თარგმანის ორი ფრაგმენტი მასალითან გამოიცხავს მის მომდინარეობას „პანარიონიდან“ და „ანაკეფალეოსისიდან“, რადგან არც ერთ მათგანს ასეთი სახის ტექსტი არ მოეპოვება. უფრო სარწმუნო ჩანს „ოთხმეოცთა წვალებათათუ“ თხზულების გამოცხადება „მამათა მოძღვრების“ 34-ე თავის ან „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილის შემოკლებულ თარგმანად, რაკიდა ამ უკანასკნელის ხელნაწერთა ერთ ნაწილში (M, S ჯგუფები და 705-ე ხელნაწერი კოტერის მიხედვით) წვალებების აგზორად ეპიფანე კვიპრელია დასახელებული¹⁶.

16 B. Kotter, Die Überlieferung... S. 201-207.

ასეც მოიქცა მ. რაფავა, რომელმაც თეოფილეს თარგმანი დამასკელის „წვალებათათკე“ შრომიდან მომდინარედ ჩათვალდა¹⁷. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მკვლევრის აზრს, რომ „ოთხმეოცთა წვალებათათკე“ სტრუქტურულად და ტექსტობრივად უფრო ახლოს დგას „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილთან, ვიდრე „ანაკეფალუოსისთან“, მაგრამ მის საბოლოო დასკვნას მაინც ვერ დავეთანხმებით. ამას ხელს უშლის ქართული თარგმანის სათაური და დასაწყისი, რასაც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი დედინის განსაზღვრისას.

ეს სათაური სრული სახით ასეთია: „წმიდისა ეპიფანე ქარების მთავარეპისკოპოსისად. პასუხი ეპისტოლისა, რომელი მიუწერეს მდდელობავე მისთა – აკაკიოს და პავლე, **თავ-თავოანებისათკე** თოხმეოცთა მათ წვალებათათავასა“. აქ ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ ქართულ თარგმანს ჰქვია „თავ-თავოანება“, ე.ი. „ანაკეფალუოსისი“ (‘ანაკეფალაიასი-თავ-თავოანება’) თოხმოცი წვალებისა. ამასთან, დამოწმებული ტექსტი ერთგვარი პერიფრაზია „პანარიონის“ შესავლის სახელწოდებისა: ო აντιγρაფენია პრὸς τὸν περὶ Ἀκάκιον καὶ Παῦλον πρεσβυτέρους ὑπὸ (τοῦ) αὐτοῦ Ἐπιφανίου πρὸς τὰ ὑπ’ αὐτῶν αὐτῷ γραφέντα περὶ τοῦ κατὰ αἰρέσεων γράψαι αὐτόν¹⁸. ქართული თარგმანის დასაწყისი კი ასე იგიოთხება: „არს უბუშ ყოველი საქმე ზემოთქმულთა მათთკე სამთა წიგნთა, რომელი-იგი შკდ ნაკუტთად განკუცხნით. ოჯ-თოუელსა შინა თავსა ძეს რიცხვ წვალებათა, ხოლო ჯუმლიად ყოველნივე არიან თოხმეოც... (გვ. 1,1-3) ტექსტის ეს მონაკვეთიც „პანარიონის“ შესავლიდანაა ამოღებული: კაὶ ἔστι τὰ ἐν τῇ πάσῃ πραγματείᾳ σιὰ τῶν προειρημένων τριῶν βιβλίων, πρώτου καὶ δευτέρου καὶ τρίτου, ᄾτινα τρία βιβλία εἰς ἐπτὰ τόμους διείλομεν, ἐν δὲ ἐκάστῳ τώμῳ ἀριθμός τις αἰρέσεων καὶ σχισμάτων ἔγκειται, ὅμοι δὲ πᾶσαι εἰσιν ὁγδοήκοντα...¹⁹

როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანის სათაურსა და დასაწყის ნაწილში უგვე მინიშნებულია, რომ თხულებათში საუბარი იქნება 80 წვალების შესახებ. ეს პროგრამა ზუსტად ხორციელდება მთელ თარგმანში, რომელშიც სწორედ 80 ერებია განხილული. მასალიანელთა შესახებ მიმატებული ორი ფრაგმენტი ამ მხრივ არაფერს ცვლის, რადგან ისინი ერთგის ეპიფანეს მეოთხმოცე თავს ამავე მასალიანელთა წვალე-

17 მ. რაფავა, თეოფილე ხუცესმონაზონის ერთი თარგმანის შესახებ (ეპიფანე კვიპრელი თუ იოანე დამასტელი?). მაცნე-ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1986, №4, 39-51. შდრ.: ს. მახარაშვილი, ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათკე“ თხულების ქართული თარგმანი და მისი ბერძნული დედანი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1987, №1, 106-113.

18 K. Holl, Epiphanius (Ancoratus und Panarion), I, GCS, Leipzig, 1915, s. 155. PG, col. 157.

19 K. Holl, Epiphanius... I, s. 156, 26-157, I. PG. 41, col. 160. შდრ.: Anacephaliosis, PG. 42, col. 836.

ბაზე და ცალკე თავად ერესების რიცხვის მიხედვით არ გამოიყოფა. ამგვარი სათაური და, ალბათ, დასაწყისიც არაბუნებრივი იქნებოდა იოანე დამასკელის „წვალებათათკ“²⁰, რადგან ის ოთხმოცს კი არა, ას ერესს და, შესაბამისად, ას თავს აერთოანებს. მართლაც, ასეთი სახის ტექსტი მის არც ერთ ბერძნულ ხელნაწერს არ მოეპოვება. ამიტომ „წყარო ცოდნისას“ პოლემიკურ ნაწილს, ისევე როგორც „მამათა მოძღვრების“ 34-ე თავს, ვერ ჩავთვლით ქართული თარგმანის დედნად. მნელი წარმოსადგენია, რომ თეოფილე ხუცესმონაზონს ჯერ შეეცვალა თხზულების სათაური²⁰ და დასაწყისი „პანარიონის“ მიხედვით, ხოლო შემდეგ შეემოკლებინა კიდეც ქართულად მისი ტექსტი, მით უმეტეს, რომ იგი ეპუთვნის იმ მთარგმნელთა რიცხვს, რომლებიც საერთოდ ნაკლებად ცვლიან ტექსტს და მის ძლიერ გავლენასაც განიცდიან.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ ქართული თარგმანის შესატყვისი ანალოგიური ბერძნული დედანი ცნობილი უნდა ყოფილიყო ბიზანტიურ მწერლობაშიც. იგი დაცული იყო, ალბათ, რომელიმე ბერძნულ ხელნაწერ კრებულში, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს. ამიტომ თეოფილეს ეს თარგმანიც გვერდით უდგას იმ ქართულ ძეგლებს, რომლებსაც „თავისებური წვლილი“ (პ. კეკელიძე) შეაქვთ ბიზანტიური ლიტერატურის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში.

„ოთხმეოცთა წვალებათათკ“ თავისი ფრაგმენტებითურთ ასახავს „ანაკეფალეოსისის“ კომპილაციის პირველ საფეხურს, მისი ბერძნული ტექსტის გადასხვაფერებისა და შეცხების დასაწყისს, ვიდრე იგი ას წვალებამდე განივრცობოდა. მისმა ავტორმა, ჩვენთვის უცნობმა მწერალმა, ეპიფანეს წვალებათა ისტორიის მოკლე ცნობარს დაურთო სხვა ცნობები მასალიანელთა წვალებაზე და, ამგვარად, სათავე დაუდო თხზულების გავრცობის შემდგომ ისტორიას. საგულისხმოა, რომ თეოფილე ხუცესმონაზონის ანდერძი დართულია ეპიფანეს „ანაკეფალეოსისის“ თარგმანის ბოლოს, რითაც მკვეთრადაა გამიჯნული ეს თხზულება მისივე დანართი ნაწილისაგან მასალიანელთა შესახებ. აღნიშნული ფაქტიც ამ პოლემიკური შრომის ადრინდელ, ჯერ კიდევ დაუსრულებელ გადამუშავებაზე მეტყველებს.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ხასიათისა და უანრის კომპილირებული თხზულებები ძალზე გავრცელებული იყო შეა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იმ დროისათვის ავტორობის პრობლემა არ იდგა. ძეგლი მწერლები თუ გადამწერები უხვად სარგებლობდნენ თავიანთი წინამორბედების, განსაკუთრებით დიდი საეკლე-


20 შესაბამობა თეოფილეს თარგმანის დასათაურებასა და იოანე დამასკელის თხულების სახელწოდებას შორის მ. რაფაგასაც აქვს აღნიშნული (დასახ. შრომა, 48). მაგრამ მცდელები არ სხნის, რამ გამოიწვია ეს შეცხაბამობა ან რატომ აკლია ქართულ ტექსტს „წვალებათათკ“ შრომის ბოლო 20 თავი.

სიო მამების ლიტერატურული შემოქმედებით – არჩევდნენ საუკეთესო ნაწარმოებებს, ცვლილებები შეპქონდათ ტექსტებში, ასხვაფერებდნენ მათ შინაარსს და, ამგვარად, დროის მოთხოვნილებისა და მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით, ფაქტობრივად, ხელახლა ამჟავებდნენ. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ერთხელ უპვე გადამუშავებული თხზულება გადამწერების ხელში კვლავ შემდგომი კომპილაციის საგანი ხდებოდა. ასეთივე გზა უნდა გაევლო ეპიფანეს ოთხმოცი წვალების ცნობარს, ვიდრე იგი ას ერესამდე ავიდოდა. ამიტომ ფ. დიკამპის მოსაზრება, რომ „მამათა მოძღვრებისა“ და „წყარო ცოდნისას“ მწვალებელთა სია (100 თ.) უცნობი კომპილატორისაგან უნდა მოდიოდეს, ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან. აშკარაა, რომ მას რამდენიმე ავტორის ხელში უნდა გაევლო, რისი ერთ-ერთი ნიმუშიც ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავთ. ყოველ შემთხვევაში, დღეს უპვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ანაკეფალეოსისის“ შემოკლებული ტექსტი და მასზე მიმატებული ორი ფრაგმენტი მასალიანელთა შესახებ არაა იოანე დამასკელის შემოქმედების ნაყოფი, როგორც ეს ბ. კოტერს ჰგონია²¹. ახლა შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა წვლილი შეიტანა თავად იოანე დამასკელმა „წყარო ცოდნისას“ პოლემიკური ნაწილის შექმნაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთი ბიზანტიოლოგის შრომაში ამ მწერლის ლვაწლი ზოგჯერ აშკარად გაზიდებული და წარმოდგენილი.

ეპიფანეს „ოთხმეოცთა წვალებათათვე“ თხზულების ქართული თარგმანის გაცნობის შემდეგ ერესების ტექსტის ისტორიის სქემა ასეთ სახეს მიიღებს:

„მამათა მოძღვრება“ (VII-VIII სს.)

34-ე თავი



21 B. Kotter, Die Überlieferung... s. 197; 213-214. მიხეილი, Die Schriften... s.3.

წმინდა ტექსტობრივი მიმართების თვალსაზრისით, „ოთხმეოცთა წვალებათათგა“ მაინც უფრო ახლო დგას „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილთან („წიგნი წვალებათათგა“), ვიდრე „პანარიონთან“ და „ანაკეცალეოსისთან“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს²²:

„ოთხმეოცთა
წვალებათათგა“

„წვალებათათგა“

„პანარიონი“

1. და ეგპტელთა მიერ მთღა]შერე ეწოდება და ფი[ცი]ონიტე, ხოლო ზემო კერძოთა მათგან ადგილთა – სოქრატიტე, ძვალედ სხეუთაგან – ზაგენის; ხოლო რომელთაგანმე ქალდევლნი ერქუნებ მათ, კუდლედ სხეუთაგან მწყრიან სახელ-ედებოდა მათ, რომელნი-ესე მთავრობენ ვარენ და ვერონელთა ზედა (26,2-7).

ეν Ἀιγύπτῳ δὲ Στρατιώταις καλούμενοι καὶ φιβιωνῖται, ἐν δὲ τοῖς ἀνωτερικοῖς μέρεσι Σωκράταις παρ' ἔτεροις δὲ Ζακχαῖοι. Ἀλλοι δὲ κολδιανοὺς αὐτοὺς λέγουσιν, ἄλλοι δὲ βορβορίτας αυτοὺς καλοῦσιν. Οὗτοι τὴν βαρβέλωναν σαხელ-ედებოდა მათ, καὶ βερῶ αὐτὸν σιν (Η 26,2-6).

ეν Ἀιγύπτῳ δὲ Στρατιωτικοὶ καλούμενοι καὶ Φιβιωνῖται, ἐν δὲ τοῖς ἀνωτερικοῖς μέρεσι Σεκουνδιανοί, ἐν ἄλλοις [ἄλλοις+δε A] μέρεσι Σωκρατῖται, παρὰ δὲ ἔτεροις Ζακχαῖοι ἄλλοι δὲ Κοδιανοὺς αὐτοὺς λέγουσιν, ἄλλοι δὲ βορβορίτας αὐτοὺς καλοῦσιν Οὔτοι(τὴν) βαρβηλώτην καὶ βαρβηρῶ αὐχοῦσιν [Οὔτοι - αὐχοῦσιν <A>]· (P.I.s. 235,18-22).

2. და იქმან დაფარელთა რაომე წერტათა ჩჩკლ-თა ზედა საწერტელითა რგალისათა, ვითარცა-იგი ფრპლასტონი და სისხლითა მათითა აღსურიდეს ფქვილსა და გამოაცხობდეს პურად და სეფისკურედ მიიღებდეს, ანუ ოუ ეზიარებოდეს (49,6-9).

Μοῦνται δὲ τινα κατακεντοῦντες νέον παῖδα ῥαφίσι χαλκᾶς ὥσπερ οἱ Καταφρυγαστῶν καὶ τῷ αἵματα αὐτοῦ αλευρον φυράσαντες καὶ ἀρτοποιήσαντες προσφορὰν μεταλαμβάνουσι (Η 49,6-9).

Μοῦνται δὲ τινα παῖδα κατακεντῶντες νέον (P. II,S 211, 16-17).

22 „წვალებათათგა“ ტექსტს პირობითი ნიშნით ჰ ყველგან ვიმოწმებთ პ. პოტერის გამოცემის მიხედვით: Die Schriften des Johannes von Damaskos, IV, Liber de haeresibus, ხილო „პანარიონის ტექსტს (=P) – პ. პილისეული კრიტიკული გამოცემის მიხედვით: Epiphanius (Ancoratus und Panarion), I, 1915; II, 1922; III, 1933. ამავე გამოცემაში მთითულებრივი „ანაკეფალეოსის“ ტექსტის ვარიანტები. ადგილის ეკონომიის მიზნით, ჩვენც „ანაკეფალეოსის“ (=A) სხვაობებს „პანარიონის“ ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ვარიანტების სახით აღვნიშნავთ.

3. Ρωμήλοντο-ογι οιωανεσ
ταρέσα σασαρηγάσασα δα
δαμοτρέσαδερέδασα μισσασ αρα
შეიწყნარებენ, ραμητუ ρω-
μηλο-ογι θωριδα δαθισαგან
ღմերտո-ხიტյար, ρωμηλո-
ογι θարածոս αրե, օցիս
αρա օրվայնեბեն (51,1-4).

οι τὸ εὐαγγέλιον τὸ κατὰ
Ἰωάννης α’θετοῦντες καὶ
τὴν Ἀποκάλυψιν αὐτοῦ
διὰ τὸ τὸν ἐλθόντα ἐκ τοῦ
πατρὸς θεῶν λόγον ὅντα ἀεὶ¹
μὴ δέχεσθαι (H 51,1-3).

οἱ τὸ εὐαγγέλιον Ἰωάννου
καὶ τὸν ἐν αὐτῷ ἄνωθεν
ἀπὸ πατρὸς ἀεὶ θεὸν
λόγον παρεκβάλλοντες, τὸ
ἰεὐαγγέλιον αὐτὸ δὴ τὸ
κατὰ Ἰωάννην μὴ δεχόμενοι
μήτετην αὐτοῦ Ἀποκάλυψιν |
(P. II, s. 212,3-6).

4. օցլօօ (69)

օցլօօ (69 H 69)

ἡνδὲ οὔτος ὁ ”Αρειος
πρεσβύτερος Ἀλεξάνδρου
ἐπισκόπου Ἀλεξανδρείας
[Ἀλεξάνδρου - Ἀλεξανδρ-
είας] τῆς Ἀλεξάνδρεων
ἐκκλησίας. A] (P. III, s.2,
8-9).

როგორც ვხედავთ, როდესაც ქართული თარგმანი გადახრილია „პანარ-
იონისა“ და „ანაკეფალეოსის“ ტექსტისაგან, იგი მიჰყება იოანე დამ-
ასკელის თხზულებას (ლაპარაკი აღარაა იმაზე, რომ ზოგჯერ სამივე ამ
ნაწარმოებისაგან სხვაობს). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთივე ვითარე-
ბასთან გვაქვს საქმე „პანარიონის“ შესაბამისი წიგნის, ტომის და თავების
აღნიშვნისასაც. მაგრამ ეს მოსალოდნელი იყო, რადგან „ოთხმეოცთა
წვალებათათჯ“, როგორც ვთქვით, მომდინარეობს უბავე გადამუშავებული
„ანაკეფალეოსის“ ბერძნული ტექსტისაგან, ხოლო ამ უკანასკნელის
შემდგომი ცვლილება ძირითადად მისი შევსებით უნდა გამოხატულიყო.

საინტერესოა, რომ ქართულ თარგმანში აქა-იქ ისეთი ნიმუშებიც დას-
ტურდება, როცა ის სცილდება იოანე დამასკელისულ ტექსტს და უფრო
ახლოს მიდის ეპიფანეს თხზულებებთან. თარგმანის სათაურისა და და-
საწყისის შესახებ ზემოთ უბავე აღვნიშნეთ. ახლა დავიმოწმებთ სხვა
მაგალითებს:

„ოთხმეოცთა
წვალებათათჯ“

„წვალებათათჯ“

„პანარიონი“

1. და არცა ღმერთსა და
არცა განგებასა პყრობად
იტყვიდეს ყოვლისა (8,3-4).

καὶ μήτε θεὸν, μήτε πρόνο-
ιαν τὰ πράγματα διοικεῖν
(H 8,3).

καὶ μήτε θεὸν, μήτε
πρόνοιαν τὰ πράγματα
[τὰ πράγματα τὰ πάντα A]
διοικεῖν (P. I, s. 166,7-8).

2. Καὶ ἡμεῖς γανγράφεις
γρωποίσας αδελφῷ
θέμόντοις οὐκ εἰσήσθησα,
καὶ ἡμεῖς μαρτύρων
ζητήσας θεωρήσαμεν
(13, 3-4).

τὸν ἀπέχεσθαι ἐμψύχων,
ὅμοιως καὶ ἐν τοῖς
ἄλλοις, καὶ ἐν νηστείαις
δὲ συνεχέστατα βιοῦντες
(P.I.s. 166,29-30).

13,3-4).

3. Οὐρανοὶ οὐρανοὶ γαρ-
τούρας αὐτοῖς φοβάνθησαν,
τοῦτο μελλοντικόν
(27,1-2).

οἵ απὸ Καρποκράτους τινὸς
τῶς ἐν τῇ Ἀσίᾳ Οὔτος
ἐδίδασκε... (H 27,1-2).

ἀπὸ Καρποκράτους τινὸς
τῶς ἐν τῇ Ἀσίᾳ, ὃς
ἐδίδασκε... (P.I.s. 235,23-24).

ასეთი შემთხვევები ძალზე იშვიათად გვხვდება და წარმოდგენილ ნი-
მუშებშიც ტექსტობრივი სხვაობანი მხოლოდ უმნიშვნელო, ნიუანსობრივ
სასიათს ატარებენ, რაც მოწმობს, რომ ამგვარ ფაქტებს ხორმის დირექ-
ულება არა აქვთ ქართული თარმგანისათვის. მაგრამ ეს მომენტიც უსათ-
უოდ გასათვალისწინებელია „ოთხმეოცთა წვალებათათვე“ თხზულების
ბერძნულ დედანთან მიმართების დასადგენად.

ასლა კი მოგლედ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული დასკვნების
სახით:

1. „ოთხმეოცთა წვალებათათვეს“ თხზულების ქართული თარგმანის დედანი ბერძნულ ხელნაწერებს არ შემოუნახავთ. ამიტომ მას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის, კრემლი, „ანა კოვალევსკისის“ ტექსტის ისტორიისათვის.

2. უნდა დაზუსტდეს გამოხატვამები: „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილი ქართულად არ არის თარგმნილი“ ან თუნდაც: „თარგმნილია „წყარო დამასკელისა“ ამ ნაწილში, ეპიფანე კვიპრელის ე.წ. პანარიონის შემოკლება – ’ანაკეფალაίასიც“ (პ. კეკლიძე). უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით: „წყარო ცოდნისას“, „წვალებათათვეს“ პოლემიკური შრომის უმთავრესი ნაწილის თარგმანი ქართულ ენაზეც მოვიმდევთება“.

3. წმ. ეპიფანეს „ოთხმეოცთა წვალებათათგა“ თხულების ქართული თარგმანის ბერძნულიდან მიმართების ნათელსაყოფად გამოყენებული უნდა იქნეს იოანე დამასკელის „წიგნი წვალებათათგა“ შრომის უკანასკნელი, კრიტიკული გამოცემა. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნას „პანარიონისა“ და „ანაკეფალეოსისის“ ტექსტებიც.

თარგმნილი თხულება, რომლის პირვანდელი დედანი აღარ არ-სებობს, ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებს ქმნის პირველწე-აროსთან მიმართების შესასწავლით. არადა, ასეთ შემთხვევებს ხშირად ვაწყდებით ძველი ქართული წერილობითი ძეგლების კვლევისას. ამგვარ ვითარებაში ძალზე ჭირს იმის გარკვევა, თუ თარგმნილი თხულების განსხვავებულ წაკითხვათაგან რა არის დენისულ და რა – უშეალოდ მთარგმნელის შემოქმედების ნაყოფი. ცხადია, კვლევის ინდუქციური მე-თოდი აქ უკვე სრულყოფილი აღარ არის და მიღებული დასკვნების აბსოლუტურ სიზუსტეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ უნდა გამოიძებნოს სხვა დამატებითი საშუალებებიც, რასაკვირველია, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს; ანგარში უნდა გაეწიოს ინტუიციასაც, რათა ფრთხილი განსჯისა და ანალიზის საფუძველზე აღდგენილ იქნეს დაახ-ლოებით ხწორი სურათი თარგმანისა და დენის დამოკიდებულების თავ-დაპირველი ვითარებისა.

ჩვენთვის კვლევის ასეთ დამხმარე საშუალებად შეიძლება გამოდგეს ორი გარემოება: 1. გარდა იმ ძირითადი თხულებისა (იოანე დამასკელის „წვალებათათკა“), რომელთანაც ყველაზე ახლოსაა ქართული თარგმანი, დამატებით გვაქს სხვა საკონტაქტო ბერძნული ტექსტებიც უპირატეს „პანარიონისა“ და „ანაკეფალეოსისის“ სახით. 2. ცნობილია „ოთხმეოცთა წვალებათათკა“ თხულების მთარგმნელი – თეოფილე ხუცესმონაზონი და, მაშასადამე, ზოგად ხაზებში გათვალისწინებული უნდა იქნას ქართ-ველი ავტორის მთარგმნელობითი მეთოდი, მისი ენისა თუ სტილის თავ-ისებურებანი.

სამწუხაროდ, თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანები ენობრივ-სტილ-ისტური სპეციფიკის თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია²³ (ამას თავისი თბილებური მიზეზებიც აქვს, რადგან ათონური ხელნაწერები, რომლებშიც თაგმოყრილია თეოფილეს თარგმნილ თხულებათა უმრავ-ლესობა, ამ ბოლო ხანებამდე ქართველ მეცნიერთათვის მიუწვდომელი იყო). ჩვენი ფილოლოგია ვალშია ამ უდავოდ ნიჭიერი და თვითმყოფადი მწერლის წინაშე. სამაგიეროდ, ჩვენ უფრო მეტი რამ ვიცით თეოფილეს მთარგმნელობითი მუშაობის ზოგად პრინციპებზე. ამ მხრივ უთუოდ

23 რამდენიმე საინტერესო დაკვირვება შემოგვთავგაზა თეოფილეს ენის თავისებურე-ბებზე ეფრემ მცირესთან მიმართებით რ. მიმინოშვილმა სტატიაში: ამბრივი მედიოლანე-ლის „ცხოვრების“ ახალი რედაქცია ქართულ მწერლობაში, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მთამბე, გ. XXIII, №6, თბ., 1959, 753-757.

უურადღებას იქცევს სექტემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავთა კრებულისათვის (ათ. №20) დართული მისი ანდერძი, რომლის უცნობი ნაწილები ამ რამდენიმე წლის წინ შეისწავლა და გამოაქვეყნა ი. ლოლაშვილმა²⁴. მოვიყვანთ ანდერძის იმ ნაწილს, რომელშიც თეოფილე თავის მთარგმელობით მეთოდს ეხება:

„ლოცვად ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ციდვილისა თეოფილესათუს რეცა თარგმანისა, რამეთუ მე არარავთუს სხვსა, არამედ ლოცვათათუს თქენ-თა წმიდათ თავს-მიც შრომად ამისი. ხოლო ვევედრები და ვამცნებ ყოვ-ელთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე, რავთა უპუთუ ვინმე წერდეს ამიერ, ვითა აქა პოოს, ეგრეთ წერდინ შეუცვალებელად, რავთა არა ბრალეულ იქმნას სასჯელთაგან საღმრთოთა, და ნუცა სიტყუასა სცვალებნ, ნუცა თავსა, ნუცა წერტილსა, რამეთუ მე თავით ჩემით არარავ დამიწერია, არცა რავ ჩამირთავს და არცა დამიკლია, რაოდენი ჩემგან ეგბოდა და ქართული ენად თაგს-იდებდა, არამედ ვითარცა ბერძულად მიპოვნია წიგნთა შინა მართალთა და ფრიადცა წარჩინებულთა, ესრევე ქართულად დამიწერია. ხოლო უპუთუ ვინმე ამას ურწმუნო იყოს, შეაწა-მებ და მიერ ისწავენ ჭეშმარიტებად სიტყუასაც“²⁵.

დამოწმებული ნაწყვეტი საყურადღებოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გვაცნობს თეოფილეს მთარგმნელობითი მუშაობის სპეციფიკას კონკრეტულად მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ საკითხავთა გადმოქართულებისას, არამედ იმიტომაც, რომ იგი წარმოაჩენს საზოგადოდ ქართველი ავტორის მთარგმნელობით მეთოდს, იმ შემოქმედებით პრინციპებს, რომელთაც ის, როგორც ჩანს, მთელი თავისი ლიტერატურული საქმიანობის მანძილზე ატარებდა. ეს პრინციპები ასეთია:

1. მწერალმა უნდა მოიპოვოს სარწმუნო დედანი, რომელიც შერწყ-ნილი და დამახინჯებული არ იქნება და იქიდან გადმოთარგმნოს თხ-ზელება.

2. თარგმნილი თხზულება ზედმიწერნით ზუსტად უნდა გადმოსცემ-დეს თავდაპირველი დედნის სახეს და, ამდენად, ნაწარმოები უნდა ითარგმნოს „შეუცვალებელად“, ყოველგვარი შემატებისა და კლების გა-რეშე.

3. თარგმნის პროცესში მწერალმა მაქსიმალურად უნდა გაითვალი-ისწინოს მშობლიური ენის სპეციფიკა, მის წიაღში დაფარული გამოხატვის მდიდარი შესაძლებლობანი, რათა თარგმანი ბუნებრივი და მისაღები იყოს ამ ენაზე მოლაპარაკე მკითხველისათვის.

²⁴ ი. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლეები, თბ., 1982, 44-53. შდრ.: 6. გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა, მრავალთავი, XII, თბ., 1986, 101-113.

²⁵ ი. ლოლაშვილი, დახახ. წიგნი, გვ. 49-50. 6. გოგუაძე, დახახ. სტატია, 104; 112.

როგორც ვხედავთ, თეოფლიე ხუცესმონაზონი მთარგმნელობითი შეხე-დულებებით გვერდით უდგას მისსავე თანამედროვე ეფრემ მცირებ²⁶. ეს ბუნებრივიცაა. ორივე მწერალი იმ შემოქმედებით ტრადიციებს ავითარებ-და, რომელსაც სათავე მათმა მოძღვარმა – დიდმა გიორგი მთაწმიდელმა დაუდო. ეს ელინოფილური ლიტერატურული სკოლა, რომელმაც განსა-გუთრებული თეორიული დასაბუთება ეფრემ მცირის მრავალრიცხვან წინაპატებსა თუ ანდერძებში ჰპოვა, მოითხოვდა თხზულების ზუსტად გად-მოეცას დედნიდან, თარგმანის მჭიდრო დახალოებას მასთან. ამასთან, თუკი ეფრემი, ვითარცა სასულიერო მწერლობის მკვლევარი-ტექსტოლო-გი და კომენტატორი, ე.წ. ზუსტი მეცნიერული თარგმანის ფუძემდებლად მოვცევლინა, თეოფილეს შემოქმედებითი გზა, ჩანს, ზუსტი მხატვრული თარგმანისაკენ იყო მიმართული²⁷. არსი კი ერთი იყო: თანდათანობით უნდა დაძლეულიყო ძველ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული თავისუფალი თარგმანის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რომელიც ექ-თიმე ათონელის უდიდესმა ნიჭმა და მხატვრულმა ტალანტმა მთარგმ-ნელობითი ხელოვნების ნორმისა და ნიმუშის სიმაღლემდე აიყვანა.

ბუნებრივია, რომ ახალი ლიტერატურული მიმართულება თავისი პრინციპების დანერგვას, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მთარგმენ-ლობითი საქმიანობით ცდილობდა. ამიტომაცაა, რომ ძველად უკვე თარგ-მნილ თხზულებებს არცთუ იშვიათად ხელმეორედ თარგმნიდნენ გიორ-გი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე თუ თეოფილე ხუცესმონაზონი, თუმცადა, ზუსტი თარგმანის მიმდევრები გარკვეულ ანგარიშს მაინც უწევდნენ ძველ ლიტერატურულ ტრადიციას. რომ ადარაფერი ვთქვათ გიორგი მთაწმიდელზე, რომელიც ზოგჯერ მიმართავდა შემატება-კლების მეთოდს, თვით ეფრემ მცირეც კი ყოველთვის ვერ ახერხებდა მის მიერ წამოყენ-ებულ თეორიულ დებულებათა ზუსტ რეალიზაციას თარგმანში²⁸.

ეს მომენტიც, როგორც ერთგვარი გამონაკლისი, ალბათ, გათვალ-ისწინებული უნდა იქნეს თეოფილეს ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისას.

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: თავისუფალი თარგმანის პრაქტიკა, ჩანს, ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ფსევდოლიტერატურული მოღვაწეო-ბისათვის, კიდევ უფრო მეტ გასაქანს აძლევდა ტექსტის გადამწერთა

26 ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე იხ. ი. ჯაგახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თხზულებანი თორმეტი ტომად, ტ. VIII, თბ., 1977, 159-164. ქ. ქმედლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 253-255. ე. ხინთიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1982, 116-118; 163.

27 შდრ.: რ. სირაძე, ქართული ეხთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978, 66-67.

28 ე. ხინთიძე, დასახ. წიგნი, 163-176. შდრ.: ქ. ქმედლიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მიხი ხახიათი, ეტიუდები, I, 189.

და კომპილატორთა საქმიანობას, რომელიც იმდროინდელი მსოფლმხედველობრივი მრწამსისა და ლიტერატურულ-ეთიკური ნორმების მიხედვით ისედაც არ იყო შეზღუდული. ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილიც კი იყო ერთ-ერთი ასეთი მოღვაწე – ვინმე ოზანი, რომელიც ექვთიმე ათონელის თარგმანების შერყვნასა და დამახინჯებას ეწეოდა²⁹. ამ ფაქტის შესახებ იცოდა გიორგი მთაწმიდელმა და, ცხადია, ასეთი შემთხვევები შეუმნეველი არც მის მოწაფეებს უნდა დარჩენოდათ. ამიტომაცაა, რომ ასე დაუინებით მოითხოვდა თავის ანდერძში თეოფილე, არაფერი შეეცვალათ და გადაეცემონათ მის თარგმანში, ზუსტად და სიტყვასიტყვით გადაენუსხათ მისი ნაწერი, წინააღმდეგ შემთხვევაში საღმრთო სახულითაც კი იმუქრებოდა (ამგვარ თხოვნა-მოწოდებებს გადამწერთა მისამართით არც გიორგი მთაწმდელი და ეფრემ მცირე იშურებდნენ³⁰).

ამ მიმართებით თუ შეგხედავთ ეპიფანე პვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათგა“ თხზულების ქართულ თარგმანს, რომლის ყველაზე ძველი ნუსხა XIII საუკუნის ხელნაწერითაა მოღწეული, მცირეოდენ ტექსტობრივ ცვლილებათა კადას უთუოდ მასშიც შენიშვნავთ, თუმცადა, აქ ეს ცვლილებები გადამწერის შეცდომებითა და ტექსტის ხარვეზებით არის განპირობებული.

ზემოთ მოყვანილ ანდერძში თეოფილე თარგმანის გადამწერთა და მკითხველთა ერთი ნაწილის საყურადღებოდ შენიშვნავდა: თუკი ვინმეს არ სჯერა, რომ სვიმეონ ლოდოოთების პაგიოგრაფიული საკითხავები ჩემს მიერ ზუსტადაა თარგმნილი ბერძნულიდან, თავად შეაჯეროს თარგმანი დედას და ისე ისწავლოს „ჭეშმარიტებად სიტყბად“-ო. მაგრამ ამჯერად ეს საკითხი ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება. ამიტომ ისდა დაგვრჩენია აპრიორულად ვირწმუნოთ, რომ თეოფილე ზუსტი თარგმანის პრინციპს ეპიფანე „ოთხმეოცთა წვალებათათგა“ თხზულების ქართულად გადმოღებისასაც დაიცავდა; მით უმეტეს, ეს უკანასკნელი განეკუთვნება პოლემიკურ-ისტორიული შრომების რიცხვს და, მაშასადამე, მასში ცვლილებების შეტანა XI საუკუნის მწერლის მიერ მაინცდამაინც მოსალოდნელი არც იყო.

²⁹ ქ. გმირელიძე, შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთნ დაკავშირებით, ეტოულები, II, თბ., 1945, 214-215. მისვე, ქვ. ქართული ლიტ. ისტორია, I, 192-193.

³⁰ იხ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი (ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბ., 1957, 285) და ეფრემ მცირის „გარდამოცემის“ შესავალი (ითანე დამასტელი, დიალექტიკა, 67, 4. გ. რაფაგას რედ.).

„ოთხეოცთა წვალებათათვს“ თხზულების ჩართულ-პერძული
ტექსტების ურთიერმიშართვებისათვის

Γროვ შეხედვით ისე ჩანს, რომ ოფელილე ხუცესმონაზონმა (თარგ-მანმა) თითქოს დაარღვია თავისი მთარგმენლობითი მუშაობის ერთ-ერთი პრინციპი – მწერალმა სარწმუნო დედნიდან უნდა თარგმნოს თხზულება – გადმოიდო რა ქართულდა „ოთხმეოცთა წვალებათათვს“, რომელიც, როგორც აღინიშნა, ეპიფანეს ხელიდან არ იყო გამოსული. მაგრამ, ჯერ ერთი, იმ დროისათვის ყოველთვის შესაძლებელი არ იყო სანდო და კომპილატორებისაგან შეურყვნელი ტექსტების მოძიება, მეორეც, „ანაკეფალაიოსისი“ უპე V საუკუნიდან ეპიფანე კვიპრელის დამოუკიდებელ ნაწარმოებად იყო მიჩნეული და სრულიად ბუნებრივადაც, რაკიდა მისი ტექსტი მთლიანად „პანარიონიდან“ იყო გამოკრებილი. ცხადია, ამ ტრადიციას ვერც XI საუკუნის ქართველი ავტორი დამყენებდა ეჭველებული ხოლო ის, რაც ეპიფანეს ნამდვილად არ ეკუთვნოდა – კომპილატორის მიერ დამატებული ორი ფრაგმენტი მასალიანელთა წვალების შესახებ, თეოფილემ გამოყო კიდეც „ანაკეფალეოსისი“ ტექსტისაგან, რითაც შესაშური კრიტიკული ალდო და დამოკიდებულება გამოამჟღავნა „ოთხმეოცთა წვალებათათვს“ თხზულების ბერძნული დედნის მიმართ.

ქართული თარგმანის მიმართება შესაბამის ბერძნულ ტექსტებთან და მათი კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოფელილე ხუცესმონაზონს „ანაკეფალეოსისიც“ ზუსტი თარგმნის მეთოდით გადმოუდია. ოთხმეოცთა წვალების ცნობარის ქართული ტექსტი ძირითადად სიტყვასიტყვით მიჰყება ითანე დამასკელის „წვალებათათვს“ თხზულების შესატყის ნაწილს, განსაკუთრებით კი იმ ხელნაწერებს, რომელთაც ან ეპიფანეს ავტორობის ტრადიციი დაუცავთ, ანდა უავტოროდ მათთან ერთიანდებიან ჯგუფში (S - Paris. coisl. 34a. 1042, T - Vat. gr. 720_s. 10, W - Vindob hist. gr. 56 cd. a. 1000, R - Monac. gr. 467_s. II, U - Paris. gr. 1320_s. 11, კოტერის გამოცემის მიხედვით). სანიმუშოდ წარმოვადგენთ ერთ თავს ნაწარმოებიდან:

სადუპეველნი, რომელნი ითარგ-მანებიან – უმართლესნი. და იყ-ვნეს იგინი ნათესავისაგან სა-მარიტელთავსა, ესრეთვე და მღდელისაგან სადუპ წოდებულისა. და უფარ-პერფეს იგი აღდგომასა

Σαδბουκაῖοι, οἵ ἐρμηνεύομενοι δικαιότατοι, οἵ ἔκ γένους μὲν ἥσαν Σαμαρειτῶν ὁμοῦ καὶ Ἱερέως Σαδοὺκ ὀνόματι, νεκρῶν μὲν ἀνάστασιν ἀρνούμενοι καὶ μὴ παραδεχόμενοι ἄγγελον μήτε πινεῦμα, τὰ δὲ πάντα

31 შდრ.: მ. რაფაგა, ოფელილე ხუცესმონაზონის ერთი თარგმანის შესახებ, 49.

მაგდართასა და არცა ანგელოზ- ოντες Ἰουδαῖοι (H 16,1-4).
თა შეიწყნარებდეს, არცა სულსა;
ხოლო სხვთ ყოვლითურთ იყვნეს
ჰურიანი (16,1-5).

მაგალითების მოყვანა შეგვეძლო გაგვეგრძელებინა (შდრ.: ერ. 5,6,17, 18, 22, 29, 33, 40, 50, 59...), მაგრამ, ვფიქრობთ, რომ დამოწმებული პარალელური ტექსტიც საძმოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის თეოფილეს მთარგმნელობითი მეთოდის საერთო ხასიათზე – ზუსტად და უკლებლივ გადმოიტანოს ქართულად თითოეული წინადადება, ფრაზა და ზოგჯერ სიტყვაც კი. თავის მხრივ, ქართული თარგმანის ცალკეული სრული თანხვდომანი „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილთან, ბუნებრივია, განპირობებულია იმით, რომ მისი ბერძნული დედნის ტექსტი რიგ ადგილებში ზუსტად ემთხვევა ამ შრომას. ხოლო იქ, სადაც ეს არ ხდება, რაც არცთუ ისე ხშირია, იგი სცილდება „წვალებათათვეს“ თხზულებას და, როგორც ზემოთ უკვე ნაჩვენებია, თავს იჩენს ტექსტობრივი განსხვავება.

ამჯერად შევჩერდებით ქართული თარგმანის ისეთ ტექსტობრივ სხვაობებზე, რომლებიც არც ითანე დამასკელის და არც ეპიფანეს წვალებათა ცნობარებში არ იძებნება. ისინი გამოიხატება ქართული ტექსტის ან მაგებით, ან კლებით, ანდა განსხვავებული წაკითხვებით.

შემატებანი ქართულ თარგმანში ისე იშვიათად გახვდება, რომ შესაძლებელი ხდება ყველა ასეთი შემთხვევის გამოყოფა:

1. „და სხუა ყოველივე აქუს სამარიტელთაი“ (10,3).
2. „ესენი კუალად კოდროგიტელნი განიყვნეს ურთიერთარს“ (48,4-5).
3. „და კაცობრივსა სახესა ქონებად ღმრთისათვს იტყვან“ (70,8).

ამ წინადადებებს შესაბამის თავებში ბოლო ადგილი უკავიათ. ისინი ისეთი ინფორმაციის შემცველი არიან, რომ საეჭვოა, თავად მთარგმნელს შეეთხას ქართულად. ამიტომ ყველა მათგანი ბერძნული დედნიდან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს.

4. IX თავის ბოლოს კითხულობთ:

„ხოლო ეწოდებოდა მათ სამარიტელ მთისა მისგან ხომ სახელდებულისა, ვითარცა და წინაისწარმეტყულიცა იტყვს: „და თავი იგი სომორისა, ვინა არიან სომორელნი და ჩუცელებისაებრ სამარიტელნი“ (9,11-13).

სამარიტელთა სახელწოდების შესახებ საკმაოდ ვრცლად მხჯელობს ეპიფანე კვიპრელი „პანარიონში“. აქედან გამომდინარე, მოულოდნელი აღარ ჩანს ამგვარი ჩანართის მოხვედრა „ანაკეფალეოსისი“ ტექსტიც. საფიქრებელია, რომ იგი კომპილატორის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

5. III თავში, იქ, სადაც ლაპარაკია პერპმსახურების ჩამოყალიბების პროცესზე და ამ საქმეში სხვადასხვა დარგის ძველ „ტელოვანთა“ და ოსტატთა წვლილზე, ჩნდება ფრაზა:

„და ყოველმანვე პელოვნებამან მოიგონა!“ (3,16).

იგი ერთგვარად განახოგადებს ყოველივე წინათქმულს და, ამავე დროს, ორგანულად უკავშირდება მომდევნო წინადადებას, სადაც უკვე ჩამოთვლილია ძველი აღმოსავლეთის ის ხალხები, რომელთა შორისაც კერპთაყვანისმცემლობა გავრცელდა.

6. ჰეროდიანელთა ებრაულ სექტას ეპიფანე ერთი არხებითი ნიშნით ახასიათებს: ისინი ჰეროდეს ქრისტედ მოელოდნენო. ამ წინადადებას ქართულ თარგმანში ასეთი ტექსტი მოჰყვება:

„რამეთუ დაამგება მან (ე.ი. ჰეროდემ – ს.მ.) ორკანონ და სამეუფოდ და სამღდელომოძღვრო შესამოხელი შეიმოსა“ (20,2-3).

თუ გავითვალისწინებოთ თეოფილეს მთარგმნელობით მეთოდს, ეს ბოლო ორი წინადადებაც დედნისეულად უნდა ვცნოთ და ფსევდოეპიფანეს ნახელავად გამოვაცხადოთ.

ახევე უმნიშვნელო ხასიათს ატარებს ქართული თარგმანის გამოგლებული ადგილები. ორი ასეთი შემთხვევა, უეჭველია, ბერძნული დედნით უნდა იყოს განპირობებული. ამას მოწმობს ეპიფანეს საკონტროლო ტექსტების მონაცემები:

1. XXXIX თავში გამოტოვებულია:

(εἰτα μετὰ...) τὸν Ἀβέλ ἀποκτανθῆναι (H 39,3) – აბელის სიკვდილის (შემდეგ).

ეს ადგილი შედარებით განსხვავებულია იკითხება „ანაკეფალეოსის“ ბერძნულ ტექსტში (P II, s. 2,10-II. PG 42, col. 860). ალბათ, იგი არ იქნებოდა თეოფილეს თარგმანის დედანშიც.

2. ოთანე დამასკელის „წვალებათათვეს“ თხზულებაში ორი-გნეს მიმდევართა შესახებ ვკითხულობთ:

Χριστοῦ δέ ποτε πεπაύσθαι τὴν βασιλείαν ληρούντες καὶ ὄμοι τοὺς ἀγγέλους παυθήσεσθαι χριστὸν δὲ σὺν διαβόλῳ βασιλευθήσομενον (H 64, 4-6).

ქართულ თარგმანში ეს ტექსტი ამგვარადაა წარმოდგენილი:

„ხოლო ქრისტესთვეს ყოფენ, ვითარმედ დასცხოეს „ხდესმე მეუფებად მისი და ქრისტე ეშმაკისა თანა მეუფებელესო“ (64,4-6).

როგორც ვხედავთ, ქართულში გამოტოვებულია: Καὶ ὄμοι τοὺς

άγγέλους παυθήσθαι – ανგεლοθεόδοταν ერთად. ოუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წინადადება და მისი მომდევნო ნაწილი საერთოდ არ გააჩნია „ანაკეფალუსის“ და „პანარიონის“ ზოგიერთ ხელნაწერს (P. II, s. 214, 4-5, PG 42, col. 868), შემცირებული მნიშვნელობით იმის განტვრეტა, რომ ეს „აღმა-ბაც“ დედნისეული უნდა იყოს.

ვითვალისწინებთ რა თეოფილე ხუცესმონაზონის მთარგმნელობითი მე-თოდის სიზუსტეს, ასევე ბერძნული დედნის მიზეზით ვხსნით ქართულ ტექსტში გამოტოვებულ სხვა წინადადებებსაც:

3. ဈპი ბე სათორულის თუ არχეს ჰსჯისტეს (H 29,3).

დასაბამს იდებენ სატორნილოსაგან.

4. თაუთას ეთმუა კაὶ προσεκύνει (H 27,10-11) – თაყვანს სცემ-და და გუნდრუკს უგმევდა მათ (ლაპარაკია კარპოკრატეს შესახებ – ს.მ.).

თეოფილე არ იფარგლება წინადადებისა თუ მასში შემთხვევალი ცალკეული სიტყვების შეზღუდული მნიშვნელობით. კვლავ უნდა გავიმეოროთ: მისთვის უმთავრესია ავტორისეული აზრის ზუსტად დაფიქსირება თარგმანში. ამიტომ, თუ საჭიროა და თარგმნის ინტერესები მოითხოვს, იგი ამატებს სიტყვებს, ე.ი. ავრცობს წინადადებას, უფრო იშვიათად ამოკლებს კიდეც ტექსტს, ზოგიერთი სიტყვა გადმოაქვს მონათესავე ან ხულაც სხვა მნიშვნელობით, რითაც ელფერს უცვლის წინადადებაში გამოხატულ აზრს. განვიხილოთ თოთოეული ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

1. სიტყვების ჩამატებით წინადადება გავრცობილია:

ა) მერმე დღეთა თარაისთა, მამისა აპრაპამისთა, გამოქანდაკებადც იწყეს კერპთა და იქმნეს წინამდლუარ საცოტრსა მას კერპთ-მსახურებისასა (3,9-10).

ბ) ესე იგი არს აბრეშუმი, პორფირი, მეწამულად გრეხილი და ფესუტბი იგი და ეჯუნები, რომელნი გარე-მოპვლიდეს ქუც-ქუცმოსა მას ზეწრისასა, რომელი-ესე ყოველი სასწაული იყო მათ ზედა და ნიშანი ვიდრე ჟამადმდე მოღუაწებისა (15,11-14).

გ) მრავალი ბოროტი შემოიდო ეპლესიასა ზედა (75,4-5).

დ) უკუეთუ ვინმე არა მოვლოს ყოვლი სახე ცოდვისად და ნებად ყოველთა ეშმაკთა და კაცთა აღასრულოს (27,4-5).

ე) ხოლო ვინაოთგან უვლტოდა რად იგი წამებასა, იყუჩდრა – მოიგონა კაცად წმიდად წოდებად ქრისტესი, ბრალსა მისთვის დმრთისა უვარისყოფისა (54,4-6).

ეπειτა ბე აπό τών χρόνων τοῦ θάρρα, πατρὸς Ἀβράαμ, καὶ δὲ ἀγαλμάτων τὴν πλάνην τῆς εἰδωλολατρείας ἐισηγησάμενοι (Η 3,8-9).

τουτέστι σημάτων τῆς πορφύρας καὶ κρασπέδων καὶ ῥοίσκων ἐπὶ τὰ πτερύγια τῆς ἀμπεχόνης, ἄτινα ταῦτα ἐτύγχανε σημεῖα τῆς παρ' αὐτοῖς ἔως καιροῦ ἐγκρατείας (Η 15,9-11).

πολλὰ κατὰ τῆς ἐκκλησίας ἐδογμάτισε (Η 75,4).

Καὶ εἱ μή τις, φησί, διὰ πάντων παρέλθῃ καὶ τὸ θέλημα πάντων τῶν δαιμόνων καὶ ἀγγέλων ἐκτελέσῃ (Η 27,3-4).

Ἐπειδὴ οὖν οὗτος φυγὼν ὠνειδίσθη, ἐπενόησε, ψιλὸν ἄνθρωπον λέγειν τὸν Χριστόν, διὰ τὸ ἔγκλημα, ὅτι θεὸν ἡρυήσατο (Η 54,4-5).

ბოლო ორ ნიმუშში საგულისხმოა არა მარტო ჩამატებული სიტყვები: „სახე ცოდვისად“ (დ), „წამებასა“ (ე), რომლებიც აზუსტებენ ავტორისეულ აზრს, არამედ ისიც, რომ მთარგმნელმა სარწმუნოებრივ-დოგმატური მოსაზრებების გამო მარტივი (ანგლოზო) ოარგმნა როგორც „კაცოდა“ (დ), ხოლო ჭილი (უბრალო, ჩვეულებრივი) – „წმიდად“ (ე). საფიქრებელია, რომ პირველ შემთხვევაში თეოფილემ ერთმანეთისაგან გათიშმა ბოროტი დემონებისა (ეშმაკებისა) და სიკეთის მატარებელი ანგელოზების წყვილი და ამ უკანასკნელის ნაცვლად კონტექსტში შეიტანა უფრო შესაფერისი „პაცინი“, რადგან ადამიანის არსება, როგორც ცნობილია, სიკეთესთან ერთად ცოდვა-ბოროტებასაც გულისხმობს; მეორე შემთხვევაში, რაკიდა ქრისტე გაიგივებული იყო კაცთან, მის ეპითეტად „უბრალოს“ ან „ჩვეულებრივის“ ნაცვლად მთარმგნელმა ამჯობინა ემარა „წმიდა“. ანალოგიური სახის მაგალითები არცუ იშვიათია ქართულ ტექსტში. ამიტომ წარმოგადგენთ ზოგიერთ ასეთ ნიმუშს.

2. სიტყვები თარგმნილი წინადადებაში მონათესავე ან სხვა მნიშვნელობებით:

- ა) ხოლო უმეტეს სხეულისა აიქმოდეს საქმეთა ხენეშთა გან- ბოროტებით (26,1-2).
 - ბ) შეიძილება მარკიონის წვა- ლებითა (46,3).
 - გ) ხოლო ქრისტეს ყევენ, ვო- თარმედ დასცხრეს ოდესმე მეუფე- ბად მისი (64,4-5).
 - დ) ხოლო ქრისტე საოცრად გამოხნდა და არა ეპნოო (66,4-5).
- πλέον δὲ τούτων πάντων τὴν αἰσχρότητα ἐμμανῶς ἐργαζόμενοι (H 26,1-2).
- προσεφθάρη τοῖς τοῦ Μαρκίωνος δόγμασιν (H 46,2-3).
- Χριστοῦ δέ ποτε πεπανθαται τὴν βασιλείαν ληρούντες (H 64, 4-5).
- Χριστὸν δὲ δοκήσει πεφηνέναι καὶ πεποιθέναι (H 66,4).

წარმოდგენილ მაგალითებში მონათესავე ან სხვა მნიშვნელობით ქართულად გადმოდებული სიტყვები, მართალია, ნიუანსურად ცვლის, გარკვეულწილად სხვა შეცვერილობას აძლევს წინადადებას, მაგრამ დედნისეული ძირითადი აზრი კვლავ უცვლელი რჩება.

3. სიტყვების გამოტოვებით წინადადება შემოკლებულია:

- ა) მათვე სხეული თანა, რომელი შეულსა ურჩ-ექმნებიან, მწვალე- ბელნი არიან ესეცა და მათსავე მსგავსსა ზრახვენ (38,1-2).
 - ბ) არა ჯერ-არს შეწირვად
- ἄμα ταῖς ἄλλαις ὡσαύτως ταῖς τὸν νόμου ἀθετούσαις αἱρέσεσιν καὶ τὸν λαλήσαντα ἐν νόμῳ τὰ αὐτὰ φρονοῦσι (H 38,1-2).
- Μὴ δεῖν φησιν προσφέρειν ὑπέρ

მსხუერპლისად შესუტნებულთათვეს და მარხვად ოთხშაბათ-პარასკევთად; და მარხვათად დაუხრწია... (75,6-8).

გ) რომელთაგანმე და – ეპნომიანი, რომელი იქმნა აეტიოს მოწაფე (76,3-4).

დ) რამეთუ არარას ეძიებს ლმერთი სხვასა, თვინიერ მათმიერსა თდენ სარწმუნოებასა (76,17-18).

ე) ყრმად უპასაკოდ ვერ შევალსო სასუფეველსა, რამეთუ არა უღუ[ა]წიეს (67,5-6).

τῶν κεκοιμημένων, οὐστεύειν δὲ τετράδα καὶ προσάββατον καὶ τεσσαρακοστὴν καὶ πάσχα κωλύει (H 75,5-7).

παρά τισι δέ Εὐνομιανοὶ δὶ Εὐνόμιόν τινα μαθητὴν Ἀετίου γενόμενον (H 76,3-4).

οὐδὲν γὰρ ζητεῖ ὁ θεός, αλλ' ἢ τὸ εἶναι τινα ἐν ταύτῃ μόνον τῇ νομιζομένῃ αὐτῶν πίστει (H 16-17).

τὰ μηδέπω ἐν ἡλικίᾳ γεγονότα παιδία μὴ μετέχειν βασιλείας διὰ τὸ μὴ ἥθληκεναι (H 67,5-6).

ბოლო მაგალითში ადგილი აქვს არა იმდენად სიტყვების გამოკლებული დადმოლებას ქართულად, რამდენადაც შესანიშნავად შესრულებულ ლაგონურ თარგმანს. საერთოდ კი, დედნისული წინადადებების შემოკლება (ბუნებრივია, მხედველობაში არ ვიღებთ ნაცვალსახელებისა და უდეტრების გამოტოვების ფაქტებს) თეოფილესათვის დამახასიათებელი არ არის და მის თარგმანში მხოლოდ გამონაკლისის სახითაა წარმოდგენილი; მოყვანილი ნიმუშები თითქმის ამოწურავს ყველა ასეთ შემთხვევას.

ქართულ ტექსტში ყურადღებას იქცევს ცალკეული ბერძნული სიტყვის ფარდად ნახმარი რამდენიმე საინტერესო და ზოგჯერ უჩვეულო ლექსინგური ერთეული თუ სპეციალური ტერმინი: τὸ ζῷον – უნდოდ მჟღვიერი (5,6. მისი სინონიმია ანალოგიურად წარმოებული „ცხოვლად მჟღვიერი“ (6,7) რომელსაც ბერძნული შესატყვისი არ გააჩნია); ὁ τόμος – ძეგლი (20,5; 20,8; 33,5...), თავი (76,19; 76,21; 80,4); ἡ μυθილογία – ზღაპრებრი სიტყეა (31,5), ზღაპრებრი (36,1-2); τὸ δόγμα – წვალება (46,3), სარწმუნოება (52,2-3), ეკრატეული მოღუაწე (52,6; 67,5); σύντακτος – აღმწერელი წერილთა (64,1-2); ὁ ἔξηγητής – გამომეტყველი (67,2); τὸ σχῆμα – სახე ჩემებული (70,1); ἀφηνιასმός – პირი განრყენილი (70,1).

ზემოთ აღვნიშნეთ ის ქართული კომპოზიტები, რომლებიც ბერძნულის მიხედვით არის გაფორმებული თარგმანში. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ბერძნული როგორი სახელი ან ზმნა ქართულად მარტივი სიტყვითაა გადმოტანილი: ἡ δεισι-δαιμονία – უსჯულოება (3,2-3), ὁ ἄγαλματο-πιού – მექეგლე (3,18), μυθο-λογέω – წარηგვა (45,3; 49,11). ზოგჯერ კი მთარმგნელი დედნისაგან დამოუკიდებლად თავად

თხზავს ან იყენებს მშობლიურ ენაში უპვე მზამზარეულად არსებულ კომპოზიტებს: კაცად-კაცადი (3,13) – ჰიკასტოს -უ- იუ; გუამითი-გუამად (5,5; 6,6-7; 7,6) – აპბ სომატოს ეს სომატა, აპბ სომატოს ეს სომა; შობათა მეტყუელებამ (15,14-15) – რ ეიმარმენუ; დღითიდღე (17,3) – რათ' ეკასტოს რემერა; ნებისმყოფელობა (23,4) – რ გუამუ; ჟამად-ჟამად (30,4-5) – რათა კარის; სახელდებული (31,5-6) – რ ბიომასია; სატან-ქუებანა (45,2) – სატან რა გრ; მარცხლ-კერძო (45,4) – არისტერის; ასოდა კუტილნი (58,4) – აპოტეტუმენის (← აპოტემუ); წმიდამყოფელი (74,4) – აგიასტიკის; ნათელცემა (76,13; 76,15) – ანა-ბაპტიცა, ბაპტიცა და სხვ.

საერთოდ, თეოფილეს ენის ლექსიიური მარაგი საგმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ბერ-მნული ზმინის ათეტეა-ს გადმოდების ფაქტი ქართულად. მის შესატყვისად ტექსტის სხვადასხვა ადგილას გამოყენებულია ხუთი სინონიმური მნიშვნელობის სიტყვა: ურჩ-ქმნა (38,1-2; 42,7-8), უნმ-ყოფა (40,3-4) განგდება (41,6), უარყოფა (45,6) და არშეწყნარება (51,2).

მშობლიური ენის ღრმა ცოდნა და შემოქმედებითი ნიჭი საშუალებას აძლევს მთარგმნელს ყველა შემთხვევაში მონახოს კონტექსტისათვის შესაფერისი ლექსიიური ერთეულები და აუცილებელი ტერმინები, თუ საჭიროება მოითხოვს თავად შექმნას და აწარმოოს სპეციფიკური ცნებების გამომხატველი ახალი სიტყვები, გზა გაუხსნას და დაამკვიდროს ისინი ლიტერატურაში.

ბერძნული ტერმინის „ელინიზმის“ (Ελληνισμός) ცნების ქვეშ ეპიფანე ერთ ერესად აერთიანებს ძველი აღმოსავლეთის ხალხის (ეგვიპტელების, ბაბილონელების, ფრიგიელებისა და ფინიკიელების) რელიგიურ შეხედულებებსა და საკულტო წეს-ჩვეულებებს, ძველი ბერძნების მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ანტიკურ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს. თეოფილე ხუცემონაზონი ამ სიტყვას ქართულად გადმოსცემს უფრო მარჯვე და ტევადი რელიგიური ხასიათის ტერმინით – „წარმართობა“ (3,1) რომელიც გულისხმობს წინაპრისტიანული ხანის რელიგიებს, გარდა იუდაიზმისა. „წარმართო“, როგორც მთარგმნელი განმარტავს (3,35), არის ბარბაროსიც, სკიონიც და თვით ელინიც (9,2), ხოლო „ელინი“ და „ელენისმონი“ ქართულ თარგმანში იხმარება როგორც საკუთრივ ძველ ბერძენთა ეთნიკურ-რელიგიური ცნების გამომხატველი სიტყვები.

როგორც ზემოთ ვთქვით, ნებისმიერი გადახვევა ჰეშმარიტი სარწმუნოებიდან ეპიფანე კვპირელის შრომაში აღინიშნება ზოგადი ტერმინით – რ ამრეს (ერესი), რომელიც ქართულად „წვალებად“ ითარგმნება. ამ ტერმინს ფართო რელიგიურ-დოგმატიკური გაგებით ბერძნულ ენაში ზოგჯერ ემთხვევა თბ საქსმა-ს („სქისმა“) ცნება. იგი გულისხმობს რაიმე რელიგიური ან ფილოსოფიური უთანხმოების, განხეთქილების საფუძველზე

შექმნილ განცალკევებულ ჯგუფს, რომელსაც ხშირად თავისი საკუთარი მრწამსი აქვს. მაგრამ ეს უკანასკნელი პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ ცრუ მოძღვრების უარყოფითი აზრის შემცველი არახოდეს არის. ეტყობა, აღნიშნულ ტერმინთა ეს კონკრეტული მნიშვნელობები აქვს მხედველობაში ეპიფანეს, როდესაც მელიტიანელთა ერებზე მსჯელობისას უპირისპირებს მათ ერთმანეთს: ის ეს 'Αιγύπτι სχίσμა ონτეს, იუχ არესი (H.68,1). საყურადღებოა ამ წინადაღების ქართული თარგმანი: „ეგვატტეს არიან იგი მაწლობელი და არა მწვალებელი“ (68,1-2). როგორც ვხედავთ, სχίსმა (ონტეს) მნიშვნელობის გადმოსაცემად თეოფილე ახალი ტერმინის შექმნის ძალზე საინტერესო ხერხს მიმართავს: იგი იდებს მსგავსი ტერმინის არესი (ონტეს) შესატყვისს – „მწვალებელი“ (← წვალება) და მისი ფონეტიკური სახეცვლილებით გვაძლევს თვისობრივად ახალი ცნების გამომხატველ სიტყვას – „მაწლობელი“ (← მაწლობა). სხვათა შორის, მთარგმნელი აქ თავის კნინ დამოკიდებულებასაც გვიმუდავნებს სექტანტების მიმართ. სიტყვათწარმოების ამგვარი წესი სათავეს ექვთიმე ათონელიდან უნდა იდებდეს (შდრ.: „მასტულავთმრიცხუელობა“, „ფილაფორზობა“)⁴⁹.

თეოფილე უთარგმნელად არ ტოვებს არცერთ სპეციალურ ტერმინსა თუ სიტყვას, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, რომელიც ზემოთ, ბერძნიშმებში წარმოვადგინეთ. ზოგიერთი ფოლოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინის ქართული შესატყვისი ბოლომდე ზუსტად ვერ გადმოსცემს ცნების არსს, ამიტომ მათი ბერძნული დატოვება, ვფიქრობთ, უფრო უპრიანი იქნებოდა. მაგ.: ო მიუა (მონადა) თარგმნილია როგორც „ერთი“ (5,1), ო აიώ (ეონი) გადმოტანილია მისი პირდაპირი მნიშვნელობით – „საუკუნე“ (31,6; 31,7).

გაქართულების ეს ტენდენცია თავს იჩენს ერესთა სახელწოდებების გადმოღებისასაც. რიგ შემთხვევაში თეოფილე თარგმნის ასეთ სახელებს, ბუნებრივია, თუკი ისინი რაიმე საგნობრივი მნიშვნელობის შემცველი არიან: 'Ημεροβαπτισταί – დღითიდღე ნათელდებული (17,1), Στρατιωτικόι – მოლაζέκρე (26,3), 'Αρειოμανται – არიოგესლი (69,1), 'Αινόμοιοι – უშჯულოცა (76,3) და სხვ. მეტიც: ერთგან ქართულ ტექსტში გეოგრაფიული სახელიც კი არის თარგმნილი: Φιλαδεლფίა – ძმათმოუერობა (58,2). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მოვლენა თეოფილეს თარგმანში მყარი არ არის, რადგან მასში გვხვდება უთარგმნელად დატოვებული წვალებათა ისეთი სახელწოდებებიც, როგორებიცაა: იგივე „ანომიი“ (76,8) – 'Ανόμοιοι, რომელიც ერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, „უშჯულოდ“ გადმოიტანა ქართულად მთარგმნელმა, „ტესარის კედებატიტელი“ (50,1), „პნევმატომაქელი“ (74,1), „ანტიდიკომარი-

49 ც. ქურციკიძე, დასახ. შრომა, 53.

ამიტელნი“ (78,1) და სხვ.

დასასრულს, წარმოვადგენთ ჩვენს ძეგლში დადასტურებულ რამდენადმე მნიშვნელოვან ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ქართული მთარგმნელობითი ისტორიისათვის;

ბერძნული ტერმინი	თეოფილესეული შესატყვისი	თანამედროვე მნიშვნელობა
ό κόσμος	სოფელი (3,34; 6,1; 7,2...)	სამყარო, მსოფლიო
ἡ πρόνοια	განგება (5,1; 8,3)	განგება, განგებულება (დვ- თისა)
τὸ εἶδος	სახე (6,1)	სახე, იდეა, ეფოსი
ἡ ὥλη	ნივთი (6,1)	ნივთიერება, მატერია
φθαρτός	განხრად-ქოფადი (6,2)	ხრადი, ხელებრივი, წა- რმავალი
ἀγεννητός	დაუბადებელი (6,2)	უშიშებელი, არა ქმნილი
ἀθάνατος	ჟღვანი (6,2-3)	მარადიული, უკვდავი
θεῖος	საღმრთო (6,3)	ღვთაებრივი, ღვთიური
ογιστικός	სიტყპერი (6,3)	გონიერი, გონებრივი, აზ- როვნებისა და განსჯის უნ- არის მქონე
θυμικός	გულისწყრომითი (6,3-4)	გრძნობადი, გაღიზიანებადი, აღმგზნებადი
ἐπιθυμητικός	გულისთქუმითი (6,4)	ნებელობითი, სასურველი, სანუკბარი
τὸ σώμα	გოლი (7,1; 7,5...), გოლიცება (8,1) გოლი (7,6...)	სხეული (როგორც თავისთა- ვადი აღენობა)
τὸ σάρξ		ხორცი, სხეული
αἰσθητός	ხილული (7,1)	გრძნობადი, ხელშესახები
ἡ οὐσία	ბუნება (7,2-3)	არსი, არსება
ἡ φύσις	ბუნება (7,3)	ბუნება, თვისება
ό νοῦς	გონება (7,3; 49,12; 77,8), ნება (40,5)	გონება, გონი; აზრი
ών	არსება (7,4)	არსებული, ყოფიერი
ἡ ὑπαρξία	არსება (65,6)	არსებობა, ყოფა
ἄτομος	განუკუთხელი (8,1)	დაუშლელი, დაურდვეველი
ἄμερής	განუხაწილებელი (8,1)	დაუგნაწილებელი

όμοιομερής	θεραπεύοντα (8,2)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
άπειρος	θεραπεύοντα (8,2)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ή άρχη	διαφορετικός (8,2), διασασάθιο (34,2; 44,4...)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
τὸ τέλος	θεραπεύοντα (8,2)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ή ήδονή	θεραπεύοντα (8,3)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
νεκρών ἀνάστασις	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση (9,10; 15,3...)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
σαρκός ἀνάστασις	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση (31,1; 38,2-3...)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ή ἔνσαρκος	θεραπεύοντα (65,5)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ή σάρκωσις	θεραπεύοντα (32,4)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ή ἐναυθρώπεσις	θεραπεύοντα (77,2)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
τὸ στοιχεῖον	αὐτό (34,5)	γενεθλιαίο, γενεθλιαία
ή ποίησις	γένευλο (44,2)	γενεθλιαίο, γενεθλιαία
ἀνώτατος	γένεθλιον (44,4)	γενεθλιαίο, γενεθλιαία
ἀνύπαρκτος	γένεθλιον (65,1-2)	γενεθλιαίο, γενεθλιαία
οὖσα	γενογόδιο (66,4)	αριστερό, αριστερή
τὸ κτίσμα	διαδαδεύθυλο (69,2; 73,1...)	διαδαδεύθυλο, διαδεύθυλο, διαδεύθυλο
τὸ όμοιο-ούσιον	γερταρέσιο (73,4), γερταρέσιο (77,2)	γερταρέσιο, γερταρέσιο
τὸ όμοιο-ούσιον	θεραπεύοντα (73,5), θεραπεύοντα (73,5-6)	θεραπεύοντα που διατηρεί την ασθέτηση
ὅ συλλογισμός	θωρακικό (76,10-11)	θωρακικό, θωρακικό
ό λόγος	τερατομή (77,5)	τερατομή, τερατομή

ცხრილში მოყვანილი ქართული ტერმინთლოგია საკმაოდ მყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა ისიც ჩანს, რომ ზოგჯერ ორ სხვადასხვა (ან მსგავს) ბერძნულ ტერმინს ერთი ქართული შესატყისი აქვს და პირიქით, ერთი და იგივე ბერძნული ცნება სხვადასხვა სიტყვითად გამოხატული ქართულად. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტერმინთა შექმნისა და დახვეწის პროცესი ჩვენს ლიტერატურაში გრძელდება და მის სრულყოფამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილია გასაკლელი.

„ოთხეოცთა Շვաლებათათვს“ თხზულების მნიშვნელობა

ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის

„**ճ**ნაკეფალაიოსისის“ ქართულ თარგმანს მოსდევს თეოფილე ხუც-
ებმონაზონის მოკლე ანდერძი:

„წმიდანო მამანო, იძულებითა სხუათავთა და ვთარგმნე ესე. შემინდვეთ
და ლოცვა-ყავთ, მეცნიერთათვს არს ესე და მეძიებელთა.

ყოველნი მართლმორწმუნები იყავნ კურთხეულ! ყოველნიმცა მწვალე-
ბელნი შეჩუმნებულ არიან!“ (გვ. 23).

როგორც ვხედავთ, ანდერძი კონკრეტულად არაფერს გვეუბნება იმის
შესახებ, თუ სად, როდის და ვისი შეკვეთით ითარგმნა თხზულება. ამიტომ
ჩვენ იძულებული ვართ თარგმანის თარიღიდან დავდოთ დროის საქმარე-
ვრცელი მონაკვეთი – XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი, ე.ი. ის პე-
რიოდი, როდესაც მოუწია თეოფილეს შემოქმედებითი მოღვაწეობა⁵⁰.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული ანდერძი მაინც იძლევა საშუალებას
განსჯისა და რამდენიმე ზოგადი ხასიათის დაკვირვების გამოთქმისა.

XI საუკუნის ბოლოს ჩვენში კარგა ხნის დაწყებული იყო ბიზანტიური
ლიტერატურის საუკუთხსო ძეგლების თარგმნისა და ათვისების პრო-
ცესი. ყოველი თხზულება, ორიგინალური თუ თარგმნილი, თავისი ეპოქის
პირმშობა. სავსებით სამართლიანი წერდა ამის შესახებ პ. ჰემლიძე:
„...ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან
ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან იმ სოციალური
და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზ-
როგების ადგილობრივი მიმდინარეობა. ითარგმნება ის, რასაც თხოუ-
ლობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა,
ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეცი-
ფიკა და შეგნება“⁵¹.

რა თქმა უნდა, წმ. ეპიფანეს „ოთხმეოცთა წვალებათათვს“ თხზულების
თარგმნა მაშინდელი ქართველი საზოგადოებრიობის შზარდი ინტელექ-
ტუალური მოთხოვნილებებით, უფრო კონკრეტულად კი, ისტორიული
ცოდნის შეგვების, მისი გაღმამავების აუცილებლობით იყო განპირობებული.
ამასთანავე, ანდერძიდან ჩანს, რომ თარგმანი ფართო მკითხველისათ-
ვის არ იყო გამიზნული. თეოფილემ ზუსტად განსაზღვრა მისი დანიშ-
ნულება და ხასიათი: „მეცნიერთათვს არს ესე და მეძიებელთა“. ამით მან

50 პ. ჰემლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 243-245. ი. ლოლაშვილი,
ათონურ ქართულ ხელნაწერთა ხიახლენი, 36-41.

51 პ. ჰემლიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი
ხასიათი, ეტიუდები, I, 185.

უურადღება გაამახვილა, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების შემცნებით მნიშვნელობაზე, მის ღრმა მეცნიერულ დირექტორების მიერ მართლების გამოყენების მიზანისა, ნაწარმოების შემცნებით მნიშვნელობაზე.

მართლაც, 80 წვდომის ეს ცნობარი, მართალია, მოკლე, მაგრამ საგამოდ ტევად ინფორმაციას გვაწვდის თითოეულ ერებზე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი დახასიათება პირველი ოთხი რელიგიური მდგრამარეობისა (გვ. 53-54) თითქმის ასეთივე სახითაა წარმოდგენილი „ანაკუფალეოსისში“. მაგრამ აქ დამატებით უნდა შევჩერდეთ მესამე დედა-ურესზე – „ელინისმზე“, რომელშიც ყურადღებას იქცევს რამდენიმე საგულისხმო მომენტი რელიგიის, მოთოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის თვალსაზრისით.

რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეპავა ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. საინტერესოა ამ მხრივ კულტმსახურების წარმოშობის ეპიფანესული ინტერპრეტაცია, რომელიც ხელოვნებასთან⁵² უშუალო კავშირშია განხილული: „და რაოდენსა რას გამოსახვიდეს და გამოხატვიდეს მათ მიერ პატივის-საცემელად მათ, თუ მძლავრი ვინმე იყვის ანუ გრძნეული ანუ თუ ქმნის რამე სოფელსა ამას შინა რეცა ღირსი ჭენებისათ, გინა ძლიერი იყვის ანუ თუ ჭორცითა სახნიერი“ (3,4-8). როგორც ავტორის სიტყვებიდან ჩანს, თაყვანისცემა ტირანებისა და გრძნეულებისადმი, საყოველთაო პატივისცემა გამოჩენილი და ღირსსახსოვარი აღამიანებისადმი, რაც მათი ფერწერული გამოსახულებების შექმნაში მდგრამარეობდა, დროთა განმავლობაში წინაპართა კულტში და მასთან დაკავშირებული რიტუალების შექმნაში უნდა გადაზრდილიყო. თიხის ქანდაკების წარმოშობის შემდეგ ეს პროცესი უკვე დასრულებული ჩანს. პირველ მოქანდაკეთა და მეოუნეთა მიერ შექმნილი წინაპართა ძეგლები, ეპიფანეს თქმით, უპირ საყოველთაო კერპებად და წმიდანებადაა შერაცხილი: „მერმე დღეთა თარავსთა, მამისა აპრაპამისთა, გამოქანდაკებადცა იწყეს ჰერპთა... და მათთა მათ მშობლის-მშობელთა გამოხატვისა მიერ პატივ-სცემდეს და პირველ მათსა აღსრულებულთათვეს ღონეულეს პირველ მეცნიერებისა კელოვნებისაგან“ (3,8-13).

როგორც ვხედავთ, კერპმსახურების წარმოშობას ჩვენი ავტორი გარდაცვლილ წინაპართა კულტის შექმნის მიზეზით ხსნის. საყურადღებოა, რომ მეცნიერება წინაპართა კულტს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს

52 თეოფილეს ქართულ თარგმანში, ისევე როგორც მის ბერძნულ ტექსტში, ტერმინი „პელოვნება“ (ή τέχνη), ცხადია, იმბარება შესაუკუნისრივი გაცემით და ნიშნავს – ხელოსნობას. მაგრამ ეს ჩვენი საკითხის არსს არ ცვლის (ამ ტერმინის შესახებ ვრცლად იხ.: რ. სირაბე, მეცნიერების ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975, 13-35).

აგუთვნებს პირველყოფილი რელიგიების აღმოცნებაში⁵³.

ეპიფანეს გადმოცემით, კერპთაყვანისმცემლობამ თანდათანობით თავის სამსახურში ჩააყენა ხელოვნების გარემოული დარგები: სკულპტურა, ჭედური ხელოვნება (ვერცხლისა და ოქრომჭედლობა), ხუროთმოძღვრება და სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა ძველი მსოფლიოს ზოგიერთი ხალხის რელიგიებში. ავტორს მხედველობაში აქვს: ეგვიპტე, ბაბილონი, ფრიგია და ფინიკია, სადაც, მართლაცდა, დიდ სიმაღლეებს მიაღწია ქვის არქიტექტურამ, სკულპტურულმა პორტრეტმა და მხატვრული ხელოვნების სხვადასხვა სახეებმა⁵⁴.

წარმართული რელიგიის წარმოშობა, მისი მიმართება ხელოვნებასთან ფიგურალურად ამგვარი სიტყვებითაა განზოგადებული თხზულებაში – „და ყოველმანვე ჯელოვნებამან მოიგონა!“ (3,16).

აქვე უნდა მივუთითოთ ერთ საყურადღებო დეტალზეც. დღესაც მეცნიერებაში კამათია იმის შესახებ, თუ სახვითი ხელოვნების რომელი სახეა უფრო ძველი – ფერწერა, ბარელიეფი, გრავიურა თუ სკულპტურა. ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების ნიმუშებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია როგორც გამოქვაბულის კედლებზე, ისე ცალკეულ ფილებზე შესრულებული გრავიურები⁵⁵. ეპიფანეს წარმართობის ისტორიის სქემის მიხედვით, თავდაპირველად ფერწერა არსებობდა, ხოლო შემდეგ შეიქმნა სკულპტურა.

„ანაკეფალაიოსისში“ ნათქვამია, რომ კერპმსახურება აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გავრცელდა საბერძნეთში. თუ გავითვალისწინებთ, რომ თვით ბერძნულ ოლიმპიურ ღვთაებათა ერთი ნაწილი (აპოლონი, არტემიდა, არესი, ჰეფსიტო, ათენა, აფროდიტე, ჰერმესი) მცირეაზიური წარმოშობისა უნდა იყოს⁵⁶ და ძველ ბერძნებს საღვთოსმსახურო და საგულტო რიტუალების ზოგიერთი ელემენტი, მართლაც, ეგვიპტელებისგან უნდა გადაედოთ, მაშინ ეს თქმულება მთლად ჭეშმარიტებას მოკლებული აღარ მოგვჩვენა.

წმ. ეპიფანე კვიპრელი ასახელებს ბერძენთა ზოგიერთ მთავარ ღვთაებას: კრონოსს, რეას, ზევსსა და აპოლონს. იგი იცნობს ელინისტურ ხანაში გავრცელებულ ვერსიებს ატიკელთა ლეგენდარულ მეფე კეპროპზე,

53 Г. Спенсер, Основания социологии, ч. I, II, С-Петербург, 1898, ст. 176-189. А. Мензис, История религии, С-Петербург, 1898, ст. 22-24. Л.Я. Штенберг, Первобытная религия в свете этнографии, Л. 1936, ст. 341-347. С.А. Токарев, Ранние формы религий и их развитие, М. 1964, 252-277 и другие.

54 А. Розенберг, История искусства с древних времен до наших дней, вып. I, С-Петербург, 7-34. Н. А. Дмитриева, краткая история искусств, М. 1975, 17-54.

55 З. А. Абрамов, Древнейшие формы изобразительного искусства, Ранние формы искусства, М. 1972, 28.

56 А. Ф. Лосев, Олимпийская мифология в её социально-историческом развитии, Учебные записки МГПИ им. Ленина, т. 72, 1953, 99-III; 139-188.

ელინთა მითიურ წინაპარ ელენოსზე თუ იონიელთა ბიბლიურ წინაპარ იონაზე; არცთუ უსაფუძვლოდ აღნიშნავს, რომ იონიელები წარმოადგენენ ელინთა მეთაურ და წინამდლოლ ტომებს.

მთავარი კი ჩვენთვის მაინც ისაა, რომ ელინისტური და ოდრეული შეა საუკუნეების მიჯნაზე გავრცელებული შეხედულებანი კერპმსახურების წარმოშობა-განვითარებაზე, წარმართული რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების შესახებ, ასევე ზოგიერთი ცნობა ბერძნულ მითოლოგიურ პანთეონზე თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანის საშუალებით XI საუკუნეში ცნობილი ხდება ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვისაც.

ეპიფანე „ელინიზმს“ თავის მხრივ ოთხ წვალებად ჰყოფს, სადაც წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი ძველბერძნული ფილოსოფიური სკოლები, როგორებიცაა: პითაგორეიზმი, პლატონიზმი, სტოიციზმი და ეპიკურეიზმი (ერ. 5-8). ბუნებრივია, ეს მასალაც გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა „წარმართობით“, უფრო ზუსტად კი, ანტიკურობით დაინტერესებულ ჩვენს ძველ მკითხველს. სხვათა შორის, „ანაკეფალეოსის“ ტექსტის აღნიშნული მონაკვეთი „პანარიონის“ სხვა ფრაგმენტებთან ერთად ელინური ფილოსოფიის შესახებ შეტანილია კრებულში, რომელსაც „საბერძნეთის მოაზროვნენი“ (Doxographi Graeci) ჰქვია⁵⁷.

ასევე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქართული თარგმანი სამარიტელებსა და მათ სექტებზე, 7 ებრაული პარტიის – მწიგნობრების (ერ. 14), ფარისეველების (ერ. 15), საღუკველების (ერ. 16), ჰემერობაპტისტების ანუ დღითი-დღე ნათელებულების (ერ. 17), ოსხენელების (ერ. 18), ნასსარე-ელების (ერ. 19) და ჰეროდიანელების (ერ. 20) შესახებ; ადრექრისტიანული გნოსტიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე – სიმონ მოგვზე (ერ. 30), ბასილიდოსზე (ერ. 24), კარპოკრატეზე (ერ. 27), ვალენტინეზე (ერ. 31), პტოლემეოსზე (ერ. 33), ჰერაკლეონზე (ერ. 36), ბარდესანეზე (ერ. 56) და მათ მიმდევრებზე და ა.შ. ყველა ერესის არა თუ შინაარსის გადმოცემა, არამედ სახელების ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგვიყვანდა. ვფიქრობთ, ამის საჭიროება არც არის. მაგრამ იმისათვის, რომ საჩინო გავხადოთ, თუ რაოდენ საჭირო ინფორმაციას იძლევა ძეგლი თითოეული წვალების შესახებ, მიუხედავად მისი ცალბეული ხარვეზებისა და უზუსტობებისა, განვიხილოთ ერთ-ერთი ერესი; კერძოდ, ნიმუშად ავიღოთ დღეს კარგად ცნობილი პლატონის ფილოსოფიური სკოლა⁵⁸.

ეს თავი ამგვარად იწყება: „— ლმერთსა, სახესა და ნივთსა და სოფელ-

57 H. Diels, Doxographi, graeci, Berolini, 1879, s. 587-593; შდრ.: Prolegomena, s. 175-177.

58 ვსარგებლობთ შემდეგი ლიტერატურით: Платон, сочинения в трёх томах, под общим редакцией А.Ф. Лосева и В.Ф. Асмуса, Т.Т. М. 1968, ст. 5-73; 367-411; 577-593. т.2, М. 1970, II-94; 157-122; 481-505; 531-550. т. 3, ч. I, М. 1971, 39-541; 579-676. Т. 3, ч. 2, М. 1972, ст. 10-478; 571-632. ს. წერეთული ანტიკური ფილოსოფია, თბ., 1968, 230-377. ე. გათრი, ბერძენი

სა – შექმნულად და განხრწნად-ყოფად, ხოლო სულსა – დაუბადებელად და „უპუდავად და საღმრთოდ“ (6,1-3). როგორც დამოწმებული ტექსტიდან ჩანს, მასში წარმოდგენილია პლატონის კოსმოლოგიის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც ყველაზე უფრო სისტემური სახით გადმოცემულია „ტიმეოსში“: დმერთი, იგივე კოსმიური გონი, რომელიც არის ქვეყნიერების შემოქმედი დემიურგი და ყველაფრის საწყისი; სახე ანუ ეიდოსი (იდეა), რომლის მიხედვითაც ქმნის დემიურგი სამყაროს მოქლი თავისი მრავალფეროვნებით; ნივთი ანუ პირველადი მატერია, ნივთიერება, რომელშიც იდეალური წესრიგის შეგანით წარმოშობს დმერთი ხილულ ქვეყნას. აღსანიშნავია, რომ თეოფილეს, ბერძნულისაგან განსხვავებით, სახე (τὸ εἶδος) თავის თარგმანში ნივთის (ἡ ὕλη) წინ გადმოაქვს, რითაც უფრო თანმიმდევრულად გვაწვდის პლატონის ზემოაღნიშნულ ტრიადას. „ტიმეოსშე“ მიხედვით (28a – 29d), სამყარო, კოსმოსი არის ხილული, შეგრძებადი და სხეულებრივი, მაშასადამე, ის წარმოშობილი და ცვალებადია (შდრ.: „პოლიტიკოსი“ 269c-274d). ამის საპირისპიროდ, სული (ეტყობა, ჩვენს ტექსტში იგულისხმება როგორც მსოფლიო, ისე ადამიანის სული) დაუბადებელი, უკვდავი, მარადიული და ღვთაებრივი საწყისის მქონება (შდრ.: „ტიმეოსი“, 34b-37c; 41d-44c), რაზეც უფრო კონკრეტულად, მრავალი ასპექტით საუბარია უკვე პლატონის სხვა დიალოგებში: „მენონში“ (81b-d; 85c-86b), „ფედოში“ (70c-114e), „ფედროსში“ (245c-246a), „სახელმწიფოსა“ (X, 608d-612d) და „პანონებში“ (X, 897a-b; 899a-b).

სულის უკვდავების იდეასთან, როგორც ცნობილია, მჭიდროდაა დაკავშირებული ერთგვარ მითოლოგიურ საბურგელში გახვეული, ორფიკულ-პითაგორეულ ტრადიციაზე დამყარებული სულთა გადასახლების პლატონური თეორია, რის შესახებც „ანაკეფალეოსისშიც“ არის აღნიშნული: „ესრეთვე და სულთათვს იტყოდეს გუამითი-გუამიდ შესლვასა ვიდრე ცხოვლად მშვინვირადმდე და იძრვისად“ (6,6-7. შდრ.: „ფედონი“, 80c-84b, „ფედროსი“, 246b-249d; „სახელმწიფო“, X, 614b-621b; „ტიმეოსი“, 428-d).

პლატონის მოძღვრებიდან სულის შესახებ, რომელიც მისი ფილოსოფიის ქვაბუთხედს შეადგენს, კიდევ ერთი დებულება გვხვდება ჩვენს ძეგლში. კლრძოდ, ეს ეხება სულის სამი ნაწილის არსებობას – სიტყვიერის ანუ გონებრივის, გულისწყვრომითის ანუ გრძნობადის და გულისთქმითის ანუ ნებელობითის (6,3-4). ამის თაობაზეც არის მსჯელობა უკვე სხენებულ თხზულებებში: „სახელმწიფოში“ (IV, 435d-444d), „ტიმეოსსა“ (69c-72d) და „ფედოსში“ (246ab; 253d).

ეპიფანეს ტექსტის შემდეგი მონაკვეთი ასეთია: „ხოლო დედათა ზოგად ყოველთათვს საეროდ იტყოდეს, და რათა არავის ესუას თვისი ცოლი,

ფილოსოფისები, თალესიდან არისტოტელემდე, ინგლისურიდან თარგმა გ. ნოდიამ, თბ., 1983, 96-133.

არამედ ვითაცა-ვის ენებოს, თანა-ეყოფვოდის“ (6,4-6). ეს ადგილი, რაღა თქმა უნდა, ეხმიანება „სახელმწიფოს“ V თავის (449c-461e) დიალოგის ქალის საზოგადოებრივი როლისა და ქალაქის მცველთა საერთო ცოლებისა და ბავშვების შესახებ.

დასასრულს, წარმოდგენილია პლატონის აზრი ერთი ღმერთიდან მრავალი ღმერთის წარმოშობის თაობაზე (6,7-8), რასაც, მართლაც, გარკვეული ადგილი აქვს მიჩენილი მის კოსმოლოგიურ სისტემაში („ტიმეოსი“, 39e-41d).

როგორც ვხედავთ, „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ თხზულებაში თუმცა არასრულად და არათანმიმდევრულად, მაგრამ მაინც პლატონის ფილოსოფიის ძირითადი დებულებებია გადმოცემული. ასეთივე ვითარებასთან გვაქვს საქმე სხვა წვალებების დახასიათებისასაც.

ამგვარ ძეგლს არ შეიძლება, რომ გარკვეული გამოძახილი არ ჰქონდა ძველ ქართულ მწრლობაში. მართლაც, როგორც პ. კმპლიდემ გაარკვია, იგი გამხდარა ერთ-ერთი წყარო ორიგინალური ლიტურგიკული ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება „გალობანი მწვალებელთა ყოველთა თვალეულისა წვალებისა შეჩუმნებისანი“⁵⁹. ეს თხზულება, რომელსაც გალობდნენ ეკლესიაში „განქიქებისა მათისათუს... კპრიაკესა წმიდათა მარხვათასა“ (341v), შექმნილი უნდა იყოს არა უძღრეს 1172 წლისა. მასში ჩამოთვლილია და ზოგჯერ მოკლედ დახასიათებული ძველი და ახალი აღთქმის მწვალებლობანი. პირველი ნაწილი, სადაც დასახელებულია ძველი ერესები, მთლიანად ეყრდნობა „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ ქართულ თარგმანს⁶⁰. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ „გალობანის“ ამ მონაკვეთს ეპიფანეს თხზულების შესაბამისი ტექსტით:

„გალობანი“

„ოთხმეოცთა წვალებათათუს“

შკდ წვალებანი იყვნეს ძუ-
ელითგან: პირველ – მწიგნო-
ბართად, სჯულ-მცნებათა არავ
კმამყოფელნი, სხეულთაცა რათ-
მე უწერელად მომპოვნნი; და
ფარისეველნი – შობისა დღისა
მზმელნი; სამსალუკევლნი, აღ-
დგომისა და სულთა და ან-

ჭურიათა წვალებად არს შკდი: (14)
მწიგნობართად... და უმეტესთადა ნეფ-
სითთა კრძალულებათა შჯულისათა
იმარხვიდეს, რომელი-იგი არა მოხეს
შჯულის ამიერ ესწავნეს, არამედ თვთ
განუწენეს თავთა თვთა მსახურებანი
და სამართლი გარეშე სჯულისდებისა.
(15) ფარისეველნი... რომელთა შეჰვა
ზმნადცა და შობათა მეტყულებად... (16)

59 A 85 (XIII, XVI ს.), 338v-341v.

60 პ. კმპლიდემ, შენიშვნები ძველი ქართული ლიტურგიატურის ისტორიიდან, ეტიუდები, I, 263-264.

გელოზთა უგარისმყოფელნი; სხვანი – დღითი-დღე ნათლისმ-ლებელნი; ხუთ – ოსინელნი, არმქერნი წინასწარმეტყუფლ-თა; მეექუსედ – ნაზარეველნი, პორცისმჭამელთა მძაგნი და წინასწარმეტყუფლთა არშემ-წყნარებელნი; შედეროდიანნი, ჰეროდეს ქრისტედ მეტყუცელ-ნი (338v).

სადუკეველნი... და უგარ-ჰყოფდეს იგი აღდგომასა მკუდართასა და არცა ან-გელოზთა შეიწყნარებდეს, არცა სულსა... (17.) დღითი-დღე ნათელდებულნი... (18) ოსინი... ხოლო უმეტესსა შემდგომთა მათ წინასწარმეტყუფლთასა განაგ[დ] ებდეს. (19) ნასსარეო... რომელნი ყოვ-ელსავე პორცისა ჭამასა სრულიად უვარ-ჰყოფენ.... ხოლო პრწამს მათ მო-სესამდე და ისო ნავისად და პენტატ-ევხომისა წმიდანი მოგვენებულნი მამათ-მთავანრი... (20) პეროდიანელნი... ხოლო ჰეროდეს ქრისტედ მოელოდეს...

რაც შეეხება საგალობლების მეორე, დიდ ნაწილს, რომელშიც გადმო-ცემულია ახალი აღთქმის „წვალებანი, იგი ძირითადად მიჰყვება გიორგი ამარტოლის „ხრონიკოსის“ ქართულ თარგმანს⁶¹. „ოთხმეოცთა წვალე-ბათათვე“ თხზულების უშუალო ტექსტობრივი გამოყენების კვალი მასში არ ჩანს, თუმცა ჰიმნოგრაფი, რასაცვირველია, მოლიანად იცნობს ამ ძეგლს და, ალბათ, ითვალისწინებს კიდევ გალობების შეთხვისას.

დღეს უკვე ცნობილია, რომ „გალობანი“ წარმოადგენს წყაროს იო-განე შავთელის „აბდულმესიანის“ X თავის იმ ნაწილისა, სადაც პოეტი ლაპარაკობს ძველი და ახალი აღთქმის მწვალებლებზე, რომელთაც მისი ხოტბის გმირი – თამარი პირს დაუყოფს და შორს განდევნის (ე.ი. მათ იდეებს უაყროფს)⁶²:

84. 1. შვიდ წვალებითა შეცვალებითა
იყენეს ძველითაგან შობის დღის მზმელნი
2. სადუბეველნი, ფარისეველნი,
მცნებათა სჯულსა არ-კმა-მყოფელნი,
3. წერილთ მომპოვნნი, თვისით მომგონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლისმღებელნი,
4. ნაზარეველნი, ხუთ-ოსინელნი
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

85. 1. მაგედონიოს, დრგუ საბელიოს

61 ქ. გმირიძე, დასახ. ნაშრომი, 264-265.

62 ქ. გმირიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, 243-244. შდრ.: ძველი ქართველი მეხოტები, II თანე შავთელი, აბდულმესიანი (თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა), გამისაცვმბად მოამზადა, გამოკვლეულა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1964, 240-242.

შეცდომით პგმობდეს სულსა წმიდასა.

2. მანი ვინმე ცით იტყოდა რეცით
გარდმოტანასა ჭორცოა მისთასა,
3. სამუსატელსა და მომფსვეტელსა
პირს დაუყოფდა წვალებათასა.
4. სომებთ მეფენი, მტერთ სისხლ-მჩქეფენი,
ღმერთმა არ ლირს-ყვნა უფლებათასა.

86. 4. მან ყო არიოზ და ევნომიოზ
საბელიოზით შორს კვებულისა⁶³.

როგორც ვხედავთ, „აბდულმესიანის“ 84-ე სტროფი ზედმიწევნით იმე-ორებს ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებული საგალობლის შინაარსს. ასევე აშკარაა, რომ ხოგბის 85-ე სტროფი და 86-ე სტროფის მე4 ტაქტი ამავე „გალობანის“ ტექსტს ემყარება. ეს ჩანს, ჯერ ერთი, იქიდან, რომ მასში ჩამოთვლილი ახალი აღთქმის მწვალებლები: მაკედონიონი, საბელიონი, მანი, სამუსატელი, მომფსვეტელი, არიოზი და ევნომიოზი – ამ უკანასკნელშიც სრულად მოისხენიებიან სხვებთან ერთად. მეორეც, და რაც მთავარია, ორივე ძეგლში დასტურდება ცალკეული აზრობრივი და ფრაზელობიური ზუსტი თანხვდომანი. მაგალითად, საგალობლების ტექსტში ვხვდებით ახეთ ადგილებს: „დრკუდ საბელიოს ლიბიელი, ჰურიებრსა ერთსა პირსა აღსარებით ცოორილი... მაკედონიონი, რომელიცა სულისა წმიდასა აგებულსა ბუნებად იტყოდა ბილწი და ძისა მიერ ყოფად მოყვანებულად, რამეთუ ერთად ძისგან შექმნილთაგანად პგმობდა მას ბოროტი... მაღნი ვინმე ცით და ეთერისა ხორცოა თავისა თწესისა თანა გარდმოტანებასა და ამით ჭორცეშესმასა ქრისტესა იტყოდა“ (340v)^{*1}.

იცნობდა თუ არა იოგანე შავთელი თავად „ანაკეფალეოსისის“ თეოფილესეულ ქართულ თარგმანს? ამ კითხვაზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, პოემის ტექსტში მისი პირდაპირი ზეგავლენის ფაქტი არ აღინიშნება.

ამრიგად, ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათუ“ თხეულების ქართულმა თარგმანმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ჩვენს

63 ი. ლოთლაშვილი, დასახ. წიგნი, 145.

*1 „აბლობანი მწვალებელთა შენვენებისანის“ ვრცელი ინტერტექსტუალური ანალიზი – მიმართება იოანე შავთელის სახელით ცნობილ „აბდულმესიანის“ და სხვა ლიტერატურულ წერილებთან – მიცემულია მოგვაინებით გამოქვეყნებულ რამაზ ხალვა-შის წიგნში ტბელ აბექტინის „გალობანი მწვალებელთა შეზუნებისანი“, თბილისი, 2003, 11-45. ამავე წიგნზე დართულ ავტორისეულ კომენტარიში (გვ. 68-120) I-VIII გალობათა მიხედვით განხილულია ძეგლი და ახალი აღთქმის ის წვალებანი, რომელიც დასტურდება ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათა“ ტექსტში (რედაქტორი).

ორიგინალურ ლიტერატურას. იგი ყოფილა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო XII საუკუნის უცნობი პოეტი-პიმნოგრაფის მიერ მწვალებელთა შესაჩვენებლად შეთხზული „გაღლობანისა“, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით არაპირდაპირი გავლენა მოუხდენია კლასიკური სახოტბო პოეზიის თვალსაჩინო ნიმუშზე, იოვანე „შავთელის „აბდულმესიანზე“.

ძირითადი დასკვნები

6 აშრომის უმთავრესი დებულებანი და დასკვნები ასეთი სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. წმ. ეპიფანე კვიპრელი მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მოდღვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოკვეთილი ფიგურაა IV საუკუნის აღმოსავლეთში. მისი ცხოვრება აღსავსეა დაუდალავი სამწერლო და პრაქტიკული მოღვაწეობით; მან განსაკუთრებით გაითქვა სახელი როგორც მწვალებლობის წინააღმდეგ უკომპრომისო მებრძოლმა, დაუნდობელმა პოლემისტმა, მართლმადიდებლური ქრისტიანული დოქტრინის ერთგულმა დამცველმა, ასკეტიზმისა და მონასტრული ყოფის თავგამოდებულმა პროპაგანდისტმა. ამასთანავე, ეპიფანეს, ისევე როგორც ნებისმიერი ძველი ავტორის, ლიტერატურული შემოქმედების ობიექტური შეფასება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეპოქის ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, იმ გარემომცველ სამყაროსა და პოლიტიკურ-პულიტურულ ვითარებასთან კავშირში, რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

2. ძველ ქართულ მწერლობაში დაცულია საკმაოდ უხვი წყაროები ეპიფანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ჯერ კიდევ ადრეფეოდალიზმის ხანაში, X საუკუნემდე, უთარგმნიათ ჩვენში „ცხოვრებად ეპიფანე კპრელისად“. ამასთან, ქართულ ხელნაწერებს შემოუნახავს მისი ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტები, ლეგენდარული ცნობები და გადმოცემები. მის სახელზე შექმნილია სახოტბო პიმნები და სამოძღვრო იამბიკოები. ეს მასალები გაპნეულია ქართულ პიმნოგრაფიულ და სვინაქსარულ საკითხებებში, სხვადასხვა შინაარსის კრებულებში, რომელთა შემადგენელი თხზულებები ძირითადად თარგმნილია ბერძნულიდან. მართლია, ისინი ახალ, უცნობ ცნობებს ეპიფანეს ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ არ შეიცავს, მაგრამ თვალნათლივ ცხადყოფს მის პოპულარობას, იმ უთურ ინტერესს, რასაც ჩვენი ძველი მწერლები იჩენდნენ ამ გამოჩენილი საეკლესიო პირისა და მწიგნობრისადმი.

3. წმ. ეპიფანე კვიპრელის ან მისი სახელით მოღწეულ ეგზეგეტიკურ და პომილეტიკურ თხზულებათა უმეტესი ნაწილი ძველთაგანვე თარგმნილია ქართულ ენაზე. ზოგი მათგანი („საზომთათუს და საწყალთა“, ათორმეტთა თუალთათუს“ „თარგმანებად დავითის ფსალმუნებისავ“ და სხვ.) წარმოადგენს დამოუკიდებელ, თავისებურ რედაქციას, რომლის ანალოგი ბერძნულად უკვე აღარ არსებობს, ზოგერთი კი („წმიდისა მარადის ქალწულისა მარიამისათუს“, „მუცლადლებისათუს ანნამასა“) შემორჩენილია მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში. ამიტომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც საკუთრივ ქართული, ისე ბიზანტიური მწერლობის ისტორიისათვის, ქრისტიანობის და მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის უფრო ფართოდ წარმოჩენა-შესწავლისათვის.

4. წმ. ეპიფანეს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „პანარიონს“ – თხზულებას 80 ერესის წინააღმდეგ. იგი ყველაზე უფრო სრულყოფილი და სოლიდური ნაშრომია ძველი ეკლესიის მწვალებლურ მიმდინარეობათა შესახებ. მასში თანმიმდევრულად და სისტემატური სახით გადმოცემულია მწერლის თეოლოგიური კონცეფცია, რომელიც თვით ნაწარმოების სტრუქტურაშიც მჟღავნდება. ჩვენთვის კი ეს ძეგლი განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს იმ მხრივ, რომ ძველ ქართულ მწერლობაში დაცულია მისი მოკლე ვარიანტის – „ანაკეფალეოსისის“ განსხვავებული რედაქცია, რომელსაც „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ შეიძლება ეწოდოს.

5. „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ ქართულ თარგმანს, რომელიც დაცულია A 205, H 601 და A 64 ხელნაწერებში, ანალოგიური ბერძნული დედანი უკვე აღარ მოეპოვება. ამიტომ მას „თავისებური წვლილი“ შეაქვს ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებაში, უფრო კონკრეტულად კი, „ანაკეფალეოსისის“ ტექსტის შემდგომი ისტორიის დადგენაში. ამასთანავე, იგი ყველაზე უფრო ახლო დგას იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ მეორე ნაწილთან. ამდენად, მართებული იქნება, თუ ვიტვით, რომ ამ ძეგლის, „წვალებათათუს“, პოლემიკური შრომის უმთავრესი ნაწილის თარგმანი ქართულ ენაზეც მოგვეპოვება.

6. წმ. ეპიფანეს „ოთხმეოცთა წვალებათათუს“ თხზულების თარგმანი ეკუთვნის XI საუკუნის II ნახევრის ქართველ ავტორს – თეოფილე ხუცემონაზონს. მისი მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: მწერალმა უნდა მოიპოვოს სარწმუნო დედანი და შშობლიური ენის სტეციფიკის გათვალისწინებით იქიდან ზუსტად და უცვლელად გადმოთარგმნოს თხზულება.

7. თეოფილეს თარგმანის შედარება ეპიფანესა და დამასკელის შესაბამის თხზულებებთან და მათი კრიტიკული ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ანაკეფალათოსის“ ზუსტი თარგმნის მეთოდითა გადმოღებული. უმატესი ნაწილი ქართული ტექსტის კლება-მატებისა და განსხვავებული

წაგითხვებისა, როგორც ჩანს, ბერძნული დედნიდან მომდინარებოს. ამგვარი სხვაობების დაწვრილებითი აღნუსხვა საშუალებას გვაძლევს, არა მარტო ზოგად ხაზებში გავითვალისწინოთ ქართული თარგმანის ორიგინალის რაობა, არამედ მიახლოებით აღვადგინოთ კიდევ მისი ბერძნული ტექსტის თავისებურებანი, რაც უთუოდ მნიშვნელოვანია ბიზანტიური ლიტერატურისათვის.

8. „ოთხმეოცთა წვალებათათკს“ თარგმანში დასტურდება ბერძნიზმები – როგორც ლექსიკის სფეროში, ისე სინტაქსური კონსტრუქციები, რაც ეჭმიუტანდად ცხადყოფს მის ბერძნული ენიდან მომდინარეობას. თუმცადა ქართულისათვის უცხო ენობრივ მოვლენათა უმეტესობას (ბრუნვის აღრევა, ზმის გამოტოვება, უჩვეულო წინადადებათწყობა, მიმღებათური კონსტრუქცია, თანდებულიანი სახელის ობიექტად შეწყობა, „ზე“ თანდებული დროის მნიშვნელობით, წინდებულიანი ფორმები, ადგილობით ზმისწინიანი კონსტრუქცია), ისევე როგორც ბერძნულ ლექსიკას, თეოფილეს თარგმანში არა აქვს სისტემური სასიათი და უფრო გამონაკლისების სახეს ატარებს.

9. თეოფილე ხეცესმონაზონის თარგმანის ზოგიერთი სინტაქსურსტილისტური მოვლენის განხილვა, მის ლექსიკა-სემანტიკაზე დაკვირვება ნათელყოფს მთარგმნელის თავისუფალ აზროვნებას. უმეტეს შემთხვევაში იგი მექანიკურად, ბრმად არ მიხდევს ბერძნულ დედანს: ხშირად ცვლის წინადადების უცხო კონსტრუქციას ქართულისათვის მისაღები ენობრივი ნორმებით, თუ საჭიროება მოითხოვს, ამატებს ან აკლებს ტექსტს ცალკეულ სიტყვებს, ანდა გადმოაქს ისინი მშობლიურ ენაზე მონათესავე მნიშვნელობებით, არჩევს კონტექსტისათვის შესაფერის ლექსიკურ ერთეულებსა და აუცილებელ ტერმინებს, იშვიათად თავადვე ქმნის და ამკიდრებს სპეციფიკური ცნებების გამომხატვა ახალ სიტყვებს და ა.შ., ოღონდ, ეს ყველაფერი ხდება ავტორისეული აზრის დაურღვევლად, ორიგინალის შინაარსის ზუსტი გადმოცემით თარგმანში.

10. წმ. ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა წვალებათათკს“ თხზულების ქართულ თარგმანს ფართო შემუცნებითი ღირებულება ჰქონდა იმდროინდელი ხვენი საზოგადოებისათვის. მას გარკვეული გამოძახილი მოპევა ძველ ქართულ მწერლობაში. იგი გამხდარა ერთ-ერთი ძირითადი წყარო XII საუკუნეში შექმნილი ორიგინალური ლიტურგიკული ნაწარმოებისა, რომელსაც ეწოდება „გადლობანი მწვალებელთა ყოველთა თპთეულისა წვალებისა შეჩუქრებისანი“, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ლიტერატურული დოკუმენტი, სხვა მასალასთან ერთად გამოუყენებია იოგანე შავთელს პოემა „აბდულმესიანის“ შეთხვისას.

1. ილ. აბულაძე, ერთ-ერთი უცნობი წყარო იოვანე საბანისძის აბო ტფილელის მარტვილობისა, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 128-139.
2. ილ. აბულაძე, იპოლიტე რომაელის ქრონიკის ძველი ქართული ვერსია, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 107-127.
3. ილ. აბულაძე, „მრავალთავი“, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 32-106.
4. ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., 1944.
5. „აღვადგინე“ ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ, დამატებით IX-X საუბანის „სამეცნიერო ქრესტომატიდან“ ამოღებული „სამკურნალო ტრაქტატისა“ და „სასწავლო წიგნისა“, ტფ., 1891.
6. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983.
7. უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თალესიდან არისტოტელემდე, ინგლისურიდან თარგმნა გ. ნოდიამ, თბ., 1983.
8. 6. გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის, მრავალთავი, XI, თბ., 1985, გვ. 3-12.
9. 6. გოგუაძე, სექტემბრის თვის მეტაფრასების ათონური ნუსხა, მრავალთავი, XII, თბ., 1986, გვ. 101-113.
10. კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983.
11. კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1975, №4, გვ. 79-90.
12. კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, II. „ვიდრე“ უდეგრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1978, №1, გვ. 91-104.

13. პ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, 3. vav consecutivum-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კაგშირით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1979, №3, გვ. 90-98.

14. პ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, 4. ბერძნულ ადგი-ლობით ზმისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, მაც-ნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1981, №2, გვ. 139-154.

15. ო. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრეს-ტომათია, ტ. I, ნაკვ. I, თბ., 1970.

16. პ. ინგოროვა, რუსთაველის ეპოქის საღიტერატურო მემკვიდრეობა, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 1-80.

17. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანე-ბის ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. რაფაგამ, თბ., 1976.

18. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბ., 1986.

19. იოვანე ხუცესი, პოლობითს ეპისკოპოსი, „ცხორებად ეპიფანე პპკრელისად“, საკითხები წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ო. იმნაიშვილმა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10, თბ., 1966, გვ. 92-146; 218-235.

20. პ. პეტელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 183-197.

21. პ. პეტელიძე, შენიშვნები ძველი ქართული ლიტერა-ტურის ისტორიიდან, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 250-282.

22. პ. პეტელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფი-ული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 168-182.

23. პ. პეტელიძე, შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტ-თან დაკავშირებით, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 195-217.

24. პ. პეტელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერ-ლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ. 3-114.

25. პ. გმელიძე, ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია, ეტი-
უდები, V, თბ., 1957, გვ. 115-211.
26. პ. გმელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, I, თბ., 1980.
27. პ. გმელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტო-
რია, II, თბ., 1981.
28. ო. ლოლაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სი-
ახლენი, თბ., 1982.
29. ო. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, თბ., 1978.
30. ს. მახარაშვილი, ეპიფანე კვიპრელის „ოთხმეოცთა
წვალებათათვე“ თხზულების ქართული თარგმანი და მისი
ბერძნული დედანი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ.,
1987, №1, გვ. 106-117.
31. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწე-
რთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959, გვ. 115-125.
32. რ. მიმინოშვილი, ამბროსი მედიოლანელის „ცხოვრე-
ბის“ ახალი რედაქცია ქართულ მწერლობაში, საქ. სსრ მეც-
ნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIII, №6, თბ., 1959, გვ. 753-
757.
33. რ. მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცე-
მის“ ქართული თარგმანები, თბ., 1966.
34. ნიკოდიმოსის აპოკრიფული წიგნის ქართული ვერსია,
ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი
დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1985.
35. ო. ოთხმეზური, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენ-
ტართა ახალი ქართული რედაქცია, მრავალთავი, XII, თბ., 1986,
გვ. 37-50.
36. გ. ჟორდანია, მეხურელთა და არამ ხუტუს ვინაობის
შესახებ („ხალხთა წარმოშობის წიგნის“ ქართული ვერსიის
შესწავლისათვის), თბ., 1956.
37. გ. რაფაელ, თეოფილე ხუცესმონაზონის ერთი თარგ-
მანის შესახებ (ეპიფანე კვიპრელი თუ იოანე დამასკელი?),
მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1986, №4, გვ. 39-
51.
38. ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთ-

იერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960.

39. ზ. სარჯველაძე, ერთი სტილისტური ხერხის ისტორიისათვის, მრავალთავი, IX, თბ., 1981, გვ. 63-65.

40. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

41. სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თხუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959.

42. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1978.

43. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.

44. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საექლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I₂, თბ., 1976.

45. ხელნაწერთა აღწერილობა,... ჩ კოლექცია, III, თბ., 1943.

46. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა,... ჩ კოლექცია, IV, თბ., 1950.

47. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი (Q) კოლექციისა, II, თბ., 1958.

48. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... (S) კოლექციისა, I, თბ., 1959.

49. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. I, თბ., 1978.

50. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვ. II, თბ., 1979.

51. ს. ყაუხხიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.

52. ს. ყაუხხიშვილი, ალ. გამყრელიძე, გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1961.

53. ს. ყაუხხიშვილი, გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკ. II, თბ., 1952.

54. ს. ყაუხხიშვილი, შატბერდის კრებულის სახწავლო

წიგნი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, თბ., 1923. გვ. 178-185.

